

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ნატო ჩადუნელი

ბიზნესის როლი

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში

სადისერტაციო ნაშრომი

ხელმძღვანელი: იაშა (იაკობ) მესხია –
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ სრული პროფესორი

თბილისი – 2013

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი 1. გლობალიზაცია – თანამედროვე საზოგადოებრივი ბანკითარების ობიექტური ტენდენცია.....	13
1.1 გლობალიზაციის არსი, მნიშვნელობა და ძირითადი მიმართულებები	13
1.2 ეკონომიკური გლობალიზაციის კონცეფცია და მისი გაზომვის პრობლემები ...	39
1.3 გლობალიზაციის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე	63
თავი 2. ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები	73
2.1 ვაჭრობისა და ინვესტიციების გლობალიზაცია.....	73
2.2 ტექნოლოგიების გლობალიზაცია.....	88
2.3 გლობალური ღირებულებათა ჯაჭვი, როგორც ეკონომიკური გლობალიზაციის ახალი ფორმა	101
თავი 3. ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობა თანამედროვე მსოფლიოში.....	113
3.1 ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში და მათი ზეგავლენა გლობალიზაციის პროცესზე	113
3.2 ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის თავისებურებანი	131
3.3 ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის უარყოფითი ეფექტები და კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა.....	145
დასკვნები	171
ბამოყენებული ლიტერატურა	180
დანართები	191

შესავალი

თემის აქტუალურობა. თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი განვითარება მიმდინარეობს გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ 1970-იანი წლების შუა პერიოდი იყო შემობრუნების წერტილი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, თუმცა აშკარა აჩქარება გლობალიზაციის ტენდენციებში მხოლოდ 80-იანი წლების შუა პერიოდიდან აღინიშნა.

გლობალიზაცია ობიექტური, შეუქცევადი და ისტორიულ-ლოგიკური პროცესია, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს ეხება. გლობალიზაციის პროცესმა ყველაზე აშკარად ეკონომიკაში იჩინა თავი. თვით ტერმინ „გლობალიზაცია“ თავდაპირველად ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნდა. მხოლოდ შემდეგ მიიღო მან უფრო ფართო მნიშვნელობა და „უსაზღვრო მსოფლიოს“ აღმნიშვნელ ცნებად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია გლობალიზაციის დომინანტი მახასიათებელია, დღეისათვის მკაფიოდ იკვეთება მისი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, ინსტიტუციონალური და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი აიძულებს ბიზნესს განახორციელოს საერთაშორისო ოპერაციები. კომპანიები აღარ შემოიფარგლებიან თავიანთი ქვეყნის საზღვრებით და შეუძლიათ ნებისმიერი ბიზნესოპერაცია განახორციელონ ნებისმიერ ქვეყანაში. თავის მხრივ, ეკონომიკური გლობალიზაცია უმთავრესად განპირობებულია ბიზნესის განვითარებით. საერთაშორისო ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითად სუბიექტებს სწორედ საერთაშორისო ბიზნესში მონაწილე კომპანიები წარმოადგენენ, რაც განაპირობებს თემის აქტუალურობას.

საერთაშორისო ბიზნესი თავისი განვითარების პიკს აღწევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, რომელთა საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო ბიზნესის ყველა ფორმას – საერთაშორისო ვაჭრობას, საპორტფელო და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ლიცენზირებას და სხვა.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციები მიიჩნევა გლობალიზაციის გაღრმავებისა და განვითარების მთავარ ვექტორად. ისინი წარმოადგენენ ერთდროულად ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის შედეგსა და მამოძრავებელ ძალებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დადგინდეს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესთან კავშირის ფორმა და გამოვლინდეს მათი საქმიანობის შედეგები ცალკეული ქვეყნის ეკონომიკისათვის.

დღევანდელი გლობალიზაციის უპრეცედენტო ტემპი და მასშტაბები მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ეკონომიკური გლობალიზაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევებისადმი. აღნიშნული სფერო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიოში ცნობილ მკვლევართა ნაშრომებში, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატის ამერიკელ ეკონომისტ ჯოზეფ სტიგლიცის ნაშრომებში, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გლობალიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების კვლევაში. ასევე მნიშვნელოვანია გერმანელი სოციოლოგის ულრიხ ბეკის როლი გლობალიზაციის არსისა და მისი გამოწვევების კვლევაში. ამ სფეროში სიღრმისეული გამოკვლევები აქვთ ჩატარებული აგრეთვე ჯ. ბაგვატს, ნ. გასტონს, ა. დრეჰერს, ქ. იანლინგს, თ. ლევიტს, პ. მარტენსს, გ. შანგუანს, დ. ჰელდს. ეკონომიკური გლობალიზაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ქართველი მეცნიერებს, მათ შორის აღსანიშნავია ა. აბრალავა, რ. გველესიანი, ო. გიგიაშვილი, რ. გოგოხია, ე. ეთერია, გ. თოდუა, ე. ლეკაშვილი, ი. მესხია, ე. მექვაბიშვილი, დ. ნარმანია, ვლ. პაპავა, ნ. პაპახაშვილი, უ. სამადაშვილი, ე. სეფაშვილი, რ. ფუტკარაძე, ლ. ქადაგიშვილი, ლ. ყორღანაშვილი, შ. შაბურიშვილი, თ. შენგელია, თ. ჩიკვაძე, ნ. ჭითანავა, ნ. ხადური და სხვა. წარმოდგენილ ნაშრომში ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტის თეორიული საფუძვლები ეყრდნობა ისეთ მეცნიერთა ნაშრომებს, როგორებიც არიან: უ. ბეკი, ჯ. მადელეი, მ. კრამერი, მ. პორტერი და სხვა.

თუმცა ქართულ ენაზე გამოკვლევა, რომელიც გამოავლენს ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებს კომპლექსურად მის სხვადასხვა

ასპექტში და გაანალიზებს ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლსა და მათი საქმიანობის შედეგებს ცალკეული ქვეყნის პოზიციიდან, ჯერჯერობით არ არსებობს. ამიტომ წარმოდგენილ ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგები და დასკვნები აქტუალურია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის და ამ პროცესში ტრანსნაციონალური კორპორაციების ადგილისა და როლის გაცნობიერება, რომელიც დაეფუძნება რეალურ ფაქტებსა და კვლევის შედეგებს, აუცილებელია როგორც ოპტიმალური პოლიტიკის შემუშავების, ისე სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისა და აგრეთვე მრავალი ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის ანალიზისთვის, როგორც სახელმწიფო, ისე ბიზნეს სექტორში.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის ძირითადი მიზანია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გადრმავების პროცესში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის, მნიშვნელობისა და ზეგავლენის ხარისხის შესწავლა, ანალიზი და განზოგადება, აგრეთვე რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფო და ბიზნესის სექტორისათვის. ამ მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები:

- მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალიზაციის პროცესების თეორიული საფუძვლების ანალიზი;
- ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა;
- ვაჭრობის, ინვესტიციების, ტექნოლოგიებისა და ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის პროცესის გადრმავებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების ოპერაციების ზეგავლენის ანალიზი;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობის დადგენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის;
- მსოფლიო ეკონომიკის კაპიტალტევადი და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის განსაზღვრა;

- ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის ნეგატიური ასპექტების შესწავლა და ანალიზი;
- გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების პროცესში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტია ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური ფილიალების ეკონომიკური საქმიანობა.

კვლევის საგანი. კვლევის საგანია ტრანსნაციონალური კორპორაციების საგარეო ეკონომიკური ოპერაციები, რომლითაც ხდება ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის განვითარება, აგრეთვე მათი საქმიანობის შედეგები რეციპიენტ ქვეყანაში (მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება, გამოშვება (ბრუნვა), დასაქმება, შრომის ანაზღაურება და ა. შ.).

კვლევის არეალი. წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი ეკონომიკური გლობალიზაციის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი და მასში მიმდინარე ტენდენციები. ესენია: ვაჭრობისა და ინვესტიციების გლობალიზაცია; ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაცია; გლობალური ღირებულებათა ჯაჭვი და ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა. აგრეთვე გამოკვლეულია ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი თითოეულ დასახელებულ სფეროსა და ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაში. ამ თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ქარულ ენაზე შესრულებულ პირველ ნაშრომს.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევას საფუძვლად დაედო საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებთან და ბიზნესთან დაკავშირებული პრინციპები და თეორიები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გაზომვის მეთოდები და ინსტრუქციები. გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მკვლევარების თეორიული და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომები. კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ეკონომიკური განვითარებისა და თამანშრომლობის

ორგანიზაციისა და სხვა ორგანიზაციების მასალები, ასევე, ქართულ და უცხოურ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მეცნიერული კვლევის შედეგები.

კვლევის მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია აბსტრაქტულ-ლოგიკური, სისტემურ-სტრუქტურული ანალიზის, სტატისტიკური ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, ანალოგიის, ინდექსირების, სისტემური მიდგომების და სხვა მეთოდები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციების შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში, აგრეთვე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მსხვილი ექსპორტიორი კორპორაციების მიერ, ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალური კურსების წაკითხვისას.

კვლევის მეცნიერული სიახლეები:

- ჩატარებულია გლობალიზაციის არსის შესახებ დღემდე არსებული განმარტებების შედარებითი ანალიზი და გამოვლენილია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

აღნიშნულია, რომ დღემდე არსებული არცერთი განმარტება სრულად არ ასახავს გლობალიზაციის შინაარსს. უმეტეს მათგანში ყურადღება გამახვილებულია გლობალიზაციის ამა თუ იმ შედეგზე და არა თვით ამ პროცესის არსზე. გლობალიზაციის განმარტების ჩამოყალიბება მოითხოვს ამ პროცესისადმი ინტერდისციპლინარულ ანუ როგორც ეკონომიკური, ისე სოციოლოგიური და პოლიტოლოგიური კუთხით მიდგომას. მსოფლიოში ცნობილი კოლინზის ინგლისური ლექსიკონის მიხედვით ყურადღება გამახვილებულია ერთიანი მსოფლიო ბაზრის წარმოქმნის პროცესზე; ბრიტანული ენციკლოპედიაში აღნიშნული პროცესი განხილულია ყოფითი კუთხით; სხვა განსაზღვრებებში აქცენტი კეთდება არა პროცესზე, არამედ საერთო პრობლემებზე, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას.

- გაანალიზებულია გლობალიზაციის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

- ა) დადგენილია უცხოურ საკუთრებასა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კავშირის ამსახველი მოდელი საქართველოს მაგალითზე.
- ბ) დადგენილია საზღვარგარეთულ საკუთრებასა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კავშირის ამსახველი მოდელი აშშ-ის მაგალითზე.
- დასაბუთებულია გლობალიზაციის ინტენსივობის გასაზომად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ გამოქვეყნებული ინდიკატორების გამოყენების შესაძლებლობა.

კვლევათა უმეტესობა, რომელიც დღემდეა შესრულებული, ეკონომიკური გლობალიზაციის ხარისხის გასაზომად იყენებს უმთავრესად საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციებს, რომლებიც წარმოადგენს გლობალიზაციის მხოლოდ ცალკეულ ასპექტებს. არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს გლობალიზაციის ისეთი უმნიშვნელოვანესი ასპექტები, როგორცაა ტექნოლოგიური ინტერნაციონალიზაცია, ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა. მსოფლიოში ცნობილი მკვლევარები, როგორებიცაა ალექს დრეჰერი, ნოელ გასტონი და პიმ მარტენსი, რომელთა შრომები ფოკუსირდება გლობალიზაციის გაზომვასა და მისი შედეგების შეფასებაზე, გლობალიზაციის პროცესის ინტენსივობის გასაზომად იყენებენ სხვადასხვა სახის ინდექსებს – კოფის, მაასტრიხტის და კარნის ინდექსებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან შევადაროთ ქვეყნები გლობალიზაციის ხარისხის მიხედვით, აგრეთვე გავიგოთ, რომელი ქვეყანა დაწინაურდა და რომელმა გადაინაცვლა უკანა პოზიციებზე გლობალიზაციის ხარისხის სიღრმის მიხედვით. აღნიშნული ინდექსების მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს თუ რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია ქვეყნის ამა თუ იმ მაჩვენებელზე, მაგრამ იგი ვერ იძლევა პასუხს ისეთ კითხვებზე, როგორცაა – იზრდება თუ მცირდება გლობალიზაციის ხარისხი მთელი მსოფლიოს, ინდივიდუალური ქვეყნისა თუ დარგის დონეზე. გარდა ამისა, მასში არაა გათვალისწინებული გლობალიზაციის ისეთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალები როგორცაა ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა, ტექნოლოგიების გავრცელება და სხვა. აქედან გამომდინარე,

გლობალიზაციის ანალიზისას მათ შეიძლება მივანიჭოთ მხოლოდ დამხმარე ფუნქცია.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინდიკატორები, განსხვავებით ზემოთდასახელებული ინდექსებისაგან, ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსივობის გაზომვისას საერთაშორისო ვაჭრობასთან და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად ითვალისწინებს ეკონომიკური გლობალიზაციის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაცია, ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა.

- გამოვლენილია გლობალიზაციის თანამედროვე ორიენტირები და ტენდენციები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 34 წევრი ქვეყნის მაგალითზე, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ მთელ მსოფლიოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, როგორც ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების, ისე ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაცია. ამასთან, ყველაზე სწრაფი ზრდით ხასიათდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაცია;

- შესწავლილია მომსახურებისა და მრეწველობის სექტორის წვლილი გლობალიზაციის პროცესში.

ცალკეული ქვეყნის მაგალითზე, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ იზრდება მომსახურების სექტორის წვლილი გლობალიზაციაში.

- გამოვლენილია საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები.

საქართველოში გლობალიზაციის ტენდენციების შესწავლა მოხერხდა მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით, რადგან ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაციის, ტრანსნაციონალური კორპორაციების

საქმიანობისა და ღირებულებათა ჯაჭვის გასაანალიზებლად არ არსებობს სათანადო სტატისტიკური მონაცემები. ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა 2005-2007 წლებში, როდესაც მან რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, რამაც განაპირობა ამავე პერიოდში ქვეყანაში უცხოური საკუთრების მნიშვნელოვანი ზრდა. მიუხედავად ამისა, 2000-2010 წლებში საქართველოში შემცირების ტენდენციებით ხასიათდება როგორც ვაჭრობის, ისე ინვესტიციების გლობალიზაციის ინტენსივობა.

- გაანგარიშებულია ეკონომიკური გლობალიზაციის ზრდაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენის მახასიათებლები.

აშშ-ის მაგალითზე დადგენილია რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების ოპერაციები დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდაზე. ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური ფილიალები განაპირობებენ ვაჭრობის გლობალიზაციის ზრდის 81, ინვესტიციების გლობალიზაციის ზრდის 72 და ტექნოლოგიის გლობალიზაციის ზრდის 96%-ს.

- შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების გადრმავეების მიმართულებით.

ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა. გლობალიზაციის ცვალებადი მახასიათებლები და გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების აშკარა გავრცელება დღის წესრიგში აყენებს სამთავრობო პოლიტიკების გადახედვის აუცილებლობას. ტრადიციული პოლიტიკები, რომლებიც უკავშირდება გლობალიზაციას, მიზნად ისახავს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერების გზით დასაქმებისა და ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების გაზრდას. ამგვარი პოლიტიკები ხშირად მეტწილად ფოკუსირდება კონკრეტულ დარგზე (მრეწველობა, მომსახურება, მაღალი ტექნოლოგიები და ა.შ.), თუმცა წარმოების საერთაშორისო ფრაგმენტაციის შედეგად, ამგვარი დარგობრივი განზომილება ჩანს, რომ თანდათან უფრო ნაკლებად მართებული ხდება. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოო პროცესის ცალკეული

ეტაპები ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში, კონკურენტუნარიანობა და შეფარდებითი უპირატესობა საჭიროა დარგობრივის ნაცვლად საქმიანობის ჭრილში იქნას წარმოდგენილი.

- შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოში გლობალიზაციის ტენდენციების კომპლექსური შეფასებისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის ფორმირებასა და მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების დარეგულირებისათვის.

საქართველოში ჯერჯერობით ვერ ხერხდება გლობალიზაციის მასშტაბებისა და ინტენსივობის სრული სურათის წარმოდგენა, რადგან სტატისტიკის ეროვნული სამსახური ვერ უზრუნველყოფს იმ მონაცემების შეგროვებას, რომლებიც საჭიროა ეკონომიკური გლობალიზაციის გაზომვისათვის, რაც დაბრკოლებას უქმნის როგორც სახელმწიფო ისე ბიზნეს სექტორს, გააცნობიეროს გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, რომლებიც დაეყრდნობა რეალურ ფაქტებსა და რიცხობრივ მონაცემებს და შეიმუშაონ სათანადო პოლიტიკა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სტატისტიკური სამსახურის საქმიანობის გააქტიურება, მისი ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრენინგებში, რომლებიც უშუალოდ გამიზნულია იმ პრობლემების გადაჭრაზე, რაც წარმოიშობა იმ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის გაზომვისა და შეფასებისთვის (OECD-ის ინდიკატორებით). ამ ამოცანათა ფარგლებში საჭიროა ჩამოყალიბდეს გლობალიზაციის კვლევითი ცენტრი, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს აღნიშნულ საკითხებზე სტატისტიკურ სამსახურთან და რეგულარურად მოახდენს საქართველოში გლობალიზაციის ტენდენციების შეფასებას.

- გამოვლენილია ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და მნიშვნელობა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური ფილიალები, მიუხედავად მათი მცირე რაოდენობისა, რეციპიენტი ქვეყანაში ქმნიან სამუშაო ადგილების, დამატებული

ღირებულებისა და ბრუნვის მნიშვნელოვან, ზოგიერთ ქვეყანაში კი უმეტეს, ნაწილს, აგრეთვე ისინი ფლობენ ქვეყანაში არსებული კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს.

- დადგენილია ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური ფილიალების ეკონომიკური საქმიანობის სარგებლიანობა რეციპიენტი ქვეყნისათვის.

ცალკეულ რეციპიენტ ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური ფილიალებისა და ეროვნული ფირმების საქმიანობის საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზე დადგენილია, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოურ ფილიალებს ეროვნულ ფირმებთან შედარებით ახასიათებთ

- ა) შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი დონე.
- ბ) ხელფასების უფრო მაღალი დონე.
- გ) დასაქმების უფრო მაღალი დონე.

- გამოვლენილია ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი კვლევებსა და განვითარებაში ინვესტირებაში მსოფლიო მასშაბით.

2010 წლის მონაცემებით, ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც ყველაზე მეტს ხარჯავენ კვლევებსა და განვითარებაზე, დგანან იმ ქვეყნების პირველ ათეულში, რომლებიც ახდენენ ამ სფეროში ყველაზე მსხვილ ინვესტიციებს. მსოფლიო 8 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციის აგრეგირებული დანახარჯები აღემატება აშშ-სა და იაპონიისა გარდა ყველა ცალკეული ქვეყანის ინვესტიციებს.

თავი 1. გლობალიზაცია – თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური ტენდენცია

1.1 გლობალიზაციის არსი, მნიშვნელობა და ძირითადი მიმართულებები

ცნობილია, რომ დაახლოებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, საზოგადოებრივი განვითარება მიმდინარეობს გლობალიზაციის ფონზე, რომლის მოქმედების სფეროშიც მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ სახით, ერთეება. გლობალიზაცია თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი საკვანძო ტერმინია, მაგრამ მისი არსის ნათელი და ერთმნიშვნელოვანი გაგება დღემდე არაა ჩამოყალიბებული.

ტერმინი „გლობალიზაცია“ წარმოდგება სიტყვისაგან „გლობალიზება“¹, რაც ნიშნავს რაიმეს მსოფლიოს ცაკლეულ ან ყველა კუთხეში გავრცელებას².

მსოფლიოში აღიარებული რენდომ ჰაუსის ლექსიკონის მიხედვით, გლობალიზაცია არის 1. გლობალიზების ანუ რაიმეს მსოფლიოს ყველა კუთხეში გავრცელების პროცესი. მაგალითად, მრეწველობის გლობალიზაცია. 2. მსოფლიო მასშტაბით ინტეგრირება და განვითარება. მაგალითად, გლობალიზაციას მოჰყვა ზოგიერთი ინდივიდუალური კულტურული იდენტობის დაკარგვა³.

მსოფლიოში ასევე ცნობილი კოლინზის ინგლისური ლექსიკონის მიხედვით, გლობალიზაცია არის 1. პროცესი, რომელიც, უმეტესწილად დერეგულირებისა და გაუმჯობესებული კომუნიკაციების მეშვეობით, ფინანსურ და საინვესტიციო ბაზრებს საშუალებას აძლევს საქმიანობა განახორციელონ საერთაშორისო დონეზე. 2. ერთიანი მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი, სადაც დომინირებენ მრავალეროვნული კომპანიები, რომელთა საქმიანობა იწვევს ეროვნული მთავრობების

¹ Online Etymology Dictionary <http://www.etymonline.com/index.php?term=globalization>

² Random House Dictionary, Random House Inc, 2013 <http://dictionary.reference.com/browse/globalize>

³ <http://dictionary.reference.com/browse/globalization>

შესაძლებლობების შემცირებას აკონტროლონ თავიანთი ეკონომიკები. 3. კომპანიის საქმიანობის საერთაშორისო დონეზე გაფართოების პროცესი⁴.

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილული არცერთი განსაზღვრება არ წარმოადგენს გლობალიზაციის სრულ განმარტებას. უმეტეს მათგანში ყურადღება გამახვილებულია გლობალიზაციის ამა თუ იმ შედეგზე და არა თვით ამ პროცესის არსზე. სხვადასხვა სპეციალობის წამომადგენლები გლობალიზაციის განმარტებაში წამოწევენ შესაბამის ასპექტებს. სინამდვილეში კი გლობალიზაცია წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ ფენომენს და, აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ზოგადი განმარტების ჩამოყალიბება მოითხოვს ამ პროცესისადმი როგორც ეკონომიკური, ისე სოციოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა კუთხით მიდგომას.

ბრიტანული ენციკლოპედიის თანახმად, გლობალიზაცია ესაა პროცესი, რომლის საშუალებითაც ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილება, რომელიც ხასიათდება საქონლისა და იდეების გავრცელებით, ხდება სტანდარტიზებული მსოფლიო მასშტაბით. რადიოკავშირების, ელექტრონული ვაჭრობის, მასობრივი კულტურისა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მეშვეობით, გლობალიზაცია იქცა ტენდენციად, რომელიც მიმართულია ჰომოგენურობისკენ (ერთგვაროვანი), რაც, საბოლოო ანგარიშით, ადამიანურ გამოცდილებას ყველგან გახდის არსებითად ჰომოგენურს. ეს შეიძლება გაზვიადებულად მოგვეჩვენოს, თუმცა, ჰომოგენური ზეგავლენა მაინც არსებობს, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა ისეთი რამის შექმნისაგან, რასაც შეიძლება მსოფლიო კულტურა ეწოდოს.⁵

გლობალიზაციის კატეგორიის სხვა განსაზღვრებებში აქცენტი კეთდება არა პროცესზე, არამედ საერთო პრობლემებზე, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას. ამ კუთხით გლობალიზაცია ნიშნავს საერთო, შინაარსის მიხედვით მსგავსი პრობლემების წარმოშობას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისათვის (მაგალითად, ეკოლოგიური, სასურსათო, დემოგრაფიული, მიგრაციული, ჯანდაცვის და ა. შ.), სახლმწიფოთა მუდმივად ორმხრივ სოციალურ-ეკონომიკურ დამოკიდებულებას და საერთო ინტერესთა ზონების წარმოქმნას.

⁴ Collins English Dictionary, Complete & Unabridged 10th Edition 2009, HarperCollins Publishers
<http://dictionary.reference.com/browse/globalization>

⁵ Encycloaedia Britannica, <http://www.britannica.com/EBchecked/topic/1357503/cultural-globalization>.

გერმანელი სოციოლოგი, მიუნჰენის უნივერსიტეტისა და ლონდონის ეკონომიქსის სკოლის პროფესორი, ულრიხ ბეკი თავის წიგნში, სახელწოდებით „რა არის გლობალიზაცია“, წერს: „გლობალიზაციაზე ლიტერატურა გაჟღერებულია კონტრვერსიებით. კითხვაზე: რა ამოძრავებს გლობალიზაციას წინ? არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხი, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა მრავალ ვარიანტად. ავტორების პირველი ჯგუფი ხაზს უსვამს დომინირებული „ლოგიკის“ არსებობას, ხოლო მეორე ჯგუფი მუშაობს თეორიებზე, რომლებშიც ვლინდება რთული, მრავალი მიზეზით განპირობებული გლობალიზაციის ლოგიკა“. მხოლოდ გაკვრით შეიძლება ითქვას, რომ ეს ცენტრალური თეორიული დაპირისპირება „აფეთქებს“ სიტყვა „გლობალიზაციის“ აზრობრივ შინაარსს, რადგან მას ხშირად აძლევენ ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობებს. გაზვიადებულ ეკონომიკურ ასპექტებსა და თეორიულ პლურაზმს შორის მაქს ვებერის ისტორიული წინააღმდეგობა მეორდება ერთდროულად ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საწყისებზე გლობალიზაციის სოციოლოგიის თემატიკაში. მცდელობა, რომ ცენტრში დააყენონ ერთი ლოგიკა, ააშკარავებს გლობალიზაციის ცენტრალურ გაგებას. ხოლო ურთიერთგამომრიცხავი ლოგიკის ურთიერთშედარებას მივყავართ პოზიციამდე, სადაც სხვადასხვა კერძო ლოგიკები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას“⁶.

ამავე ნაშრომში, იგი თავდაპირველად განიხილავს იმ საფუძვლებს, რის მიხედვითაც გლობალიზაციის ერთი კონკრეტული ლოგიკა მიჩნეულია ცენტრალურად. აქ იგი ასახელებს წამყვან ავტორებს: ესენია: ბლეიქსლი უოლერსტაინი, ჯეიმს როზენაუ, რობერტ გილპინი, დევიდ ჰელდი, როლანდ რობერტსონი და ა.შ. ბლეიქსლი უოლერსტაინი ერთ-ერთი პირველია, რომელიც 70-იან წლებში შეეჭიდა სოციალური მეცნიერებისა და გლობალიზაციის საკითხების დაპირისპირებას. ამასთან გამოყენებაში შემოიტანა „მსოფლიო სისტემის“ ცნება. იგი მიიჩნევს, რომ კაპიტალიზმი წარმოადგენს გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ჯეიმს როზენაუ, რობერტ გილპინი და დევიდ ჰელდი დაკავებული იყვნენ საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემებით. ისინი ეჭვის ქვეშ აყენებდნენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორთოდოქსულ პოლიტიკას,

⁶ У Бек., Что такое глобализация?: ошибки глобализма – ответы на глобализацию, перевод с немецкого А. Григорьева и В. Седельника, 2001, ст. 60.

მიუთითებდნენ რა, ერთი მხრივ, ტექნოლოგიური გლობალიზაციის მნიშვნელობაზე (ინფორმაციისა და ცოდნის საზოგადოება), მეორე მხრივ, აქცენტებს აკეთებდნენ სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორებსა და თვალსაზრისზე (ძალის პოლიტიკა).

უ. ბეკი აღნიშნავს, რომ უდავოდ, ეროვნული სახელმწიფოს ჩარჩოებში აზროვნება განსაკუთრებულად ძლიერად და დიდი ხნით შეარყია ეკონომიკურმა კრიზისმა, ხოლო 1992 წლის რიო დე ჟანეიროს კონფერენციის შემდეგ კი – მისი იმ შედეგების აღიარებამ, რამაც მსოფლიო საზოგადოება თავისი მდგომარეობის შეფასების აუცილებლობამდე მიიყვანა.

როლანდ რობერტსონი, არჯუნ აპარადურაი, მარტინ ოლბროუ, ერინ ფეხერსტონი, სქოთ ლეში, ჯონ ური და სხვა უპირატესობას ანიჭებდნენ არგუმენტაციას „Cultural theory“-ის ტრადიციების ფარგლებში. ისინი გადაჭრით გამოდიოდნენ მსოფლიოს მაკდონალდიზაციის გავრცელებული წარმოდგენის წინააღმდეგ. კულტურული გლობალიზაცია არ ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოს კულტურულ თვალსაზრისით ერთგვაროვანი გახდება. გლობალიზაცია ნიშნავს, უფრო მეტად, „გ-ლოკალიზაციას“. ე.ი. უმაღლეს დონემდე წინააღმდეგობრივ პროცესს, რაც ეხება, როგორც მის შინაარსს, ისე მის მრავალფეროვან შედეგებსაც. არსებობს ორი მეტად წინააღმდეგობრივი შედეგი, რაც იწვევს მსოფლიო საზოგადოების სტრატეგიკაციას: გლობალური სიმდიდრე და ლოკალური სიღარიბე, და აგრეთვე, კაპიტალი შრომის გარეშე.

თითოეული ზემოთდასახელებული ავტორი გლობალიზაციის წარმოშობასა და მის შედეგებს მიაკუთვნებს ინსტიტუციური საქმიანობის ერთ-ერთ სექტორს: ეკონომიკას, ტექნოლოგიას, საერთაშორისო პოლიტიკას, ეკოლოგიას, კულტურას ანუ კულტურის მსოფლიო ინდუსტრიას, აგრეთვე ახალ სოციალურ უთანაბრობას მსოფლიო მასშტაბით. ამ პერსპექტივების ურთიერთქმედების შედეგად იქმნება გლობალიზაციის პლურალისტური სოციოლოგიის სახე⁷.

გლობალიზაცია მრავალასპექტიანი მოვლენაა. იგი გავლენას ახდენს მთლიანად მსოფლიო საზოგადოებაზე და მასში მიმდინარე ყველა პროცესზე. გლობალიზაცია მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროს – ეკონომიკურ,

⁷ У. Бек., Что такое глобализация?: ошибки глобализма – ответы на глобализацию, перевод с немецкого А. Григорьева и В. Седельника, 2001.

პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, კურტურულ და ა. შ. ურთიერთობებს. ამიტომ, გლობალიზაციის ზოგადი განმარტების ჩამოყალიბება მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას. ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, კულტუროლოგიისა თუ სოციოლოგიის გამოყენება დაგვეხმარება გლობალიზაციის ზოგადი არსის გამოკვეთაში.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, „გლობალიზაცია არის ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც პლანეტარული მოვლენების გავრცელების ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ღირებულებათა ნებაყოფლობითი გავრცელებით განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების მრავალფეროვან სივრცეებში“⁸.

შედარებით სრულად მიგვაჩნია გლობალიზაციის შემდეგი ზოგადი განმარტება: გლობალიზაცია – ეს არის პლანეტარული მასშტაბის, ერთიანი, მაგრამ მრავალფეროვანი სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რის შედეგადაც ყალიბდება გლობალური მსოფლიო, სადაც თითოეული სახელმწიფო, თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ინდივიდუალურობით წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

ფრიად საყურადღებოა პროფესორ რ. გოგოხიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ გლობალიზაცია როგორც ობიექტური და კანონზომიერი პროცესი, „მსოფლიო კოსმოპოლიტურ გლობალიზაციასთან“ არ უნდა ავურიოთ. მსოფლიო კოსმოპოლიტური გლობალიზაციის თეორიის, როგორც დანაშაულებრივი უპერსპექტივობის, მიზანია დენაციონალიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება ყოველგვარი განსაზღვრული რელიგიურ-ზნეობრივი ფასეულობებისა და კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის გარეშე. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში საქართველოს კანონზომიერი ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის სამოსელს...⁹.

⁸ გ. თოდუა, გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საყოველთაო არსი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011, №1, გვ. 15.

⁹ რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004, გვ. 36.

„გლობალიზაციის პროცესი გარკვეულწილად საზოგადოების განვითარების შედეგს წარმოადგენს და მისი ფესვები კაცობრიობის განვითარების ისტორიის საწყისი ეტაპებიდან მოდის. გლობალიზაციის პროცესი ვითარდებოდა ადამიანის განვითარების, გარე სამყაროს შესახებ მისი ცოდნის ამადლების პარალელურად, რაც, თავის მხრივ, გლობალიზაციის ობიექტურ, გარდაუვალ ხასიათზე მიუთითებს. თუმცა, არც ობიექტურობა და არც გარდაუვალობა არ ნიშნავს პროგრესულობას. გლობალიზაცია პროგრესულია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს როგორც თვით ადამიანის, ასევე გარესამყაროს შესახებ ცოდნის ამადლების, განვითარების შედეგს“¹⁰.

მსოფლიოში მიმდინარე მრავალმხრივი გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის წინაშე წარმოიქმნება გლობალური პრობლემები (ეკოლოგიური, ენერგეტიკული, სასურსათო, სოციალური და ა. შ.), რომელთა გადაწყვეტა მსოფლიო მასშტაბით თანამშრომლობის გაღრმავებას, ყველა ქვეყნისა და ხალხის ერთობლივ მოქმედებას მოითხოვს. ეს კიდევ უფრო ხელს შეუწყობს გლობალიზაციის პროცესს, რის გამოც გლობალიზაცია შეუქცევად ხასიათს დებულობს.

გლობალიზაციის ისტორიული საწყისი მიმდინარე დებატების საგანია. ზოგიერთი მკვლევარი გლობალიზაციის საწყისს მიაწერს თანამედროვე ეპოქას, სხვანი გლობალიზაციას ახასიათებენ როგორც გრძელვადიან ისტორიულ ფენომენს.

ამერიკელი ჟურნალისტი, მიმომხილველი და მწერალი თომას ლორენ ფრიდმენი გლობალიზაციის ისტორიას სამ ნაწილად ყოფს: გლობალიზაცია 1 (1492-1800), გლობალიზაცია 2 (1800-2000) და გლობალიზაცია 3 (2000-დღემდე). იგი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია 1 - მოიცავს ქვეყნების გლობალიზაციას, გლობალიზაცია 2 - კომპანიების გლობალიზაციას და გლობალიზაცია 3 - ინდივიდების გლობალიზაციას¹¹.

გლობალიზაციის ღრმა ისტორიული საწყისის ყველაზე დიდი დამცველი ანდრეი გუნდერ ფრანკი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის ადრეული ფორმა არსებობდა მას შემდეგ, რაც გაიზარდა სავაჭრო ხაზი შუამერულ და ინდუსურ ცივილიზაციებს

¹⁰ ე. ეთერია, გლობალიზაცია და ანტიგლობალისტური მოძრაობა, შრომების კრებული – „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“, თბ., 2008, გვ. 44.

¹¹ <http://en.wikipedia.org/wiki/Globalization>

შორის, III ათასწლეულში ქრისტეს შობამდე. ამ იდეის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ეს ვარაუდი ეყრდნობა გლობალიზაციის მეტისმეტად უხეშ დეფინიციას¹².

მიუხედავად იმისა, რომ რიგი მეცნიერებისა გლობალიზაციის წარმოშობას ცალსახად თანამედროვე ეპოქას უკავშირებს და ჩვენც შეგვიძლია მას ჩვენს დროში სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სფეროში წინსვლის და განსაკუთრებით, ინტერნეტის აღმავლობის ერთგვარი პროდუქტი ვუწოდოთ, მეცნიერების სხვა ნაწილი გლობალიზაციის ისტორიას "აღმოჩენების ხანამდე" (მე-15 საუკუნის ადრეული პერიოდიდან მე-17 საუკუნემდე) და ე.წ. ახალი მსოფლიოსკენ მოგზაურობების ეპოქამდე გაცილებით ადრეულ პერიოდთან, ზოგიერთი კი თვით ქრისტეს შობამდე III ათასწლეულთან აკავშირებს¹³.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მოვლენებს, რომლებმაც მიგვიყვანა თანამედროვე გლობალიზაციამდე, „გლობალიზაციის წინამძღვრებს“ უწოდებს და მათ 3 ჯგუფად ყოფს (იხ. სქემა 1). ესენია:

1. ტექნოლოგიური ინოვაციები.
2. პოლიტიკური ცვლილებები.
3. ეკონომიკური პოლიტიკა.

ქვემოთ წარმოდგენილი სქემა, რომელშიც მოცემულია ის მოვლენები, რომლებმაც თანამედროვე გლობალიზაციამდე მიგვიყვანა, გვიჩვენებს, რომ გლობალიზაცია ისტორიულ-ლოგიკური პროცესია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს გლობალიზაციის შემდეგი მახასიათებლები: **ობიექტურობა, პროგრესულობა, შეუქცევადობა და ისტორიულ-ლოგიკურობა.**

თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია მსჯელობა გლობალიზაციური პროცესების ახალ ეტაპზე, რომლის მახასიათებლებია:

- სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელება პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ, ისე რომ გადაწყვეტილებები და მოვლენები

¹² <http://en.wikipedia.org/wiki/Globalization>

¹³ ხ. ჩაფინაძე, გლობალიზაციის ნეოლიბერალური ფორმულა საქართველოსთვის?, ელ. სტატია, 2012 ოქტომბერი.

მსოფლიოს ერთ რომელიმე რეგიონში გავლენას ახდენს მსოფლიოს სხვა რეგიონში მცხოვრებ საზოგადოებასა და ინდივიდებზე;

- ტრანსპორტისა და კომუნიკაციის უახლეს საშუალებათა გამოყენებით გლობალური ურთიერთქმედების არეალებისა და პროცესების ტემპის ზრდა... დაჩქარება;
- ზოგიერთი ლოკალური მოვლენის ზეგავლენა გლობალურ პროცესებზე, და პირიქით, გლობალური პროცესების აღბეჭდვა ლოკალური მოვლენების მიმდინარეობაზე, რაც მსოფლიოს წარმოაჩენს ერთიანი სოციალური სივრცის სახით;
- თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკა არ არის დამოუკიდებელი და აღარ მოქმედებს მხოლოდ ეროვნულ ტერიტორიალურ სივრცეში – გლობალიზაცია შლის ზღვარს საშინაო და საგარეო სპექტრებს შორის, რაც, თითქმის, ურთიერთშერწყმულია¹⁴.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გლობალიზაცია არ არის უბრალოდ ურთიერთდაკავშირებული პროცესების ერთიანობა. მიმდინარე პროცესები, ფაქტობრივად, შლის ჩვენს წარმოდგენაში ეროვნული სახელმწიფოების საზღვრებს როგორც ეკონომიკურს, ასევე პოლიტიკურს. ეს კონცეფცია მიგვითითებს კარდინალურ ცვლილებებზე სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში. დღეს უკვე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობა ორგანიზებულია და მიმდინარეობს არა მხოლოდ ლოკალურ ან ეროვნულ დონეებზე, არამედ – ტრანსნაციონალურ და გლობალურ დონეებზე. გლობალიზაციის შედეგად აღინიშნება ცვლილებები სოციალურ-პოლიტიკური წყობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონსა და კონტინენტზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება განვასხვავოთ გლობალიზაცია სხვა სივრცეში ლიმიტირებული პროცესებისაგან, როგორცაა, მაგალითად, ინტერნაციონალიზაცია და რეგიონალიზაცია.

ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს გლობალიზაციის საფუძველს. ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების

¹⁴ ვ. მელიქიძე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, 2006, გვ. 9.

ზრდას, მაშინ როდესაც გლობალიზაციის პირობებში იშლება ზღვარი საშინაო და საგარეო საკითხებს შორის.

სქემა 1. გლობალიზაციის წანამძღვრები

	ეკონომიკა	პოლიტიკა	ტექნოლოგია
1940 -	ბრეტონ ვუდის სავალუტო სისტემის დაარსება (1944-71)	გაეროს დაფუძნება (1945)	პლასტმასისა და ბოჭკოს პროდუქტების მასშტაბური წარმოება (1940)
	GATT-ის დაარსება (1947)	<ul style="list-style-type: none"> მარშალის გეგმის განხორციელება (1948-57) ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაარსება (1948) 	
	ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (CMEA) დაარსება საბჭოთა კავშირის მიერ კომუნისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის	<ul style="list-style-type: none"> დეკოლონიზაცია (1948-62) ჩინეთი ხდება სოციალისტური რესპუბლიკა (1949) 	ნავთობის საბადოების აღმოჩენა ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით საუდის არაბეთში (1948)
1950 -	<ul style="list-style-type: none"> ევროპული გაერთიანების (EC) დაარსება რომის ხელშეკრულებით (1957) თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის დაარსება (1959) 	<ul style="list-style-type: none"> კორეისომი (1950-53) სუეცის კრიზისი (1956) 	<ul style="list-style-type: none"> ახლო აღმოსავლეთიდან შემოტანილი ნავთობის მოხმარების ზრდა ევროპასა და იაპონიაში „ზუსტ დროში“ („Just-in-time“) წარმოების კონცეფციის დანერგვა ტოიოტას მიერ
	მთავარი ვალუტები ხდება კონვერტირებადი (1958-64)	დეკოლონიზაცია აფრიკაში (1958-1962)	რეაქტიული ძრავის მზარდი გამოყენება საჰაერო ტრანსპორტში (1957-72)
1960 -	ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC) დაარსება (1960)		პირველი ადამიანი კოსმოსსა (1961) და მთვარეზე (1969)
	ევროდოლარების ბაზრის წარმოშობა ლონდონში		მიკრო სქემები (ჩიპები) შევიდა კომერციულ მიმოქცევაში (1961)
	<ul style="list-style-type: none"> GATT-ის კენედის რაუნდი (1964-69) ავტომობილებისა და გაზატკეცილების სწრაფი ზრდის შედეგად საწვავის მოხმარების 	ბერლინის კედლის აღმართვა და კუბის (კარიბის) კრიზისი (1962)	ნავთობპროდუქტებისა და გაზის „ნაპირიდან მოშორებული“ წარმოების განვითარება

	ზრდა		
	აზიის ქვეყნების მიერ იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკასთან შედარებით ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკისთვის უპირატესობის მინიჭება		<ul style="list-style-type: none"> • მწვანე რევოლუცია - აგროკულტურული წარმოების გარდაქმნა განვითარებად ქვეყნებში (1960-იანი წლებიდან) • ჩქაროსნული მატარებლის პირველი ხაზის გახსნა იაპონიაში (1964) • მონბლანის გვირაბის გახსნა (1965)
1970 -	ამერიკული დოლარის ოქროს სტანდარტიდან გასვლა (1971)	რამადანის ომი (ოიშ-ქიფურის ომი)	გამოუშვეს პირველი მიკროპროცესორი ერთი ინტეგრალური (მიკრო) სქემით (1971)
	GATT-ის ტოკიოს რაუნდი (1973-79)	EU-ის გაფართოება 9 წევრამდე (1973)	
	ნავთობის შოკი (1973-74 და 1979)		
	<ul style="list-style-type: none"> • აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების განვითარება • ჩინეთის ეკონომიკური რეფორმა (1978) 		
1980 -	აშშ-ის ინფლაციის წარმატებით დაძლევა		IBM-ს შემოაქვს პირველი პერსონალური კომპიუტერი (1981)
	<ul style="list-style-type: none"> • განვითარებადი ქვეყნების დებეტის კრიზისი • მექსიკის მიერ საბაზრო რეფორმების დაწყება და GATT-თან შეერთება (1986) 	EU-ის გაფართოება 12 წევრამდე	მაიკროსოფტს შემოაქვს ვინდოუსი (1985)
	ლუვრის შეთანხმება, რომლის მიზანი იყო სავალუტო ბაზრების სტაბილიზება და დოლარის გაუფასურების შეწყობა	ბერლინის კედლის დანგრევა (1989)	
1090 -	<ul style="list-style-type: none"> • ინდოეთში ეკონომიკური რეფორმების განხორციელება (1991) • ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება (1994) • აზიის ფინანსური კრიზისი (1997) 	საბჭოთა კავშირის დაშლა (1991)	<ul style="list-style-type: none"> • ევროგვირაბის გახსნა, რომელმაც გაერთიანებული სამეფო კონტინენტთან დააკავშირა • მობილური ტელეფონების რაოდენობის ზრდა, რომელიც გამოიწვია მეორე თაობის ქსელების ზრდამ • პირველი 2G-GSM ქსელის

			ამუშავება ფინეთში
	WTO-ის დაარსება (1995)		<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო მასშტაბის ქსელის (WWW) შექმნა (1989) - პირველი ვებ-გვერდი ონლაინზე გამოჩნდა 1991 წელს • ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 300 მლნ-მდე (2000)
	ევროს შემოღება 11 ევროპულ ქვეყნაში (1999)	მაასტრიხტის ხელშეკრულების გაფორმება (1992)	
2000 -			საზღვაო გადაზიდვების 70%-ზე მეტი ხორციელდება კონტეინერებით
	ჩინეთი უერთდება WTO-ს (2001)		ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 800 მლნ-მდე (2005)
		EU-ის გაფართოება 27 წევრამდე	

წყარო: http://www.wto.org/english/res_e/booksp_e/anrep_e/wtr08-2b_e.pdf

გლობალიზაცია ნიშნავს ტრანსკონტინენტურ და ტრანსრეგიონულ ურთიერთობებს, ხოლო რეგიონის შიგნით მიმდინარე პროცესები არის რეგიონალიზაცია. ჩრდილო ამერიკას, ევროკავშირსა და აზიას – ამ სამ ეკონომიკურ ბლოკს შორის მიმდინარე ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობები გლობალიზაციის, ხოლო ამ ბლოკებს შიგნით მიმდინარე პროცესები კი – რეგიონალიზაციის მიმანიშნებელია.

გლობალიზაცია მრავალი მიმართულებით განვითარებადი პროცესია. დღეს მსჯელობენ იდეოლოგიურ, ინსტიტუციონალურ, მეცნიერებისა და ინოვაციების, სამხედრო, პოლიტიკის, ეკონომიკის და ა. შ. გლობალიზაციაზე (სქემა 2). თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთი მოვლენის განსხვავებულ განშტოებას, ანუ მათი ძირი საერთოა.

იდეოლოგიურ გლობალიზაციაში იგულისხმება ლიბერალური ფასეულობების – თავისუფლების, თანასწორობის, ასევე საკუთრების მსოფლიო მასშტაბით გავრცელება. აღნიშნულმა ფასეულობებმა პირველად უბიძგა მსოფლიოს გლობალურ

აღქმას. „დღეს საგანმანათლებლო სისტემების, მასობრივი ინფორმაციული საშუალებების და გლობალური საინფორმაციო სისტემების მეშვეობით ეს გლობალიზაციის იდეოლოგია წარმატებით ინერგება საზოგადოებრივ შემეცნებაში“¹⁵.

ინსტიტუციონალური გლობალიზაცია ვლინდება იმით, რომ მთელ მსოფლიოში იცავენ საბაზრო თამაშის და საზოგადოებრივი ქცევის ერთიან წესებს, რომელთაც ინსტიტუტებს უწოდებენ და რის შედეგადაც მიმდინარეობს მათი ფორმალური (კანონები, ნორმატივები) და არაფორმალური (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქცევის დაუწერელი წესები) გლობალიზაცია.

„გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა სახელმწიფოს ისეთი სპეციფიკური ფუნქციებიც, როგორც თავდაცვა და უსაფრთხოებაა. დღეს ძალიან ცოტა ქვეყანა თუ მოიძებნება, რომელიც თავდაცვის სტრატეგიად ნეიტრალიტეტს ან მხოლოდ საკუთარი ძალის იმედად ყოფნას ირჩევს. ახლა მთავარი როლი გლობალური და რეგიონული უშიშროების ინსტიტუტებს ენიჭება. სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის წარმოება გახდა ერთ-ერთი ინტერნაციონალიზებული სფერო, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო საწარმოების მჭიდრო თანამშრომლობა აღინიშნება“¹⁶.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა ერთგვარი სამხედრო გლობალიზაცია. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება, იმით, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი (ნატო) ევროპაში თავდაცვისა და უსაფრთხოების საყოველთაო, გლობალურ ორგანიზაციად იქცა.

პოლიტიკურ გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ერთიანი, საერთო საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი, რაც ვლინდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მისწრაფებაში ფართოდ დანერგოს დემოკრატია, დაიცვას ადამიანის უფლებები და სხვა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები. ამასთან, გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა მოითხოვს უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირი, რომელიც უახლოვდება ერთიან კონფედერაციულ სახელმწიფოს.

¹⁵ა. მოვსესიანი, ს. ოგნივცევი, მსოფლიო ეკონომიკა, თარაგმანი რუსულიდან შ. ვეშაპიძისა, თბ., 2003, გვ. 60.

¹⁶ბ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003, გვ. 221.


ევროკავშირს ამოძრავებს სურვილი, ხელი შეუწყოს ჰუმანური და პროგრესული ფასეულობების დამკვიდრებას და უზრუნველყოს, რომ კაცობრიობამ ისარგებლოს უზარმაზარი მიმდინარე გლობალური ცვლილებებით. ევროპელები ერთად უფრთხილდებიან ფასეულობათა მდიდარ მემკვიდრეობას: ადამიანის უფლებების პატივისცემას, სოციალურ სოლიდარობას, თავისუფალ მეწარმეობას, ეკონომიკური დოვლათის სამართლიან განაწილებას და ა. შ. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში ჩამოყალიბებულია ყველა ის უფლება, რომლებსაც დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და მათი მოქალაქეები აღიარებენ. ამის მხოლოდ ერთ მაგალითად ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის გაუქმება გამოდგება. ამასთან, ევროკავშირი ახორციელებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. 1999 წლამდე ევროკავშირის საბჭომ 70 საერთო პრინციპი მიიღო საგარეო პოლიტიკის საკითხებთან (დაწყებული ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ტიმორის მოვლენებით და დამთავრებული ატომური იარაღის გაგრძელების აღკვეთითა და ტერორიზმთან ბრძოლით) დაკავშირებით. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მიღებული საერთო პრინციპების შესრულება, რასაც პრეზიდენტი (მეთაური) ქვეყანა უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ფორუმების მეშვეობით. იმავე პერიოდში ევროკავშირის საბჭომ შეიმუშავა და შეათანხმა 50 საერთო ღონისძიება, მათ შორის, აფრიკასა და სხვა ტერიტორიებზე ნაღმების უვნებელყოფა და კრიზისულ ადგილებში, მაგალითად, ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლების გაგზავნა. 1999 წელს ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაზე გამიზნული საერთო სტრატეგია გარკვეული ქვეყნების თუ რეგიონებისთვის. 1999 წელს მიღებული იქნა საერთო სტრატეგია რუსეთისა და უკრაინისათვის, ხოლო 2000 წელს - ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებისათვის¹⁷. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში სწრაფად ყალიბდება ევროპის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა.

გლობალიზაციის პროცესმა ყველაზე აშკარად ეკონომიკაში იჩინა თავი. თვით ტერმინს – „გლობალიზაცია“, თავდაპირველად ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა

¹⁷ევროკომისია, ევროკავშირი და მსოფლიო, თბ., 2009, გვ. 8.

და სხვადასხვა პროდუქტის ბაზრების შერწყმას გულისხმობდა. მხოლოდ შემდეგ მიიღო მან უფრო ფართო მნიშვნელობა და ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და „უსაზღვრო მსოფლიოს“ აღმნიშვნელ ცნებად იქცა. მიუხედავად ამისა, ახლაც, გლობალიზაციაზე მსჯელობისას, ძირითადად ეკონომიკურ გლობალიზაციას გულისხმობენ და ამ მოვლენის დასახასიათებლად ეკონომიკური პარამეტრები მოყავთ ხოლმე.

სქემა 2. გლობალიზაციის ძირითადი მიმართულებები



სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ გლობალიზაციის ოთხ ძირითად მოდელს: ნეოლიბერალური, ამერიკული, გაეროს და ევროპული¹⁸.

1. ნეოლიბერალური მოდელი ითვალისწინებს: ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაციას; სამეწარმეო საქმიანობის დერეგულირებას; სახელმწიფო-

¹⁸ რ. ფუტკარაძე, ტრანსნაციონალური კორპორაციები და გლობალიზაცია, საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის შრომების კრებული, თბ., 2008.

სამეურნეო ფუნქციების შემცირებას; მკაცრად განსაზღვრულ ფისკალურ პოლიტიკას და ექსპორტზე ორიენტირებულ პოლიტიკას.

დოკუმენტების ეს პაკეტი ცნობილია „ვაშინგტონის კონსესუსის“ სახელწოდებით. თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისებმა ეჭვქვეშ დააყენა ვაშინგტონის კონსესუსის ზოგადი დებულება, ამიტომ მოხდა მისი გადაამუშავება და მისი ახალი რედაქცია ცნობილია „პოსტვაშინგტონური კონსესუსის“ სახელწოდებით. განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ უარი თქვეს ფინანსური სფეროს უპირობო დერეგულირებაზე.

2. ამერიკული მოდელი გულისხმობს ეკონომიკის ამერიკანიზაციას, ამერიკული კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციისა და კულტურული ექსპანსიის საფუძველზე.

3. გაეროს პროექტი გულისხმობს, რომ გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში წამყვანი როლი უნდა ითამაშოს გაერომ, რადგან მას თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე აკისრია პრობლემების ევოლუციური, არაძალადობრივი, დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა. 1999 წელს გაეროს ჩარჩოში შემუშავებულია პროექტი „გლობალური შეთანხმება“, რომელიც მზადაა თანამშრომლობისათვის საქმიან სამყაროსთან გლობალური პასუხისმგებლობის საფუძველზე. გლობალური პასუხისმგებლობა ითვალისწინებს მთელი რიგი ფუძემდებლური პრინციპების დაცვას, რომელიც საფუძველად უდევს გაეროს საქმიანობას. ამ პრინციპებს მიეკუთვნება: სამოქალაქო უფლებები და სამართლიანობის ნორმების დაცვა შრომითი ურთიერთობების სფეროში, გაერთიანებათა თავისუფლების, კოლექტიური გარიგებების უზრუნველყოფა, ყველა სახის ძალადობრივი ფორმების გამორიცხვა შრომით ურთიერთობებში და ბუნების დაცვის ნორმატივების დარღვევაზე პასუხისმგებლობა. ანუ ამას უწოდებენ გლობალიზაციას „ადამიანური სახით“.

4. ევროპული მოდელი ითვალისწინებს მონაწილე ქვეყნების შესვლას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და ადამიანების თავისუფალ მოძრაობას, აგრეთვე ეროვნული მთავრობების უფლებების გადაცემას ზენაციონალური სტრუქტურებისათვის. ამ შემთხვევაში გლობალიზაცია ემყარება

ისეთ გეოპოლიტიკურ სტრუქტურას, როგორცაა ევროკავშირი. ევროპული მოდელი შემოთავაზებულია ისეთი მეცნიერების მიერ, როგორცაა, ბურდიე, ლატური, გრანდი და სხვა.

თანამედროვე გლობალიზაციის თეორიულ-კონცეფტუალური საფუძველია ნეოლიბერალიზმი.

ნეოლიბერალიზმი, როგორც გვიანი XX საუკუნის ფილოსოფია, ფაქტობრივად წარმოიშვა ეკონომიკის შესახებ არსებული ნეოკლასიკური თეორიების გავლენის შედეგად. თავად ცნება „ნეოლიბერალიზმი“ სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც გლობალური საბაზრო ლიბერალიზმისა (კაპიტალიზმის) და თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების საერთაშორისო ქსელი. ხშირად ტერმინი გამოიყენება "გლობალიზაციის" ცნების მნიშვნელობით. ნეოლიბერალური პოლიტიკის ღერძული პრინციპებია: თავისუფალი "მარკეტი" და თავისუფალი ვაჭრობა. პრაქტიკულ პოლიტიკაში ნეოლიბერალური მიმართულების მთავარ და უმსხვილეს "აქტორებად" მიჩნეულნი არიან – "ტრანსნაციონალური კორპორაციები" (რა თქმა უნდა, "მსოფლიო ბანკთან" და "საერთაშორისო სავალუტო ფონდთან" ერთად).

ანტიგლობალისტები ეწინააღმდეგებიან მოსაზრებას, რომ გლობალიზაცია მთელი მსოფლიოსათვის ხელსაყრელია. მათი აზრით, მოწინავე განვითარებული ქვეყნები პირველ რიგში, დაინტერესებულნი არიან შეინარჩუნონ თავიანთი მადომინირებელი პოზიციები საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში და რომ ისინი არ მისცემენ თავიანთ პოტენციურ მოწინააღმდეგეებს, არა მარტო მათთვის თანაბარ ეკონომიკურ პირობებს, არამედ უფლებასაც კი - გააძლიერონ თავიანთი საფინანსო რესურსები. საეჭვოა, რომ სახელმწიფოებმა მოახერხონ და შეიმუშაონ მოქმედების ერთიანი, კოორდინირებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა მათი ეკონომიკური ინტერესები, მოქმედი ტრადიციები, კულტურა, ფასეულობები და სხვა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მრავალი მკვლევარი იზიარებს მოსაზრებას, რომ ისეთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთკავშირს, რომელიც თან ახლავს გლობალიზაციას, აქვს პოტენცია ემსახუროს არა მხოლოდ ელიტარული საზოგადოების, არამედ ხალხის ინტერესებს. ე.ი. გლობალიზაციას შეუძლია

კეთილდღეობა მოუტანოს მთელ მსოფლიოს, მაგრამ არა იმ გზით, რომლითაც იგი ხორციელდება, არამედ აუცილებელია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გლობალიზაციის დადებითი ეფექტებით სარგებლობას და უარყოფითი ეფექტების მინიმიზაციას. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო საზოგადოებაში სულ უფრო მეტს მსჯელობენ ალტერნატიული გლობალიზაციაზე, რომელსაც ხშირად უწოდებენ „ალტერგლობალიზმს“, „გლობალიზაციის სოციალურად ორიენტირებულ მოდელს“, „დემოკრატიულ გლობალიზაციას, „გლობალიზაციას ადამიანის სახით“. ალტერგლობალიზაციის მომხრეები განსხვავდებიან ანტიგლობალიზტებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი სახის გლობალიზაციას.

ალტერგლობალიზაცია არის იმ საზოგადოებრივი მოძრაობის სახელწოდება, რომელიც მხარს უჭერს გლობალურ თანამშრომლობასა და ურთიერთქმედებას და ამავე დროს, უპირისპირდება ეკონომიკური გლობალიზაციის უარყოფით შედეგებს. ამ მოძრაობის წევრების უმეტესობა თავს არიდებს „ანტიგლობალიზაციის“ იარლიყს, რადგან ისინი აქტიურად უჭერენ მხარს ადამიანის საქმიანობას მსოფლიო მასშტაბით და არ ეწინააღმდეგებიან ეკონომიკურ გლობალიზაციას. ანტიგლობალიზაციური მოძრაობა პროტესტს გამოთქვამს ნეოლიბერალურ გლობალიზაციის უარყოფითი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკურ შედეგებზე.

ალტერნატიული გლობალიზაციის მოდელი ანუ ალტერგლობალიზმი არის მეტასისტემა, რომელსაც იერარქიული სტრუქტურა გააჩნია. ამ უკანასკნელს კი წარმოქმნის სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი, კულტურული, ეკონომიკური და სხვა ბლოკების ერთიანობა. მეტამოდელში ეკონომიკური ბლოკი დაქვემდებარებულია სხვა დონეების მიმართ და პროცესის განვითარების კვალობაზე ამგვარი დაქვემდებარების მნიშვნელობა და ხარისხი განუხრელად მატულობს¹⁹.

ალტერგლობალიზმის საკუთრივ ეკონომიკური კომპონენტი გულისხმობს ა) ეროპოლუსიანი მსოფლიო ეკონომიკის შეცვლას მრავალპოლუსიანი გლობალური ეკონომიკით. ბ) თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირებისა და ეკონომიკური რეგულირების მექანიზმების შეხამებას ეროვნულ და ზეერვნულ დონეებზე. გ)

¹⁹ ე. მექვაბიშვილი, მ. მექვაბიშვილი, ეკონომიკური გლობალიზაციის მოდელი, ე. საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2008, №3, გვ. 96-101.

საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკური ორგანოების ძირეულ რეფორმირებას მათი საქმიანობის გამჭვირვალების, დეიდეოლოგიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით. ე) ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობაზე ზემოქმედების მიზნით ანტიმონოპოლიური რეგულირების საერთაშორისო ორგანოს შექმნას. ვ) რეალური ბერკეტებით აღჭურვილი გარემოს დაცვის საერთაშორისო სამსახურის შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურებში. ზ) საერთაშორისო სავალუტო ფონდის როგორც უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორის როლის ამაღლებას, რაც გულისხმობს მის განკარგულებაში არსებული ფულადი რესურსების გაზრდას. თ) მსოფლიოში შექმნილი „ტექნოლოგიური კვაზირენტის“ საფუძველზე გლობალური ტექნოლოგიური ფონდის ჩამოყალიბებას, რომლიდანაც უნდა განხორციელდეს ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების დაფინანსება²⁰.

ალტერგლობალიზმის უმნიშვნელოვანესი პრინციპია გლობალური ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, როცა წინა პლანზე გამოდის არა მოგების კრიტერიუმი, არამედ ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბებით სწრაფვა საყოველთაო კეთილდღეობისაკენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა სინგაპურელი მეცნიერის სიუ იანლინგის (Xu Yanling) მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ ბოლო ხანებში ადგილი აქვს ანტიგლობალიზაციურ ტენდენციებს, რაც წარმოადგენს პოლიტიკისა და იდეოლოგიის ახალ ფორმას. ანტიგლობალიზაცია და გლობალიზაცია დიამეტრიულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მისი აზრით, ანტიგლობალიზაციური ტენდენციები განხილულ უნდა იქნას არა ერთ, არამედ მრავალ ასპექტში: ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, სოციალურ და ა. შ. ასპექტში²¹.

სიუ იანლინგი თავის სტატიაში „ანტიგლობალიზაციის მრავალასპექტიანი პერსპექტივა“ აღნიშნავს, რომ ფილოსოფიურ ასპექტში ანტიგლობალიზაცია ელინდება იმ მწვავე კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებში, რომლებიც თან ახლავს

²⁰ ე. მექვაბიშვილი, მ. მექვაბიშვილი, ეკონომიკური გლობალიზაციის მოდელი, ქ. საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2008, №3, გვ. 96-101.

²¹ X. A Yanling, Multidimensional Perspective of the Antiglobalization, Journal of Globalization Studies, May, 2010, page 150.

გლობალიზაციას. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაცია არის წინააღმდეგობრივად განვითარებადი პროცესი, რომელსაც მიყვავართ როგორც ერთიანობის, ისე დაყოფისკენ, როგორც კულტურული დიფუზიის, ისევე განსხვავებულობის, ადგილობრივი ტრადიციებისა და კულტურული იდენტურობის ძიებისკენ. მას იქვე მოყავს ჩინელი მეცნიერი იუ ჩანგლინგი (Yue Changling), რომელმაც ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები, რომლებსაც ადგილი აქვს გლობალიზაციის პროცესში, დაყო ხუთ ჯგუფად: 1. უნივერსალიზაცია და განსხვავებულობისკენ სწრაფვა. 2. ერთგვაროვნება და მრავალფეროვნება. 3. ინტეგრაცია და ფრაგმენტაცია. 4. ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია. 5. სინკრეტიზაცია და დაპირისპირება. იგი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია არა მარტო ასახავს არსებულ დისბალანსს, არამედ წარმოშობს ახალ დისბალანსს და ახალ სისტემურ მოწყობას, ახალი მოვებულებითა და წაგებულებით. ამ თვალსაზრისით, არა აქვს მნიშვნელობა რა დონეს აღწევს გლობალიზაციის ხარისხი, ანტიგლობალიზაცია მისი თანმხლები მოვლენაა და წარმოადგენს გლობალიზაციის შედეგს მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. როცა გლობალიზაცია მიაღწევს ამ საფეხურს, სწორედ ამ დროს შეიძლება აღმოცენდეს წინააღმდეგობები და კონფლიქტები, ამგვარად, დაიწყოს ანტიგლობალიზაციის პროცესი. ე. ი. ანტიგლობალიზაცია და გლობალიზაცია არის სიმბიოზის ფენომენი, რომელიც ხელს უწყობს ერთმანეთს და ერთმანეთის თანმხლები პროცესია, ხოლო ანტიგლობალიზაციური პროცესების გააქტიურება და გლობალიზაციის სწრაფი განვითარება არის მონეტის ორი მხარე. პოლიტიკურ ასპექტში ანტიგლობალიზაცია ვლინდება კაპიტალიზმის წინააღმდეგ რადიკალურ პოლიტიკურ მოძრაობებში. ბევრი ანტიგლობალისტის აზრით, გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები არ არის გამოწვეული თვითონ გლობალიზაციის პროცესით, არამედ მისი სისტემური წყობილებით, კერძოდ, კაპიტალიზმით. ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ანტიგლობალიზაცია არის რადიკალური პოლიტიკური მოძრაობა კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ეკონომიკურ ასპექტში ანტიგლობალიზაცია აისახება ტრანსნაციონალური კორპორაციების გლობალური გაფართოებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებში. ანტიგლობალიზაციის პროცესი პირველ რიგში ემუქრებათ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. მათი აზრით თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კაპიტალის

ნაკადები მიემართება მთელ მსოფლიოში, ხოლო მოგება – მხოლოდ მის დასავლეთ ნაწილში. სტასტიკური მონაცემების მიხედვით მსოფლიოში არის 60 ათასზე მეტი ტნკ, რომლებიც აკონტროლებენ მსოფლიო წარმოების 40%-ს, მსოფლიო ვაჭრობის 50%-60%-ს და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 90%-ს. ეს ტნკ-ები თავიანთ საქმიანობას ასორციელებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც მას ხდის გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას²².

ანტიგლობალისტები მიიჩნევენ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების ერთადერთ საზრუნვს თავიანთი საქმიანობის გაფართოება და სახელმწიფოსაგან შეუზღუდავი პირობების მიღება წარმოადგენს, რათა მიაღწიონ მაქსიმალურ მოგებას. ტნკ-ები ზეგავლენას ახდენენ მთავრობებზე და გახდნენ მმართველი პოლიტიკური ძალები, რომლებიც მთავრობისაგან განსხვავებით არიან ანგარიშვალდებულნი მხოლოდ თავის მეწილეებთან და არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რაც მათ აიძულებს ხალხი დააყენონ მოგებაზე წინ. ანტიგლობალისტები ამტკიცებენ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების ამგვარი გლობალიზაცია არის სილატაკის, რადიკალიზმის და ცენტრალიზაციის საფუძველი, რაც იწვევს ხალხის შეშფოთებას. ხდება სუვერენული სივრცის თანდათან წართმევა. საბაზისო ელემენტების, როგორცაა, საზღვრები, ეროვნება, ეროვნული კულტურა თანდათან იშლება. ამგვარი გლობალიზაცია გამოიწვევს უფრო მეტად საზოგადოების დაყოფას, ვიდრე მის ინტეგრირებას. ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ მიიღონ შედეგათები ეროვნული კანონმდებლობიდან და წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან კიდევ, თავიანთი კაპიტალის „უკან წაღებით“. ამგვარად, ისინი იხდიან მინიმალურ გადასახადებს და მაქსიმალურად ამცირებენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე ტნკ-ების სწრაფ გაფართოებას წონასწორობიდან გამოყავს ანტიგლობალისტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მათ მსოფლიო მასშტაბით გავრცელებას.

ანტიგლობალიზაცია არის თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგი. უკანასკნელ წლებში ანტიგლობალიზაციური მოძრაობის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი არის თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფართოდ

²² X. A Yanling, Multidimensional Perspective of the Antiglobalization, Journal of Globalization Studies, May, 2010, page 152.

გამოყენება. ინტერნეტის დახმარებით იმართება ფართომასშტაბიანი ანტიგლობალიზაციური პროტესტი და მოძრაობები. არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა მიწაზე მცხოვრები, სხვადასხვა ფერის ადამიანებს შეუძლიათ შეიკრიბონ თვალის ერთ დახამხამებაში სიეტლში, სიდნეიში, დავოსში, პრაღაში და ა.შ. საპროტესტო გამოსვლებისათვის. თუმცა მათ არა აქვთ საერთო რელიგია და ეროვნება. ეს დაუცველი ჯგუფები, რომლებიც მოდიან მსოფლიოს ყველა კუთხიდან, დგებიან „სწორ ხაზზე“, წითელი დროშებით, მარქსის, ლენინის, მათ-ძედუნისა და ფიდელ კასტროს პორტრეტებით ხელში და გამოხატავენ პროტესტისა და ანტიგლობალიზაციის სლოგანებს სხვადასხვა ენებზე. გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევებთან და ანტიგლობალიზაციური აქტივობების კოორდინაციასთან ერთად ინტერნეტის ათვისების მეშვეობით, ანტიგლობალიზაციური ვებ-გვერდები გახდა ანტიგლობალიზაციური მოძრაობის გადამწყვეტი ძალა. ისინი თავდაპირველად დაქსაქსულ, ანტიგლობალიზაციურ მოძრაობას გარდაქმნიან კოლექტიურ პროტესტად, რომელიც კვეთს ეროვნულ საზღვრებს და აღწევს ტრანსნაციონალურ უზარმაზარ გლობალურ სივრცეებსაც კი.

ანტიგლობალიზაციის სწრაფი განვითარების პირობებში, ანტიგლობალიზაციური ვებ-გვერდების რიცხვი სწრაფად იზრდება, რომელიც ხელს უწყობს ანტიგლობალიზაციური მოძრაობის პროპაგანდას, მობილიზაციას, დაგეგმვასა და ორგანიზაციას. ქსელური მოძრაობის სხვა ფორმა არის ხშირი თავდასხმა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების და უზარმაზარი ტრანსნაციონალური კორპორაციების და სხვა გლობალური ეკონომიკური ორგანიზაციის ვებგვერდებზე ჰაკერების მეშვეობით, რათა გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება გლობალიზაციის პროცესისადმი. ერთი მხრივ, ისინი არიან სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ინტერესების გამავრცელებლები და, მეორე მხრივ, გამოხატავენ პირად ინტერესებს და ითხოვენ დახმარებას ანტიგლობალიზაციური მოძრაობების გლობალურად გავრცელებაში. ხშირად სთავაზობენ ტრენინგებს ანტიგლობალისტებისათვის, რათა გააფართოვონ თავიანთი გავლენა. ისინი აგრეთვე ქმნიან საკუთარ პრესცენტრებს თავიანთი წარმომადგენლებით, რათა გამოაქვეყნონ ინფორმაცია და ახალი ამბები.

პროფესიონალები, რომლებიც მხარს უჭერენ და გამოხატავენ სიმპათიას ანტიგლობალიზაციური მოძრაობების მიმართ, ხდებიან მათი იურიდიული მრჩეველები და კონსულტაციას უწევენ სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საკითხებზე²³.

ანტიგლობალისტების თვალთახედვით, გლობალიზაციის განსაზღვრება ხაზს უნდა უსვამდეს მის ძლიერ იდეოლოგიურ მახასიათებლებს. ამგვარად, იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. გლობალიზაცია ნიშნავს დასავლური კაპიტალისტური თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოდელის დანერგვას და უსამართლო და არათანასწორუფლებიანი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გაბატონებას. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან არა მხოლოდ ტექნოლოგიები და დიზაინი შემოდის, არამედ ინტერნეტ-ვაჭრობის, ელექტრონული კომერციისა და ა. შ. წესები ყალიბდება მათ მიერ, მათ შორის გლობალიზაციის თამაშის წესები. ამ ქვეყნებს სურთ დაიკავონ გაბატონებული პოზიცია სამუდამოდ და წილად ხვდეთ „ნამცხვრის“ უდიდესი ნაწილი. ეს გვიჩვენებს, რომ გლობალიზაცია, რომელსაც მხარს უჭერს დასავლეთის ქვეყნები არის მხოლოდ სუბიექტური კონცეფცია, რომელიც გამოხატავს მათ სუბიექტურ სურვილს.
2. გლობალიზაცია ნიშნავს დასავლეთის პოლიტიკური სისტემისა და ღირებულებების დამკვიდრებას ეკონომიკური გლობალიზაციის მეშვეობით. ამერიკული სწრაფი კვება და პოპ-მუსიკა მთელ მსოფლიოში შემოდის მოდაში. მაიკროსოფტის პროდუქტებს მონოპოლია აქვთ მსოფლიო კომპიუტერულ ბაზრებზე და ინგლისური თითქმის მსოფლიო ენა გახდა. ეს ყველაფერი მიგვითითებს „გლობალურ ამერიკანიზაციაზე“²⁴.

სოციალურ ასპექტში ანტიგლობალიზაცია აისახება გლობალური პრობლემების დაძლევის მცდელობის ალტერნატიულ გზაში. ანტიგლობალისტები იკვლევენ

²³ X. A Yanling, Multidimensional Perspective of the Antiglobalization, Journal of Globalization Studies, May, 2010, page 155.

²⁴ X. A Yanling, Multidimensional Perspective of the Antiglobalization, Journal of Globalization Studies, May, 2010, page 156.

სოციალურ სიღარიბეს, რომელიც წარმოიშვა გლობალიზაციის პროცესში. მათ სჯერათ, რომ ასეთი სიღარიბე არის „სიღარიბე კეთილდღეობაში“ - ერთის მხრივ, გლობალიზაცია ქმნის უფრო და უფრო მეტ სიმდიდრეს, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალური სიღარიბე ხდება უფრო და უფრო თვალსაჩინო. ერთ-ერთმა ყოფილმა პრეზიდენტმა, ლათინური ამერიკიდან, ერთხელ თქვა, დასავლეთს აქვს „ნამცხვარი“, ჩვენთვის მხოლოდ მისი „ნამცვეცებია“. ჩვენ ვხედავთ სიმდიდრეს, ძალას, განძს და კომფორტს გლობალიზაციის ცენტრში, მაგრამ მის განაპირას ჩვენ ვხვდებით სიღარიბეს, შიმშილსა და კრიზისს. ახალ საუკუნეში, როცა განვითარებული ქვეყნები გარდაიქმნა ინფორმაციულ და ციფრულ საზოგადოებად, გლობალიზაციის განაპირა ადგილები აღმოჩნდა სრულიად განსხვავებულ სამყაროში. „ციფრული ჩამორჩენა“ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არის უფრო დიდი, ვიდრე ჩამორჩენა მათ ეკონომიკებს შორის. ყველაზე მაღალშემოსავლიანი ადამიანების ერთი მეთხუთმეტედი ფლობს მსოფლიო მშპ-ის 86%-ს. განვითარებულ ქვეყნებში ყოველ 1000 მოსახლეზე მოდის 300 კომპიუტერი, მაშინ, როცა განვითარებად ქვეყნებში ეს რიცხვი არის 16. ამიტომ ანტიგლობალისტები სწუხან იმაზე, რომ განვითარებადი ქვეყნები დარჩებიან სუსტი და შედარებით პასიური ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში საკმაოდ დიდხანს²⁵.

ანტიგლობალისტები ასევე იკვლევენ ისეთ გლობალურ პრობლემას, როგორცაა ეკოლოგიური კრიზისი. მათ სჯერათ რომ გლობალიზაციის ტვირთი ნეგატიურად ზემოქმედებს გარემოზე და ის შეიძლება განადგურდეს ბოლო სასიკვდილო დარტყმით. გლობალიზაციის საუკუნეში „სამშობლოს“ საკითხი ხდება თანდათან სერიოზული, ანტიგლობალისტების თვალში მარკეტოზაცია, ურბანიზაცია, სიმდიდრის არასწორი განაწილება და მდიდარი ადამიანების მიერ გადაჭარბებული მოხმარება არის გარემოს დეგრადაციისა და გაუარესების ძირითადი მიზეზები. გლობალიზაციის „დამაბინძურებელი“ ეფექტები სერიოზულ საფრთხეს უქმნის განვითარებადი ქვეყნების მდგრად განვითარებას. განვითარებული მსოფლიო ფოკუსირდება ცოდნის ინდუსტრიაზე დაბინძურების გარეშე და მაღალი დამატებითი ღირებულებით, მაშინ, როდესაც მესამე სამყარო ხდება გადამამუშავებელი მრეწველობისა და

²⁵ იქვე.

რესურსინტერსიური პროდუქტების მწარმოებელი სამუშაო ძალის მთავარი სუპერმარკეტი. მესამე სამყარო განიცდის ყველაზე მეტ გარემოსდაცვით დანაკარგებს. მსოფლიო მოსახლეობის 2 700 000 ადამიანიდან, რომელიც იღუპება ჰაერის დაბინძურებით ყოველ წელს, 90% მოდის მესამე სამყაროზე. გაეროს ადამიანური განვითარების შესახებ მოხსენების თანახმად (1998). ბავშვი, რომელიც იზადება ბრიტანეთში, საფრანგეთში და ამერიკაში, მოიხმარს უფრო მეტ რესურსს და წარმოშობს უფრო მეტ ნარჩენებს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში დაბადებული 50 ბავშვი. არსებობს ერთი მილიარდი ადამიანი, რომელიც გარეთ რჩება „მომხმარებელი საზოგადოებისგან“. ისინი ყველაზე მეტად განიცდიან რესურსების და ნარჩენების არათანაბარ განაწილებას²⁶.

ანტიგლობალისტებისათვის საერთაშორისო ტერორიზმი არის ახალი გლობალური პრობლემა. ტერორიზმი არის რეაქცია პოლიტიკური და სამხედრო გლობალიზაციის წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერენ დასავლეთის განვითარებული ქვეყნები. ჯონ გრეი, ცნობილი ბრიტანელი კრიტიკოსი, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, როდესაც მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებს დარტყმა მიაღება, წერდა: „გლობალიზაციის ერა დასასრულს მიუახლოვდა. მსოფლმხედველობა, რომ ბაზრები ეფუძნება გლობალიზაციას, დაიშალა. სტივენ როუჩს, მორგანის წამყვან ეკონომისტს სჯერა, რომ ეს დარტყმა და მისი შედეგები გლობალიზაციის გაკოტრებას გამოიწვევს²⁷.

სუ იანლინგი ამავე ნაშრომში არნიშნავს, რომ გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. იგი ასახელებს გლობალიზაციის მომხრეების არგუმენტებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია არის ყველაზე ძლიერი მექანიზმი ცხოვრების სტანდარტების ამაღლებისთვის, რაც კი ოდესმე ყოფილა:

გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია ქმნის საუკეთესო პირობებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის, რომელიც ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას აძლევს აწარმოონ ყველაზე ხელსაყრელ პირობებში და გაყიდონ ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. გლობალიზაციის კონცეფცია ასახავს იდეალურ

²⁶ X. A Yanling, Multidimensional Perspective of the Antiglobalization, Journal of Globalization Studies, May, 2010, page 157.

²⁷ იქვე.

განვითარებას, რაც ნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკას შეუძლია მიაღწიოს ერთიან ბაზარს, რასაც შედეგად მოყვება ეფექტიანობის გაუმჯობესება და ისეთი პროდუქტები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს. გლობალიზაცია არის რევოლუცია, რომელიც მეწარმეებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ კაპიტალი, ტექნოლოგია, მენეჯმენტის მიღწევები და სამუშაო ძალა ნებისმიერ ადგილზე მსოფლიოში, აწარმოონ იქ, სადაც სურთ და გაყიდონ პროდუქტი იქ, სადაც მასზე ყველაზე მაღალია მოთხოვნა;

ანტიგლობალისტები უგულბებლყოფენ ვაჭრობით მიღებული სარგებლის ლოგიკას, როცა ვაჭრობა ხდება პოლიტიკური საზღვრების გადაკვეთით. თუ ვაჭრობა საზიანოა ცალკეულ ჯგუფებისათვის, რატომ არ ესადაგება ერთი და იმავე ლოგიკა ვაჭრობას პოლიტიკური საზღვრების შიგნით და პოლიტიკური საზღვრების გარეთ;

გლობალიზაცია ხელს უწყობს, როგორც ეკონომიკის განვითარებას, ისე დემოკრატიისა და სამოქალაქო უფლებების განვითარებას;

გლობალიზაცია ქმნის სიღარიბის უფრო სწრაფად დაძლევის შესაძლებლობას და ისინი ვინც ამტკიცებენ, რომ გლობალიზაციამ გაამწვავა სიღარიბე მსოფლიო მასშტაბით, ცდებიან. მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ჩინეთისა და ინდოეთის სასოფლო ტერიტორიებზე. მას შემდეგ, რაც გლობალიზაცია დაიწყო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკაში, ღარიბმა მოსახლეობამ მნიშვნელოვანი სარგებელი ნახა. აღმოსავლეთ აზიის განვითარებად ქვეყნებში იმ მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც ცხოვრობს დღეში ერთ დოლარზე ნაკლები შემოსავლით, შემცირდა, ხოლო სამხრეთ საჰარის აფრიკაში, სადაც ნაკლებად კეთილგანწყობილნი იყვნენ გლობალიზაციისადმი, სიღარიბე გაიზარდა, მაშინ, როცა მსოფლიოს სხვა ნაწილში ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა;

გლობალიზაციის ოპონენტების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არის ის, რომ გლობალიზაცია ანადგურებს კულტურებს და რომ მას მიყვარს გლობალური კულტურული ჰომოგენიზაციისკენ. ერთ-ერთი მოსაზრებით, კორპორაციის ლოგოები და სავაჭრო მარკები გახდა ერთგვარი საერთაშორისო ენა, რომელიც ყველგანაა მოდებული. ეს კი ბევრ ადამიანს მესამე სამყაროში ართმევს შანსს, განავითაროს განსხვავებული კულტურა. თუმცა, გლობალიზაციის ზოგიერთი დამცველი ამტკიცებს, რომ რეალურად კულტურა შედგება ღრმა მორალური ნორმებისაგან და

სამომხმარებლო კულტურაში ზედაპირული ერთგვაროვნება არ გამოიწვევს კულტურულ ჰომოგენიზაციას.

გლობალიზაციას მივეყვართ ინდივიდუალურ უფლებამოსილებამდე. გლობალიზაციამ კი არ შეამცირა ცალკეული მოქალაქის თავისუფლება, არამედ, პირიქით, ის უზრუნველყოფს უფრო მეტ თავისუფლებას ინდივიდუალური აქტივობებისათვის. თანამედროვე მედიაში, ინტერნეტთან ერთად, ყველაზე პატარა და დაშორებულ ჯგუფებსაც კი უფრო ეფექტიანად დაკავშირებისა და თავიანთი ინტერესების წინ წამოწევის საშუალება მისცა.

ბევრი პრობლემა, რომლებიც ანტიგლობალიზაციურმა მოძრაობამ წამოჭრა, არ უკავშირდება გლობალიზაციას. ისინი გამოწვეულია არასწორი სამთავრობო მმართველობით და სახელმწიფო ორგანოების უუნარობით, დაიცვან თავიანთი მოქალაქეების უფლებები და თავიდან აიცილონ ბაზრის არასასურველი შედეგები, მიიღოს ადეკვატური ზომები სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებისათვის²⁸.

სიუ იანლინგის აზრით, იდეალური მსოფლიოს მიღწევა, რომელსაც გულისხმობს ალტერგლობალიზაცია არც გლობალიზაციას ეყრდობა მთლიანად და არც ანტიგლობალიზაციას, არამედ ორივე მათგანის ურთიერთქმედებას ანუ გლობალიზაციის უფრო მეტ პროგრესულობას და იმ პრობლემებზე რეაგირებას, რომლებიც წამოჭრა ანტიგლობალიზაციამ. ამან შეიძლება წარმოშვას ახალი კონცეფცია, რომელიც იქნება გლობალიზაციისა და ანტიგლობალიზაციას შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის გზა²⁹.

ჩვენი აზრით, ალტერნატიული გლობალიზაციის მოდელი თავისთავად წარმოგვიდგება, როგორც პლანეტარული მასშტაბის, ერთიანი, მაგრამ მრავალფეროვანი სისტემა, სადაც თითოეული სახელმწიფო, თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ინდივიდუალურობით წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს და არ მოდის წინააღმდეგობაში ერთიანი სისტემის პრინციპებთან. აღნიშნული ერთიანი სისტემის პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს:

1. ადამიანის უფლებების პატივისცემა.

²⁸ X. ,A., Yanling Multidimensional Perspective of the Antiglobalization, Journal of Globalization Studies, May, 2010, pages 159-160.

²⁹ იქვე.

2. საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია.
3. მეწარმეობის თავისუფლება.
4. ეკონომიკური განვითარების პროდუქტების სამართლიანი განაწილება.
5. კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემა.

აქ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გლობალიზაციის პროცესში შესაძლებელია იდენტურობისა და თავისთავადობის შენარჩუნება. ამდენად, გლობალური მსოფლიოს ერთ-ერთი მახასიათებელია კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება.

1.2 ეკონომიკური გლობალიზაციის კონცეფცია და მისი გაზომვის პრობლემები

გლობალიზაციის კონცეფცია გულისხმობს როგორც ეროვნულ საზღვრებს გარეთ საქონლისა და რესურსების მზარდი ნაკადების მოძრაობას, ესევე ურთიერთშემავსებელი ორგანიზაციული სტრუქტურების ჯგუფის ჩამოყალიბებას საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობისა და ტრანზაქციების ფართო ქსელის სამართავად, რის შედეგადაც ყალიბდება გლობალური ეკონომიკური სისტემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ფირმები და ფინანსური ინსტიტუტები ფუნქციონირებს ტრანსნაციონალურად, ე.ი. ეროვნულ საზღვრებს გარეთ. ასეთ იდეალურ სამყაროში ეროვნული სახელმწიფო აღარაა განსაკუთრებული ეკონომიკური სუბიექტი საკუთარი მიზნების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების ავტონომიური ძალაუფლებით. პასუხისმგებლობაც აღეკვატურად გლობალური იქნებოდა ღია საბაზრო სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების – საკუთრების უფლების დაცვისა და სტაბილური მონეტარული სისტემის არსებობაზე, საერთო ეკონომიკური მდგომარეობა კი –

დამოკიდებული გლობალური ბაზრის სტიმულებზე ფირმების რეაგირებასა და გლობალური რეგულაციების ეფექტიანობაზე.

თუმცა, მსოფლიო ეკონომიკა შორსაა ასეთი ზესახელმწიფოებრივი პირადიგმისაგან. „არსებული სიტუაციის უფრო შესატყვისი აღწერაა გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, სადაც ბაზრებსა და, აგრეთვე, საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას შორის საერთაშორისო კავშირები ახლა იმდენად ძლიერია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის საზღვრებსგარეთ არსებული პოლიტიკა და განვითარებული მოვლენები. მიუხედავად ამისა, ქვეყნის რესურსულ შესაძლებლობებს, ინსტიტუციურ რეგულირებასა და პოლიტიკურ არჩევანს დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკური მდგომარეობისათვის, რაც, აგრეთვე, განსაზღვრავს ამ მდგომარეობაზე საერთაშორისო ძალების გავლენის ფორმას“³⁰.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია არის ეროვნული ეკონომიკების მსოფლიო მასშტაბით ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პროცესი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, ტერმინი „გლობალიზაცია“ აღნიშნავს საქონლისა და მომსახურების ბაზრების, ფინანსური სისტემის, კორპორაციებისა და დარგების, ტექნოლოგიებისა და კონკურენციის ინტერნაციონალიზაციის ზრდის პროცესს³¹.

მარტივი განმარტებით, ეკონომიკის გლობალიზაცია გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესია, ხოლო, თავის მხრივ, გლობალური ეკონომიკა არის ერთიანი, პლანეტარული მასშტაბის ეკონომიკური სისტემა, რომელიც შედგება კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული ეროვნული ეკონომიკებისაგან. აღნიშნული კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ცვლის მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათს და წარმოშობს გლობალურ ეკონომიკას, სადაც არ არის სახელმწიფოებრივი საზღვრები და ეროვნული სახელმწიფო აღარ არის ერთადერთი მთავარი მოთამაშე.

³⁰UNCTAD, Trade and development report, 1997, New York and Geneva, p. 70.

³¹OECD, Measuring Globalization, 2010, p. 16.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ძირითად ელემენტს სწრაფად განვითარებად გლობალიზაციის პროცესში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის პირდაპირ, სტაბილურ და გრძელვადიან კავშირებს ეკონომიკებს შორის. ის წარმოადგენს ადგილობრივი საწარმოების განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას და მას აგრეთვე შეუძლია მიმღები ქვეყნის კონკურენტული პოზიციის გაუმჯობესება. სახელდობრ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ტექნოლოგიებისა და „ნოუ-ჰაუს“ ტრანსფერს ქვეყნებს შორის და შესაძლებლობას აძლევს მიმღებ ქვეყანას უფრო ფართოდ გაიტანოს თავისი პროდუქტები საერთაშორისო ბაზრებზე.

გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) განმარტებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის ინვესტიციის კატეგორია, რაც გამოხატავს ერთი ქვეყნის რეზიდენტი საწარმოს³² (პირდაპირი ინვესტორი) მიზანს გრძელვადიანი ინტერესით დააფუძნოს საწარმო (პირდაპირი ინვესტირების საწარმო) იმ ქვეყანაში, რომლის რეზიდენტიც იგი არაა. გრძელვადიანი ინტერესი აღნიშნავს გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის და ამ საწარმოს მართვაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას. ამგვარ ურთიერთობად ითვლება ერთი ქვეყნის რეზიდენტი საწარმოს ხშიანი წილის 10 ან მეტი პროცენტის სხვა ქვეყნის რეზიდენტი ინვესტორის მიერ ფლობა³³.

პირდაპირი ინვესტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ჩამოთვლილთაგან: 1. ფიზიკური პირი ან 2. ნათესავი ფიზიკური პირების ჯგუფი. 3. კორპორაციული და არაკორპორაციული საწარმო. 4. სახელმწიფო ან კერძო საწარმო. 5. ერთმანეთთან დაკავშირებული საწარმოთა ჯგუფი. 6. სახელმწიფო ორგანო. 7. ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. 8. ან ზემოთ ჩამოთვლილის ნებისმიერი კომბინაცია.

პირდაპირი ინვესტირების საწარმოს კატეგორია მოიცავს ფილიალებს (არაკორპორაციულ საწარმოებს), შვილობილ კომპანიებს (კორპორაციული საწარმოები, სადაც 50%-ზე მეტს ფლობს პირდაპირი ინვესტორი), და ასოცირებული

³² ტერმინი „საწარმო“ აღნიშნავს პირს, რომელიც საქმიანობს ქვეყანაში, როგორც კორპორაცია ან არაკორპორაციული ფილიალი. „საწარმო შეიძლება იყოს კერძო მფლობელობასა და /ან კონტროლის ქვეშ ან სახელმწიფო მფლობელობაში და/ან კონტროლის ქვეშ ან რეზიდენტის და/ან არარეზიდენტის კონტროლის ქვეშ“ (IMF, BPM5, paragraph 75).

³³ UNCTAD, Training Manual, p. 15-16.

კომპანიებს (კორპორაციული საწარმოები, სადაც 10-დან 50%-მდე ეკუთვნის პირდაპირ ინვესტორს).

ამავე ორგანიზაციის განმარტებით, საწარმო, რომელშიც ინვესტორი პირდაპირ ფლობს ხმანი უფლების სულ მცირე 10 და არაუმეტეს 50%-ს, მიიჩნევა ასოცირებულ კომპანიად; როცა ინვესტორი და მისი შვილობილი კომპანია ერთობლივად ფლობენ ხმანი უფლების სულ მცირე 10%-ს და არაუმეტეს 50%-ისა, საწარმო წარმოადგენს ინვესტორის ასოცირებულ კომპანიას. საწარმო, რომელშიც ასოცირებული საწარმო ფლობს 50%-ზე მეტს, მიიჩნევა უფრო მაღალი საფეხურის ინვესტორის ასოცირებულ კომპანიად.

შვილობილი კომპანია არის პირდაპირი ინვესტირების საწარმო, რომელშიც ინვესტორი ფლობს ხმანი უფლების 50%-ზე მეტს. თუ ინვესტორი და მისი შვილობილი საწარმო ერთობლივად ფლობენ სხვა საწარმოს ხმანი უფლების 50%-ზე მეტს, ეს საწარმო აგრეთვე ითვლება ინვესტორი საწარმოს შვილობილ კომპანიად.

ფილიალი არის არაკორპორაციული საწარმო, რომელსაც მთლიანად ან სხვასთან ერთად ფლობს პირდაპირი ინვესტორი. პირდაპირი ინვესტირების ფილიალი არის არაკორპორაციული საწარმო, რომელიც არის

1. პირდაპირი უცხოელი ინვესტორის მუდმივი დაწესებულება ან ოფისი ან
2. არაკორპორაციული პარტნიორობა ან ერთობლივი საწარმო პირდაპირ უცხოურ ინვესტორსა და მესამე მხარეს შორის ან
3. მიწის ნაკვეთი, ნაგებობა, უძრავი ქონება და ობიექტები მიმღებ ქვეყანაში, რომელსაც პირდაპირ ფლობენ უცხოელი რეზიდენტები ან
4. მოძრავი აღჭურვილობა (როგორცაა გემები, თვითმფრინავი, გაზისა და ნავთობის ჭაბურღილები), რაც ექსპლუატაციაშია ქვეყნის შიგნით სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში, თუ იგი აღირიცხება განცალკევებულად და აღიარებულია საგადასახადო ორგანოს მიერ.

ასოცირებული და შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების გამაერთიანებელი ტერმინია „კომპანიონი (affiliate)“, თუმცა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში პირდაპირი ინვესტირების ყველა ტიპის საწარმოს აღსანიშნავად გამოიყენება

ტერმინი „ფილიალი“. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში ტერმინ „კომპანიონის“ ნაცვლად გამოვიყენებთ ტერმინ „ფილიალს“.

საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს აგრეთვე გლობალიზაციის პროცესის მთავარ კომპონენტს. ექსპორტის დროს ადგილობრივი მწარმოებლები უცხოურ ბაზრებზე ხდებიან დამოკიდებული, ხოლო იმპორტის დროს ადგილობრივი ბაზრები დამოკიდებული ხდება უცხოელ მწარმოებლებზე.

ტექნოლოგიებმა, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკის გლობალიზაციაში.

ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაციამ შეიძლება მიიღოს ძალზე ბევრი ფორმა: სამრეწველო კვლევებისა და განვითარების ინტერნაციონალიზაცია; ტექნოლოგიებიდან მიღებული და გაცემული შემოსავლები; მაღალტექნოლოგიური პროდუქტებით ვაჭრობა; სამთავრობო კვლევები და განვითარება; პატენტებზე საერთაშორისო განაცხადები; სტრატეგიული ტექნოლოგიური ალიანსები; სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის შეთანხმებები და აგრეთვე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიგრაცია.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია მეტად რთული და მრავალასპექტიანი პრობლემაა, რომელიც მთელ კაცობრიობას ეხება. მისი საფუძველია წარმოების ზრდადი ინტერნაციონალიზაცია. ამ ცნებაში იგულისხმება მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების საწარმოებს შორის მყარი ეკონომიკური კავშირის დამყარება და განვითარება. ეს ობიექტური პროცესია და შრომის საერთაშორისო დანაწილების შედეგი, რომლის მუდმივი თანამგზავრია წარმოების კოოპერაცია. წარმოების ინტერნაციონალიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ტრანსპორტის სწრაფი განვითარება და ტრანსპორტირების დანახარჯის მკვეთრი შემცირება, ძირითადად „საკონტეინერო რევოლუციის“ საფუძველზე. წარმოების ინტერნაციონალიზაციას აგრეთვე მძლავრი ბიძგი მისცა კავშირგაბმულობის სისტემის სრულყოფამ და ინფორმაციული სისტემის შექმნამ.

წარმოების ინტერნაციონალიზაციამ, თავის მხრივ, განაპირობა ეროვნული კაპიტალების დაკავშირებისა და გაერთიანების პროცესის გაღრმავება, ანუ კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია. მისი გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა ეროვნული კომპანიების გარდაქმნა უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიებად. ამ

პროცესის მეორე გამოვლინებაა სასესო კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, რომელმაც საგარეო ვალის გლობალური პრობლემა წარმოშვა. წარმოების ინტერნაციონალიზაციის ყველაზე უმაღლესი ფორმაა ინტეგრაციული პროცესების (ევროკავშირი, საერთო ბაზარი და სხვა) განვითარება.

ტერმინი „გლობალიზაცია“ ხშირად გამოიყენება ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებთან მიმართებით როგორცაა ბაზარი, წარმოება, კონკურენცია და ა. შ. 1984 წელს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორმა თეოდორ ლევიტმა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ბაზრების გლობალიზაცია“, სადაც იგი აღნიშნავს, რომ სახეზეა ბაზრების გლობალიზაცია. იგი მიიჩნევს, რომ საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი პროდუქტების მსოფლიო მასშტაბით წარმატება ამტკიცებს იმას, რომ მთელ მსოფლიოში მომხმარებლები, მიუხედავად ღრმადჩანერგილი კულტურული განსხვავებულობისა, თანდათან უფრო მსგავსი ანუ ჰომოგენური ხდება. იგი წერს: „ძლიერი ძალები მიმართავენ მსოფლიოს კონვერგენციული საზოგადოებისკენ და ეს ძალა არის ტექნოლოგია. მან მოახდინა კომუნიკაციის, ტრანსპორტისა და მგზავრობის პროლეტარიზება. მან იზოლირებულ ადგილებსა და ხალხს სურვილი აღუძრა თანამედროვეობის მიმზიდველობისაკენ. თითქმის ყველას სურს ყველა ის ნივთი, რის შესახებაც გაუგონიათ, უნახავთ ან განუცდიათ ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით. ამის შედეგია ახალი კომერციული რეალობა – გლობალური ბაზრების წარმოშობა სტანდარტიზებული სამომხმარებლო პროდუქტებისათვის წინათ წარმოუდგენელი მასშტაბით. კორპორაციები ჩაებლაუჭენ ამ ახალი რეალობის სარგებელს, რაც მიიღება უზარმაზარი მასშტაბის ეკონომიიდან წარმოებაში, დისტრიბუციაში, მარკეტინგსა და მენეჯმენტში. ამ სარგებლის შემცირებულ მსოფლიო ფასებში გარდაქმნით, მათ შეუძლიათ მასიურად გაანადგურონ კონკურენტები, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობენ ძველი წარმოდგენებით იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს მსოფლიო“³⁴.

თეოდორ ლევიტი მიიჩნევს, რომ წარსულს ჩაბარდა ჩვეული განსხვავებები ეროვნულ და რეგიონულ უპირატესობებში. წარსულს ჩაბარდა ის დრო როცა კომპანიას შეეძლო გაეყიდა ძველი მოდელები, ანუ მოწინავე პროდუქტების

³⁴ T. Levitt., The globalization of markets, online journal McKinsey Quarterly, summer 1984, p. 2.

შედარებით ნაკლებგანვითარებული ვერსიები ნაკლებად განვითარებულ სამყაროში და წარსულს ჩაბარდა დრო, როცა ფასები, მარჟა და მოგება საზღვარგარეთ, როგორც წესი, იყო უფრო მაღალი იყო ვიდრე ქვეყნის შიგნით. მისი აზრით, სახეხეა ბაზრების გლობალიზაციის პროცესი, რასთან ერთადაც მრავალეროვნული კომერციული მსოფლიო უახლოვდება თავის დასასრულს და ასევე – მრავალეროვნული კორპორაციები. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მრავალეროვნული და გლობალური კორპორაცია არაა ერთი და იგივე. მრავალეროვნული კორპორაცია საქმიანობს მრავალ ქვეყანაში და თითოეულ მათგანში ახდენს თავისი პროდუქტების და საქმიანობის ადაპტირებას მაღალი დანახარჯებით. გლობალური კორპორაცია საქმიანობს ისე თითქოს მთელი მსოფლიო არის ერთი მთლიანი. ის ყიდის ერთიდაიმავე საქონელს ყველგან ერთნაირი ხერხით³⁵.

სიტყვა „გლობალიზაცია“ ალბათ ყველაზე უფრო იმ პროცესებს შეესაბამება, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ოპერაციების სფეროში აქვს ადგილი. ფინანსების გლობალიზაცია ნიშნავს ფინანსური ბაზრების დაახლოებას, შერწყმას და ერთიანი ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბებას. წარმოქმნილი ფინანსური სისტემა საყოველთაოა და არ არის ერთ რომელიმე ქვეყანაზე ორიენტირებული. ფინანსური გლობალიზაციის პირობებში გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელობას კარგავს.

აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ფინანსურმა გლობალიზაციამ თანაბრად მოიცვა მთელი მსოფლიო. ფინანსური ოპერაციების ძირითადი მასა ნაწილდება მსოფლიო ეკონომიკის სამ მთავარ ცენტრზე – აშშ-ზე, დასავლეთ ევროპასა და იაპონიაზე. სხვა საკითხია, რომ ამ ფინანსური ცენტრების გავლენა მთელ მსოფლიოზე ვრცელდება. ფინანსური ტრანსნაციონალური კორპორაციები ხდებიან მთავარი აგენტები მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში და თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევენ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას, რომლებსაც ფაქტიურად დაკარგული აქვთ კონტროლი ფინანსური მართვაზე.

ფინანსური გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ზეტერიტორიული ფულის არსებობა, ანუ ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ვალუტის მიმოქცევა მის საზღვრებს გარეთ. ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, აშშ-ის დოლარი კონკურენციის გარეშე იყო, სანამ 2002 წელს შემოღებული არ იქნა ევროკავშირის ერთიანი ვალუტა

³⁵ იქვე.

– ევრო. ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობის განვითარება. გლობალიზაციის ერაში ეს ვაჭრობა, როგორც წესი, ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ხორციელდება და მანძილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მსოფლიოს ბანკების უმრავლესობა ერთმანეთთან ინტერნეტით არიან დაკავშირებული და პირს, რომელსაც ანგარიში, ვთქვათ, აშშ-ის რომელიმე ბანკში აქვს გახსნილი, ფული შეუძლია გამოიტანოს ათასობით კოლომეტრით დაშორებული სხვა ქვეყნის ბანკიდან ისე, რომ ბანკის მოხელეს არც კი შეხვდეს.

ფინანსური გლობალიზაციის კიდევ ერთი ნიშანია ოფშორული ცენტრების წარმოქმნა, ანუ საბანკო-სავალუტო ოპერაციების ჩატარება ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ინვესტორს სთავაზობენ ძალიან დაბალ გადასახადს და გამარტივებულ მომსახურებას.

უცხოური საქონელი სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს ნებისმიერი ქვეყნის ბაზარზე და ეს ეკონომიკური გლობალიზაციის დადასტურებაა. იმისათვის რომ ეს შეიგრძნოთ შორს არ დაგჭირდებათ წასვლა. შეგიძლიათ ნებისმიერ მაღაზიაში შეხვიდეთ და დაინახოთ იქ მრავალი სასურსათო თუ საოჯახო საქონელი, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან არის ჩამოტანილი: კარაქი ახალი ზელანდიიდან, თევზი ჩილედან, სათამაშო ჩინეთიდან, ჩაი ცვილონიდან, ქვაბი ირანიდან, შოკოლადი თურქეთიდან და ყავა ბრაზილიიდან...

მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებით დიდია მსხვილი კომპანიების როლი. საკმარისია ითქვას, რომ „ნესკაფე“ იყიდება 200, ლუდი „ჰაინეკენი“ 170, სიგარეტი „მალბორო“ 175, ხოლო მობილური ტელეფონი „ნოკია“ 130 ქვეყანაში. მაღაზიების დიდი ნაწილი საზღვარგარეთიდან მარაგდება, ხოლო მაღაზიების სხვა ქვეყნებში გატანა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, მაგალითად, იტალიური „ბენეტონი“ ან ინგლისური „ბოდი-შოპი“³⁶.

საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის გლობალიზაცია ააშკარავებს ახალ და მზარდ ბაზრებს. ფინანსური ბაზრების გლობალიზაციის შედეგად მოხდა მკვეთრი ზრდა საივესტიციო პორტფელებში და მოკლევადიანი კაპიტალის დიდი მოძრაობები

³⁶ <http://money.cnn.com/magazines/fortune/global500/2011/> - მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანია.

მსესხებლებსა და ინვესტორებს შორის და ა. შ. ამ უკანასკნელმა გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა და საწარმოების რელოკაცია, ყოველივე ეს უმთავრესად წარიმართა ერთობლივი საწარმოებით, კოოპერაციული შეთანხმებებითა და სტრატეგიული ალენსებით, შერწყნებითა და შთანთქმებით. ამ ცვლილებების ერთ-ერთი შედეგია წარმოების პროცესის ფრაგმენტაცია, სადაც მოცემული პროდუქტის წარმოების სხვადასხვა ეტაპები ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში.

ვაჭრობის გლობალიზაციის კიდევ ერთი მახასიათებელია ელექტრონული ვაჭრობა. დღევანდელ გლობალურ მომხმარებელს საკრედიტო ბარათით შეუძლია იყიდოს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად.

წარმოების გლობალიზაციის ყველაზე აშკარა გამოვლინება ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის სწრაფი ზრდაა. თავისთავად ტრანსნაციონალური კორპორაციები ახალი მოვლენა არ არის და ისინი დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკაში. მაგრამ გლობალიზაციის ერაში არა მარტო მათი რაოდენობა და მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ხვედრითი წილი გაიზარდა, არამედ მათ თვისობრივად ახალი შინაარსი შეიძინეს. ისინი ჭეშმარიტად ტრანსნაციონალურ, ანუ უეროვნებო, უსაზღვრებო და უსახელმწიფოებო ორგანიზაციებად იქცნენ.

დღეს საერთაშორისო ორგანიზაციები საუბრობენ აგრეთვე დარგების, კონკურენციის, კორპორაციების, ინვესტიციების, ტექნოლოგიების, ღირებულებათა ჯაჭვის და ა. შ. გლობალიზაციაზე. თუმცა აღნიშნული გლობალიზაციის სახეების ერთმნიშვნელოვანი განმარტებები დღემდე არაა შემუშავებული.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საუბარია ეკონომიკური გლობალიზაციის ცალკეულ მიმართულებაზე. გლობალიზაციის ეს ცალკეული მიმართულებები ხშირად განაპირობებენ და გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. მაგალითად, დარგების გლობალიზაცია განაპირობებს კონკურენციის გლობალიზაციას. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში ძნელია ერთმანეთისაგან გაემიჯნოთ ეკონომიკური გლობალიზაციის სხვადასხვა სახეები. მაგალითად, ძნელია გაიფლოს ზღვარი სხვადასხვა სახის ბაზრებისა და ვაჭრობის გლობალიზაციას შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია ესაა პლანეტარული მასშტაბის ერთიანი ეკონომიკური სისტემის წარმოქმნის პროცესი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური აგენტები მსოფლიო მასშტაბით მოქმედებენ ისე, როგორც ერთი ქვეყნის ფარგლებში. ამასთან, ეკონომიკური გლობალიზაცია თავისთავში მოიცავს ვაჭრობის, ინვესტიციების, ტექნოლოგიების, კონკურენციის, კორპორაციების, დარგების, წარმოების, ფინანსური ბაზრების და ა. შ. გლობალიზაციას. თუმცა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესები ჯერ კიდევ შორსაა წმინდა გლობალიზაციური პროცესებისაგან, რაც განპირობებულია სახელმწიფოთა პოლიტიკური და საკანონმდებლო მოტივებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც ქვეყანათაშორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პროცესი.

„გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სამმა მოვლენამ. ესენია: 1. კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია და დერეგულირება, განსაკუთრებით ფინანსური მომსახურების. 2. ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის ბაზრების უფრო მეტად გახსნა, რამაც ხელი შეუწყო საერთაშორისო კონკურენციის ზრდას. 3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის განვითარება, რამაც ფუნდამენტური როლი ითამაშა. თითოეულ აღნიშნულ შემთხვევაში, საბაზრო ძალებმა და განსაკუთრებულმა საჯარო პოლიტიკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს როგორც ამ ცვლილებების დეტერმინანტებმა“³⁷.

გლობალიზაცია უმთავრესად შეიძლება დანახულ იქნეს როგორც მიკროეკონომიკური ფენომენი წარმართული იმ ფორმების სტრატეგიებითა და ქცევებით, რომლებმაც უპასუხეს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს. მთავრობებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, აგრეთვე ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი. მაგალითად, ჯერ გენერალურმა შეთანხმებამ ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (GATT), შემდეგ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WTO) სავაჭრო მოლაპარაკებების მთელი რიგი რაუნდების შედეგად სატარიფო ბარიერების რეგულარული შემცირებით ხელი შეუწყო გლობალიზაციის პროცესის გამძაფრებას.

³⁷ OECD Handbook on Economic Globalisation Indicators, 2005, page 16.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) წამყვანი როლი შეასრულა კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციაში „კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის კოდექსის“ შემუშავებით. ამასთან, OECD-ის ზოგიერთი წევრი ქვეყნის მიერ გატარებულმა დერეგულირების პოლიტიკებმა და მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნების მიერ, განსკუთრებით აღმოსავლეთ აზიაში, ბაზრების გახსნამ და ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, აგრეთვე ხელი შეუწყო გლობალიზაციის პროცესის აჩქარებას. უფრო მეტიც, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ცენტრალური დაგეგმვის სისტემის გაუქმებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გლობალიზაციის პროცესში.

გლობალიზაციის ერთ-ერთი მახასიათებელია მზარდი ურთიერთდამოკიდებულება მის სხვადასხვა ასპექტებს შორის. ხშირ შემთხვევაში პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები წარმოშობს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს ინვესტორის ქვეყნიდან და კაპიტალის მოძრაობასთან ერთად მას თან ახლავს ტექნოლოგიისა და ნოუ-ჰაუს ტრანსფერი. ემპირიული ანალიზი ამ ურთიერთდამოკიდებულებისა ჯერ კიდევ არა არის სრული, თუმცა უკვე ჩატარებული კვლევები, რომლებიც ეხება სავაჭრო კავშირებსა და პირდაპირ ინვესტიციებს, გვიჩვენებს, რომ მათ აქვთ ტენდენცია იყვნენ ურთიერშემავსებელი.

გლობალიზებულ ეკონომიკაში მანძილები და ეროვნული საზღვრები მნიშვნელოვნად არის შემცირებული ბაზარზე დაშვების შეზღუდვების უმრავლესობის გაუქმებით. სხვადასხვა ქვეყნების ბაზრები და წარმოება სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება სხვადასხვა, მათ შორის ვაჭრობითა და კაპიტალის ნაკადებით და, აგრეთვე ტექნოლოგიური ტრანსფერებით განპირობებული ცვლილებების მეშვეობით – ცვლილებები, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალებია ტრანსნაციონალური კორპორაციები. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ფირმები გამუდმებით ერთვებიან ტრანსნაციონალურ ქსელებში ძლიერი საერთაშორისო კონკურენციისა და, აგრეთვე სტრატეგიული ურთიერთობის მზარდი საჭიროების, პასუხად.

გლობალიზაცია იწვევს და აყენებს მოთხოვნებს ახალ სტატისტიკურ მონაცემებსა და ინდიკატორებზე, რომლებიც დაეხმარება საჯარო ხელისუფლებასა

და ფორმებს შეაფასონ განვითარებული მოვლენები და შეიმუშაონ შესაბამისი პოლიტიკები.

თანამედროვე პერიოდში გლობალიზაციის გაზომვა ცენტრალური საკითხი გახდა აკადემურ, ბიზნესმენთა, მედიისა თუ პოლიტიკურ წრეებში. შვეიცარიელი პროფესორი ალექს დრეჰერი, ავსტრალიელი პროფესორი ნოელ გასტონი და ჰოლანდიელი პროფესორი პიმ მარტენსი თავიანთ წიგნში, სახელწოდებით „გლობალიზაციის გაზომვა: მისი შედეგების შეფასება“, აღნიშნავენ, რომ გლობალიზაციის ეფექტების შესახებ კვლევათა უმეტესობა გლობალიზაციის გასაზომად იყენებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის ნაკადები, რასაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია გასცეს პასუხი³⁸.

ბევრ ანალიზში საერთაშორისო ვაჭრობა მიჩნეულია გლობალიზაციის ძირითად ინდიკატორად. ამ შემთხვევაში უზულებელყოფილია ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის სხვა ფორმები, როგორცაა პირდაპირი ინვესტიციები, შეიძლება იყოს მისი შემავსებელი ან კიდევ ალტერნატიული სტრატეგია. როცა ფირმა გადაწყვეტს გაფართოვდეს საზღვარგარეთ „გრინფილდის ინვესტიციების“ განხორციელებით ან უკვე არსებული ფორმების შთანთქმით, მან შეიძლება სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობაზე. მაგალითად, ადგილობრივი გამოშვება დაეცემა თუ უცხოური ფილიალები იმოქმედებენ ისე როგორც ადგილობრივი ფირმები და აწარმოებენ იგივე პროდუქტს უფრო დაბალი დანახარჯებით, ან იგი გაიზრდება თუ უცხოური ფილიალების პროდუქტები იქნება იმ პროდუქტების შემავსებლები, რომლებიც იწარმოება ადგილობრივად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მშობელი კომპანიის პროდუქცია შეიძლება ექსპორტირდეს მის ფილიალში, აგრეთვე შეიძლება ფილიალის პროდუქციის ნაწილი იმპორტირდეს მშობელი კომპანიის მიერ (ფირმის შიდა ვაჭრობა).

გლობალიზაციის გაცნობიერება, რომელიც დაეფუძნება ფაქტებსა და კვლევის შედეგებს, აუცილებელია როგორც პოლიტიკის შემუშავებისთვის, ისე სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისათვის, ასევე ბევრი სხვა ეკონომიკური, სოციალური და სხვა ტიპის ანალიზისათვის. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხია არსებობს თუ

³⁸ Dreher A, Gaston N, Martens P, Measuring Globalisation: Gauging Its Consequences, Springer, New York, 2008, p. 25.

არა სათანადო ინსტრუმენტები, რათა გავზომოთ და შევაფასოთ გლობალიზაციის პროცესი და გავაანალიზოთ მისი ეკონომიკური ზეგავლენა. ამისათვის კი გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ტრადიციული სტატისტიკური მონაცემები აღარაა საკმარისი იმისთვის რომ სრულად გაანალიზდეს გლობალიზაციის მასშტაბები და შედეგები და ისინი საჭიროებენ შევსებას და კომბინირებას სხვა ინდიკატორებთან;
- გლობალური ეკონომიკისაგან წარმოშობილი ახალი კონცეფციები უნდა იდენტიფიცირდეს და აიხსნას და ინტეგრირდეს არსებულ ანალიტიკურ ჩარჩოში;
- უნდა შემუშავდეს შესადარი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც დაეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს.

სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) დაიწყო გზებისა და საშუალებების ძიება, რათა შეემუშაებინა ჩარჩო, რაც შესაძლებელს გახდის გაანალიზდეს გლობალიზაციის პროცესი მის სხვადასხვა განზომილებებში და შეედგინა საერთაშორისო მასშტაბით შესადარი ინდიკატორები ³⁹. 2005 წელს მან გამოაქვეყნა სახელმძღვანელო სახელწოდებით „ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორები: გლობალიზაციის გაზომვა“, რომლის მეორე ნაწილი გამოქვეყნდა 2010 წელს. აღნიშნულ სახელმძღვანელოებში იგი ეყრდნობა სხვადასხვა სახელმძღვანელოებში უკვე გაწეულ მეთოდოლოგიურ სამუშაოებს. ესენია: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოდან (MBP5), სადაც მოცემულია ცნებები და კონცეფციები, რომლებიც ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მონაცემების შეგროვებას; OECD-ის სახელმძღვანელოები (Frascati Manual, 2002; Technological Balance of Payments Manual, 1990), სადაც მოცემულია საბაზისო ცნებები, რომლებიც ეხება კვლევებსა და განვითარებას (R&D) და საინფორმაციო და საკონუმიკაციო ტექნოლოგიებს (ICT); მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სახელმძღვანელოდან (2002), სადაც მოცემულია მომსახურების

³⁹ OECD, Measuring Globalisation: Handbook on Economic Globalisation Indicators, 2005.

სექტორში უცხოური ფილიალების საქმიანობასთან დაკავშირებული კონცეფციები და რეკომენდაციები.

ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებს?

- რამდენად შესაძლებელია გაიზომოს გლობალიზაციის პროცესების ინტენსივობა (ხარისხი)?
- როგორ შეგვიძლია შევაფასოთ გლობალიზაციის ზეგავლენა ეკონომიკურ მდგომარეობაზე?
- როგორ შეგვიძლია გავზომოთ იმ სტრუქტურული პოლიტიკური რეფორმების ზეგავლენა, რომლებიც შემუშავებულია ცალკეული ქვეყნების მიერ გლობალიზაციისაგან უფრო მეტი სარგებელის მისაღებად?

თუმცა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორები ექსკლუზიურად ეძღვნება იმ საზომებს, რომლებიც ეხება პირველ კითხვას და რითაც იზომება გლობალიზაციის ხარისხი და ინტენსივობა. აღნიშნული ინდიკატორები უზრუნველყოფენ არასრულ, თუმცა საკმაოდ კონკრეტულ და გამართულ პასუხს საჭიროებაზე, რომ შევაფასოთ გლობალიზაციის ხარისხი და ინტენსივობა ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის გამოკვლევით სამ სფეროში, რომლებმაც შეასრულეს წამყვანი როლი გლობალიზაციის პროცესში: საერთაშორისო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიების გავრცელება.

ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორები შეიძლება დაეფუძნოს ანალიზის განსხვავებულ ტიპს:

- გეოგრაფიულ ანალიზს ქვეყნებში, რეგიონებში ან მსოფლიოში როგორც მთლიანში;
- დარგობრივ ანალიზს ეკონომიკის ერთ ან მეტ დარგში;
- ეკონომიკური ცვლადების ანალიზს.

ინდიკატორები უმეტესად წარმოადგენენ პროცენტებით გამოხატულ პროპორციებს, რაც ქვეყნებს შორის შედარების საშუალებას იძლევა. ამდენად,

დროის მიხედვით ამ ინდიკატორების ტენდენცია შეესაბამება ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსივობისა და ხარისხის ზრდას ან შემცირებას.

აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით, პრიორიტეტი ენიჭება გლობალიზაციის მთავარ მამოძრავებელ ძალებს. ესენია: საერთაშორისო ვაჭრობა; პირდაპირი უცხოურ ინვესტიციები; მრავალეროვნული ფირმების საქმიანობა და ტექნოლოგიების წარმოება და საერთაშორისო გავრცელება. აღნიშნული ინდიკატორები არ მოიცავს გლობალიზაციის სხვა მამოძრავებელი ძალებს, მათ შორის საპორტუგელო ინვესტიციებს, საერთაშორისო მიგრაციას და სამთავრობო დონისძიებებს. ესაა მხოლოდ საწყისი ძალისხმევა, უზრუნველყოს საწყისი საფუძველი, რომელიც გამოყენებულ იქნება ბაზად შემდგომი მუშაობისათვის.

OECD-ის გლობალიზაციის ინდიკატორები იყოფა 4 ჯგუფად. ესენია: 1) ინდიკატორები, რომლებიც ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს; 2) ინდიკატორები, რომლებიც ეხება საერთაშორისო ვაჭრობას; 3) ინდიკატორები, რომლებიც ეხება მრავალეროვნული კორპორაციების საქმიანობას და 4) ინდიკატორები, რომლებიც ეხება ტექნოლოგიის საერთაშორისო გავრცელებას.

ინდიკატორები, რომლებიც ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, სამი ტიპისაა. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის გლობალიზაციის ინტენსივობა უნდა შეფასდეს ქვეყნებს შორის შეფარდებითი ანალიზის გზით, რაც დაეფუძნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფინანსური ნაკადების, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე შემოსავლის ნაკადებისა და პირდაპირი საინვესტიციო პოზიციის შეფარდებით მნიშვნელობას, რაც იანგარიშება, როგორც პროცენტული მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. თითოეული ამგვარი თანაფარდობა გვიჩვენებს გლობალიზაციის შეფარდებით მნიშვნელობას მთლიანი ქვეყნის ან დარგის ინვესტიციებისათვის. პირდაპირი საინვესტიციო პოზიციის ასეთივე პროცენტული მაჩვენებელი წარმოადგენს სტრუქტურულ ინდიკატორს, რომელიც ასახავს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებას და, ამავე დროს, რეციპიენტ ან დონორ ქვეყანაში მუდმივი უცხოური ან საზღვარგარეთული საკუთრების დონეს.

ინვესტორი და მიმღები ქვეყნების ან ინდივიდუალური ქვეყნის ეკონომიკის დარგების წვლილი გლობალიზაციაში შეიძლება გაიზომოს შეფარდებით, რომლებიც გვიჩვენებენ ქვეყნების ან ეკონომიკის დარგების ხვედრით წილს მთლიან

ინვესტიციებში. პროპორციები რომლებიც ეფუძნება გასულ ინვესტიციებს ეხება პირდაპირ ინვესტორ ქვეყანას, ხოლო პროპორციები, რომლებიც ეფუძნება შემოსულ ინვესტიციებს – პირდაპირი ინვესტირების საწარმოს ქვეყანას. აღნიშნული ინდიკატორის ზრდა შეესაბამება მიმდები ან ინვესტორ ქვეყნის ან ინდივიდუალური ეკონომიკის დარგის უფრო დიდ წვლილს გლობალიზაციაში.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მოგების ინდიკატორები უზრუნველყოფენ საბაზო ინფორმაციას პირდაპირი ინვესტირების საწარმოს მომგებიანობის შესახებ. თუ აღნიშნული შემოსავალი იზრდება მთლიანი შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციასთან მიმართებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ რეზიდენტი პირდაპირი ინვესტირების საწარმოების მომგებიანობა იზრდება, რაც მათ უფრო მიმზიდველს ხდის ინვესტორებისათვის. თუ რეინვესტირებულ შემოსავლებს დივიდენდთან და ფილიალების განაწილებულ მოგებასთან მიმართებით ზრდის ტენდენცია აქვს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ იზრდება ამგვარი გზით მიმდებ ქვეყანაში ინვესტირების სურვილი.

პირველი 3 ინდიკატორი, რომლებიც ეხება მრავალეროვნული ფირმების ეკონომიკურ საქმიანობას პასუხობს შემდეგ კითხვებზე:

- რა წვლილი შეაქვთ უცხოურ ფირმებს მიმდები ქვეყნის მთლიან დამატებულ ღირებულებაში, ბრუნვასა და საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში;
- მიმდები ქვეყნის დასაქმების რა ნაწილი მოდის უცხოურ ფილიალებზე და
- რა წილი ეკუთვნით უცხოურ ფილიალებს მიმდები ქვეყნის მთლიან შრომის ანაზღაურებაში.

შემდეგი ინდიკატორი გვიჩვენებს მშობელი (სათაო) კომპანიების როლს მოცემულ ქვეყანაში.

რაც შეეხება ტექნოლოგიების საერთაშორისო გავრცელების ინდიკატორებს, ისინი ახასიათებენ ქვეყნის კვლევებისა და განვითარების საქმიანობას; ტექნოლოგიებით ვაჭრობას პატენტების, ლიცენზიების და ნოუ-ჰაუს ფორმაში; ტექნიკურ დახმარებას და მაღალტექნოლოგიური პროდუქტებით ვაჭრობას.

რომ შევაფასოთ ინტენსივობა, რომლითაც ხდება კვლევებისა და განვითარების საქმიანობის გლობალიზება მოცემულ ქვეყანაში, ეკონომიკური თანამშრომლობისა

და განვითარების ორგანიზაციის მიერ (OECD) შემოთავაზებულია 4 ძირითადი კატეგორიის ინდიკატორი: 1) კვლევებსა და განვითარებაზე უცხოური კონტროლის ფორმების დანახარჯები მიმღები ქვეყნის მთლიან სამრეწველო კვლევებსა და განვითარებაში. 2) უცხოური წყაროების ხვედრითი წონა კვლევებსა და განვითარებაზე გაწეულ დანახარჯებში. 3) იმ უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მთლიან დამატებულ ღირებულებაში, ბრუნვასა და დასაქმებაში, რომელთა ძირითადი საქმიანობაა კვლევები და განვითარება და 4) მშობელი კომპანიების კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯების და მკვლევარების წილი.

საერთაშორისო ვაჭრობის პირველი 4 ინდიკატორი ასახავს ვაჭრობის გლობალიზაციის მასშტაბს, ხოლო დანარჩენი ეხება უცხოური ფილიალების მიერ განხორციელებულ ვაჭრობას.

ფირმათშორისი ვაჭრობა არის გლობალიზაციის ინტენსივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი⁴⁰.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ (OECD) აგრეთვე შემოთავაზებულია ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის ინდიკატორები. ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის დონეს გვიჩვენებს წარმოების სიღრმე, ფირმათშორისო და შიდადარგობრივი ვაჭრობა. ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს წარმოების სიღრმეს, გამოითვლება ქვეყანაში წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების შეფარდებით ქვეყნის მთლიან გამოშვებასთან. რაც უფრო მცირეა წარმოების სიღრმე მით უფრო მაღალია ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის დონე. ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს ფირმის შიდა და შიდადარგობრივი ვაჭრობის დონეს გამოითვლება ქვეყნის ექსპორტის შეფარდებით მთლიან გამოშვებასთან. რაც უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი მით უფრო მაღალია ღირებულებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის ხარისხი. ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის გასაზომად აგრეთვე გამოიყენება ოფშირინგის ინდიკატორი⁴¹.

2002 წელს შემოღებულ იქნა კოფის⁴² გლობალიზაციის ინდექსი, რომელიც განახლდა და აღიწერა ალექს დრეკერის, ნოელ გასტონისა და პიმ მარტენის

⁴⁰ OECD Handbook on Economic Globalisation Indicators: measuring Globalization, 2005.

⁴¹ OECD Handbook on Economic Globalisation Indicators: measuring Globalization, 2010.

⁴² შეიქმნა ეკონომიკური ინსტიტუტი (KOF) ასრულებს ორ მთავარ როლს: 1) იგი წარმოადგენს მედიატორს ფართო პუბლიკასა (პოლიტიკა, საზოგადოება) და სამეცნიერო საზოგადოებას შორის; 2)

ერთობლივ ნაშრომში სახელწოდებით „გლობალიზაციის გაზომვა – მისი შედეგების შეფასება“⁴³. კოფის ინდექსი მოიცავს გლობალიზაციის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს. აღნიშნული ინდექსი ეყრდნობა გლობალიზაციის განმარტებებს, რომლებიც შემუშავებულია უილიამ კლარკის, პიპა ნორისისა, რობერტ კეოანესა და ჯოზეფ ნიეს მიერ, რომლის თანახმადაც გლობალიზაცია განისაზღვრება როგორც აქტიორებს შორის კავშირის ქსელების შექმნის პროცესი მრავალკონტინენტურ მანძილზე, რაც ასახავს პოულობს ხსვადასხვაგვარ ნაკადებში მათ შორის ხალხის, ინფორმაციისა და იდეების, კაპიტალისა და საქონლის ნაკადებში. გლობალიზაცია კონცეპტუალიზდება, როგორც პროცესი, რაც არღვევს ეროვნულ საზღვრებს, ახდენს ეროვნული ეკონომიკების, კულტურების, ტექნოლოგიებისა და მართვის ინტეგრირებას და წარმოშობს მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულების კომპლექსურ კავშირებს (სქემა 3).

კოფის ინდექსის განზომილებები განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელიც ხასიათდება, როგორც საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების, ასევე ინფორმაციის საერთაშორისო ნაკადებით.
2. პოლიტიკური გლობალიზაცია, რაც ხასიათდება სამთავრობო პოლიტიკის გავრცელებით.
3. სოციალური გლობალიზაცია, რაც გამოიხატება იდეების, ინფორმაციისა და წარმოდგენების გავრცელებით (იხ. სქემა 4).

2012 წლის ინდექსი წარმოგვიდგენს საწყისი ინდექსის განახლებულ ვერსიას, რომელიც ეფუძნება უახლეს მონაცემებს.

კოფის ინდექსის თანახმად, ეკონომიკური გლობალიზაციას აქვს ორი განზომილება: პირველი, მიმდინარე ეკონომიკური ნაკადები და მეორე, ვაჭრობასა და კაპიტალზე შეზღუდვები. შესაბამისად, ხდება ორი ინდექსის შედგენა, რომლებიც, თავის მხრივ, შეიცავს ინდივიდუალურ კომპონენტებს (იხ. სქემა 3).

იგი არის წამყვანი „პლატფორმა“ ეკონომისტებისათვის, განსაკუთრებით შეეცარიაში. KOF-ის სხვა მთავარი ფუნქციაა მეცნიერული კვლევების განხორციელება, რომლის შედეგებიც, პუბლიკაციებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მეშვეობით ვრცელდება აკადემიურ და პროფესიულ წრეებში.

⁴³ A. Dreher, N. Gaston, P. Martens, Measuring Globalisation: Gauging Its Consequences, New York, 2008.

მიმდინარე ეკონომიკური ნაკადების სუბინდექსი მოიცავს მონაცემებს ვაჭრობაზე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საპორტფელო ინვესტიციებზე. ვაჭრობა წარმოგვიდგება, როგორც ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ჯამი, საპორტფელო ინვესტიციები - როგორც ქვეყნის აქტივებისა და ვალდებულებების ჯამი (თითოეული მათგანი ნორმალიზდება მშპ-ის მიმართ). აღნიშნული სუბინდექსი მოიცავს ასევე გადასახლებს უცხოელი მოქალაქეებისთვის, რაც გვიჩვენებს თუ რა ხარისხით ასაქმებს ქვეყანა უცხოელ მოქალაქეებს.

მეორე სუბინდექსი ეხება შეზღუდვებს ვაჭრობასა და კაპიტალზე. მისი შემადგენელი კომპონენტები მოცემულია სქემაზე 3. ვაჭრობის ერთი და იგივე დონის პირობებში, ქვეყანა რომელსაც აქვს უფრო მაღალი შემოსავლები ტარიფებიდან ნაკლებად გლობალიზებულია. კაპიტალის ანგარიშზე შეზღუდვების გასაგებად გამოიყენება კაპიტალის კონტროლის ინდექსი, რომელიც შემოღებულ იქნა 2011 წელს სხვებთან ერთად ჯეიმს გვარტნის. აღნიშნული ინდექსი ეფუძნება საერთაშორისო საგალუტო ფონდის ყოველწლიურ ანგარიშს ბირჟების რეგულირებისა და შეზღუდვების შესახებ და მოიცავს კაპიტალის კონტროლის 13 განსხვავებულ სახეს.

საშუალო სატარიფო განაკვეთისა და ფარული საიმპორტო ბარიერების ინდექსები შედგენილია იმავე ავტორების მიერ. რაც უფრო იზრდება საშუალო სატარიფო განაკვეთი მით უფრო დაბალი რეიტინგი ენიჭება ქვეყანას.

კოფის ინდექსი სოციალურ გლობალიზაციას ყოფს სამ კატეგორიად. პირველი მოიცავს პირად კონტაქტებს; მეორე – მონაცემებს ინფორმაციულ ნაკადებზე; ხოლო მესამე ზომავს კულტურულ სიახლოვეს. ცვლადებს, რომელსაც შეიცავს თითოეული დასახელებული კატეგორია მოცემულია სქემაზე (იხ. სქემა 3).

პოლიტიკური გლობალიზაციის ხარისხის დასადგენად კოფი იყენებს შემდეგ ცვლადებს: საელჩოების რიცხვი ქვეყანაში; იმ საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი, რომლის წევრიცაა ქვეყანა და გაეროს მშვიდობის მისიების რიცხვი, რომლებიც ხელმოწერილია ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის 1945 წლიდან. მონაცემებს იღებენ ისეთი სტატისტიკური კრებულებიდან როგორცაა „Europa World Yearbook“, „the CIA World Factbook“, „the UN Department of Peacekeeping Operations“, და „United Nations Treaties Collection“.

გლობალიზაციის ინდექსის შესადგენად ხდება თითოეული ზემოთგანხილული ცვლადის გარდაქმნა ინდექსად ერთიდან ასამდე ქულის მინიჭებით, სადაც 100 ქულა შეესაბამება კონკრეტული ცვლადის მაქსიმალურ მაჩვენებელს 1970-2009 პერიოდის განმავლობაში, ხოლო 1 ქულა – მინიმალურ მაჩვენებელს.

სქემა 4. KOF-ის გლობალიზაციის ინდექსი⁴⁴

ინდექსები და ცვლადები		წონა
A	ეკონომიკური გლობალიზაცია	36%
i	ფაქტობრივი ნაკადები	50%
	ვაჭრობა(მშპ-ის %)	21%
	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფონდები (მშპ-ის %)	28%
	საპორტფელო ინვესტიციები (მშპ-ის %)	24%
	გადასახდლები უცხოელი მოქალაქეებისთვის (მშპ-ის %)	27%
ii	შეზღუდვები	50%
	ფარული საიმპორტო ბარიერები	24%
	საშუალო სატარიფო განაკვეთი	27%
	გადასახადები საერთაშორისო ვაჭრობაზე (მიმდინარე შემოსავლის %)	26%
	შეზღუდვები კაპიტალურ ანგარიშებზე	23%
B	სოციალური გლობალიზაცია	38%
i	პერსონალური კონტაქტები	34%
	სატელეფონო ზარები	25%
	გზავნილები (მშპ-ის %)	4%
	საერთაშორისო ტურიზმი	26%
	უცხოელი მოსახლეობა (მთლიანი მოსახლეობის %)	21%
	საერთაშორისო წერილები (მოსახლეობის ერთ სულზე)	25%
ii	ინფორმაციული ნაკადები	35%
	ინტერნეტ-მომხმარებლები (1000 ადამიანზე)	33%
	ტელევიზორი (1000 ადამიანზე)	36%

⁴⁴http://globalization.kof.ethz.ch/static/pdf/variables_2012.pdf

	გაზეთებით ვაჭრობა (მშპ-ის %)	32%
iii	კულტურული სიახლოვე	31%
	მაგდონალდის რესტორნების რიცხვი (მოსახლეობის ერთ სულზე)	44%
	„იკეა“ ⁴⁵ -ს მაღაზიების რიცხვი(მოსახლეობის ერთ სულზე)	45%
	წიგნებით ვაჭრობა (მშპ-ის %)	11%
C	პოლიტიკური გლობალიზაცია	26%
	საელჩოები	25%
	საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა	28%
	მონაწილეობა გაეროს უშიშროების საბჭოს მისიებში	22%
	საერთაშორისო ხელშეკრულებები	25%

ცვლადის უფრო მაღალი მაჩვენებელი მიგვითითებს გლობალიზაციის უფრო მაღალ ხარისხსზე, მიღებული მონაცემები გარდაიქმნება პროცენტული მაჩვენებლების წინასწარდადგენილი განაწილების მიხედვით (იხ. სქემა 3). სუბინდექსების დასადგენად წონები განისაზღვრება პრინციპული კომპონენტების ანალიზის საფუძველზე ქვეყნის და წელიწადის თითოეული შემთხვევისთვის. ანალიზისას სხვადასხვა ცვლადები ნაწილდება სუბჯგუფებში და შემდგომ ენიჭება შესაბამისი წონები მიღებულ შედეგებს შორის მაქსიმალური ვარიანტის გათვალისწინებით. გლობალიზაციის სრული ინდექსის მისაღებად სუბინდექსებზეც ხორციელდება იგივე პროცედურა. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსები და, ასევე, სრული ინდექსი გამოითვლება ინდივიდუალური მონაცემებისათვის წონების მინიჭებით და არა უფრო დაბალი საფეხურის გლობალიზაციის ინდექსების უბრალო დაჯამებით.

⁴⁵იკეა (Ikea) - მულტინაციონალური კონცერნი, რომლის პროფილია სახლის მოსაწყობად საჭირო ხელთაწყოები ავეჯის, საბინაო აქსესუარების დამზადება-გაყიდვა. კონცერნის სავაჭრო კონცეფცია უმთავრესად გათვლილია მასობრივ მომხმარებელზე, რის გამოც იკეას პროდუქციის ჯერ კიდევ შეფუთვაში გათვალისწინებულია გამოუცდელი მასობრივი მყიდველი, რომელმაც საქონლის სახლში მიტანისთანავე თვითონ უნდა შესძლოს მისთვის საჭირო ავეჯის, ნივთის აწყობა. შესაბამისი ინსტრუქციებიც თანმიმდევრულობის მიხედვითაა აგებული და ნუმერიკული. უპირატესობა იდეოგრაფიულ ენას ენიჭება. საწარმო 1943 წელს დააფუძნა ინგვარ კამპრადმა შვედეთში, ხოლო დღესდღეობით კი ნიდერლანდებშია რეგისტრირებული და ეკუთვნის ფონდს სახელწოდებით „INGKA Foundation“.

კოფის ინდექსი იანგარიშება ყოველწლიურ ბაზაზე 208 ქვეყნისათვის 1970 წლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მონაცემი ყველა ქვეყნისა და წლისათვის არა არის ხელმისაწვდომი⁴⁶.

კოფის 2012 წლის ინდექსის მიხედვით 208 ქვეყანას შორის პირველ ათეულს შეადგენენ ბელგია (92,76), ირლანდია (91,95), ჰოლანდია (90,94), ავსტრია (90,55), სინგაპური (89,18), შვედეთი (88,23), დანია (88,11), უნგრეთი (87,38), პორტუგალია (86,73) და შვეიცარია (86,64). ხოლო უკანასკნელ 10 ადგილს ინაწილებენ შემდეგი ქვეყნები: მაიოტა (199), მიკრონეზი (200), მონაკო (201), ჰოლანდიის ანტილები (202), ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები (203), პუერტო-რიკო (204), სან-მარინო (205), სომალი (206), ტონგა (207) და ვირჯინიის კუნძულები (208). საქართველოს 69-ე ადგილი უკავია. ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მას 29-ე ადგილი უკავია, ხოლო სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით – 88-ე და 139-ე ადგილები, შესაბამისად⁴⁷.

პირველი, ვინც ემპირიული ანალიზისთვის კოფის ინდექსი გამოიყენა, იყო პაულ ეკმანი. 2003 წელს მან გამოიკვლია, თუ რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, რომელიც წარმოდგენილ იქნა, როგორც სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა. მან აღმოაჩინა დადებითი, არაწრფივი კორელაცია კოფის ინდექსსა და მოსახლეობის ჯანმრთელობას შორის. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ გლობალიზაცია ზრდის მთავრობის სიდიდეს, აგრეთვე, გლობალიზაცია ზრდის ადამიანურ დოვლათს, რომელიც გამოსახება ადამიანური განვითარების ინდექსით. 2008 წელს ს. ბიორნსკოვის, ა. დრეჰერის და ჯ. ფიშერის კვლევებმა აჩვენა, რომ გლობალიზაცია არ ემუქრება არც სოციალურ სოლიდარობას და არც სოციალურ უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემას. კოსტერმა გვიჩვენა, რომ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დონეზე არ ახდენს გავლენას სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაცია, მაშინ როცა ხელგაშლილობის დონეზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას. ბიორნსკოვმა გაანალიზა კოფის ინდექსის სამივე განზომილება და აჩვენა, რომ ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეკონომიკურ თავისუფლებაზე, ხოლო პოლიტიკური

⁴⁶ <http://globalization.kof.ethz.ch/>

⁴⁷ http://globalization.kof.ethz.ch/static/pdf/rankings_2012.pdf

გლობალიზაცია - არა. ტორგლერის თანახმად გლობალიზაცია ზრდის ნდობას გაეროსადმი⁴⁸.

გლობალიზაცია შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა მეთოდით. ა. ტ. კერნიმ (A.T. Kearney)⁴⁹ 2002 წელს პირველმა სცადა გამოეთვალა გლობალიზაციის ინდექსი და შეექმნა მონაცემთა ბაზა. ა. ტ. კარნის და ჟურნალ „საგარეო პოლიტიკის“ მიერ ერთობლივად შემუშავებული გლობალიზაციის ინდექსი აფასებს ქვეყნის ეკონომიკური, პირადი, ტექნოლოგიური და პოლიტიკური ინტეგრაციის დონეს და იკვლევს, თუ რომელი ქვეყანა დაწინაურდა და რომელმა გადაინაცვლა უკანა პოზიციებზე გლობალიზაციის ხარისხის მიხედვით. აღნიშნული ინდექსი იანგარიშება 12 ცვლადის საფუძველზე: საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სატელეფონო კავშირები, მოგზაურობები, გზაგანილები, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, ინტერნეტის მფლობელთა რაოდენობა, ინტერნეტმომსახურების ფირმათა რაოდენობა, უცხოური დახმარებები, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა. აღნიშნული ცვლადები ჯგუფდება ოთხ კომპონენტად: ეკონომიკური ინტეგრაცია, პირადი კონტაქტები, კომუნიკაციური ტექნოლოგია და პოლიტიკური ჩართულობა (A. T. Kearney/Foreign Policy 2007). ზემოაღნიშნული ინდექსი ეფუძნება ინდივიდუალური ცვლადების ნორმალიზაციასა და შემდგომ აგრეგაციას შეწონილ სისტემის გამოყენებით, სადაც კომპონენტების წონები არ იცვლება ქვეყნებისა და დროის მიხედვით.

განტოლებას, რომელიც გამოსახავს გლობალიზაციის ინდექსს, აქვს შემდეგი სახე:

$$KEARNEY_{it} = \sum_{j=1}^J \sum_{m=1}^M \omega_j (X_{jmit} - X_{jmt}^{\min}) / (X_{jmt}^{\max} - X_{jmt}^{\min}),$$

სადაც i და t , შესაბამისად, აღნიშნავს ქვეყანასა და დროის პერიოდს;

m და j - ქვე და სუბკომპონენტების ცვლადებს;

ω_{jm} - წონას, რომელსაც თითოეული კომპონენტი აღწევს.

⁴⁸ A. Dreher, Does Globalization Affect Growth?, e-article, 2002, October,

⁴⁹ ა. ტ. კერნი (A. T. Kearney) არის გლობალური კონსალტინგური ფირმა მენეჯმენტის დარგში. იგი დაარსდა 1926 წელს. სათაო ოფისი მდებარეობს ჩიკაგოში. ამჟამად ა. ტ. კერნის აქვს 55 ოფისი 38 ქვეყანაში.

min და max - შესაბამისი ცვლადების მინიმალურ და მაქსიმალურ მაჩვენებლებს ქვეყნების მიხედვით საანგარიშო პერიოდში (A. K. Bhandari 2005)⁵⁰.

2007 წელს ა. ტ. კარნის და ჟურნალ „უცხოური პოლიტიკის“ მიერ ერთობლივად შემუშავებული გლობალიზაციის ინდექსი საფუძველზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მსოფლიო სისტემაში ყველაზე ინტეგრირებული ქვეყნები არის სრულიად განსხვავებული სიდიდის ქვეყნები და მათ აქვთ ერთმანეთისაგან განსხვავებული გზები გლობალიზაციის პროცესებში ჩართვისათვის.

2007 წელს გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით ქვეყნების რეიტინგში პირველ ათეულს შეადგენენ შემდეგი ქვეყნები: სინგაპური, ჰონგ-კონგი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ირლანდია, დანია, აშშ, კანადა, იორდანია, ესტონეთი. ამგვარად, სინგაპური და ინდონეზია ყველაზე გლობალიზებული ქვეყნებია, ხოლო ყველაზე ნაკლებად გლობალიზებულ ქვეყნებს წარმოადგენს ინდონეზია, ინდოეთი და ირანი. საქართველოს 90-ე ადგილი უკავია.

ამრიგად, კონსალტინგური კომპანია „ა. ტ. კარნისა“ და ჟურნალ „საგარეო პოლიტიკის“ მიერ ერთობლივად შემუშავებული გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით ქვეყნების რეიტინგში წამყვან პოზიციებს ძირითადად მცირე მაგრამ განვითარების მაღალი დონის ქვეყნები იკავებენ, რაც იმას მიუთითებს, რომ გლობალიზაცია მიმზიდველი და მომგებიანია მცირე ქვეყნებისთვისაც, თუ ისინი მის დადებით ეფექტებს თავის სასრგებლოდ და გონივრულად გამოიყენებენ. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრირება ეკონომიკურ გლობალიზაციაზე გადის, რაც ზრდის ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს და საგარეო ბაზრებზე დამოკიდებულებას⁵¹.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის ზემოთგანხილული ინდექსები საშუალებას იძლევა შევადაროთ ქვეყნები გლობალიზაციის ხარისხის მიხედვით, აგრეთვე გავიგოთ, რომელი ქვეყანა დაწინაურდა და რომელმა გადაინაცვლა უკანა პოზიციებზე გლობალიზაციის ხარისხის მიხედვით. აღნიშნული ინდექსის მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს თუ რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია ქვეყნის ამა თუ

⁵⁰ <http://ftp.iza.org/dp1578.pdf>

⁵¹ http://www.atkearney.com/images/global/pdf/GIndex_2007.pdf

იმ მაჩვენებელზე, მაგრამ იგი ვერ იძლევა პასუხს ისეთ კითხვებზე, როგორცაა – იზრდება თუ მცირდება გლობალიზაციის ხარისხი მთელი მსოფლიოს, ინდივიდუალური ქვეყნისა თუ დარგის დონეზე? გარდა ამისა, მასში არაა გათვალისწინებული გლობალიზაციის ისეთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალები როგორცაა ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა, ტექნოლოგიების გავრცელება და სხვა. ის აქცენტს აკეთებს ეკონომიკური გლობალიზაციის მხოლოდ ორ ასპექტზე, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ანალიზისას მას შეიძლება მივანიჭოთ მხოლოდ დამხმარე ფუნქცია.

OECD-ის ინდიკატორები განსხვავებით ზემოთდასახელებული ინდექსებისაგან, ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსივობის გაზომვისას საერთაშორისო ვაჭრობასთან და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად ითვალისწინებს ეკონომიკური გლობალიზაციის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაცია, ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა.

1.3 გლობალიზაციის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

როგორც შემდგომ თავებში ვნახავთ (თავი 3), გლობალიზაციამ წარმოშვა მნიშვნელოვანი კეთილდღეობის ეფექტები, მათ შორის წარმოების უფრო მაღალი ეფექტიანობა და ნაყოფიერება, გაზრდილი საშუალო შემოსავალები და ხელფასები, უფრო მაღალი კონკურენცია, უფრო დაბალი ფასები, პროდუქციის გაზრდილი ასორტიმენტი და ხარისხი. თუმცა, როგორც მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, გლობალიზაციის პროცესმა ასევე წარმოშვა პრობლემები მრავალ ქვეყანაში. გლობალიზაციის ეკონომიკური ეფექტების გამოსავლენად, ჩვენი აზრით, პირველ

რიგში უნდა გაანალიზდეს თუ რა ზეგავლენას ახდენს გლობალიზაცია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

მსოფლიო ბანკის კვლევებისა და განვითარების ჯგუფის წევრები დავიდ დოლარი და არტ გრეი თავიანთ სტატიაში, სახელწოდებით „ვაჭრობა, ზრდა და სიღარიბე“, ადასტურებენ, რომ ეკონომიკურ გლობალიზაციას აქვს დადებითი ფინანსური ეფექტები. ისინი ქვეყნებს ყოფენ სამ კატეგორიად. ესენია: მდიდარი ქვეყნები, გლობალიზებული (globaliser) და არაგლობალიზებული (nonglobaliser). მდიდარი ქვეყნები აღნიშნავენ OECD-ის 24 ქვეყანას, 2001 წლის გაფართოებამდე, პლუს ჩილე, ჰონგ-კონგი, კორეა, ტაივანი და სინგაპური. გლობალიზისტები აღნიშნავენ ქვეყნებს, რომლებიც შედიან იმ 72 განვითარებადი ქვეყნის ჯგუფის პირველ მესამედში, რომლებიც შერჩეულია 1975-79 წლებსა და 1995-97 წლებს შორის პერიოდში მშპ-თან მიმართებაში ვაჭრობის ზრდის მიხედვით. ხოლო „არაგლობალიზებულები“ აღნიშნავენ აღნიშნული ჯგუფიდან დარჩენილ განვითარებად ქვეყნებს. ავტორები ასკვნიან, რომ 1980 წლის შემდგომ დაახლოებით 20 წლის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაცია შეიძლება შეფასდეს დრამატულად, ამასთან იმ ქვეყნების გამოცდილებამ, რომლებიც მიეკუთვნებიან გლობალიზერების კატეგორიას, აჩვენა, რომ აღნიშნულ პროცესს შეუძლია ქონდეს დიდი სარგებელი, წვლილი შეიტანოს შემოსავლების ზრდაში და სიღარიბის შემცირებაში, ამასთან შესაძლებლობა მისცეს ზოგიერთ უღარიბეს ქვეყანას დაეწიოს მდიდარ ქვეყნებს. გლობალიზაციიდან რეალური წაგებულები არიან ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებმაც ვერ შეძლეს გაეზარდათ თავიანთი შესაძლებლობები აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნული ნაშრომის თანახმად, 1980 წლის შემდგომ პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის ზრდა „გლობალიზებულებში“ აჩქარდა ჯერ 60-იანი წლების წელიწადში 1,4%-დან 70-იანი წლების 2,9%-მდე, ხოლო შემდგომ 80-იანი წლების 3,5%-დან – 90-იანი წლების 5%-მდე. ზრდის აღნიშნული აჩქარება უფრო თვალსაჩინო იყო იმის ფონზე, რომ მდიდარმა ქვეყნებმა აჩვენეს ზრდის მკვეთრი შემცირება 60-იანი წლების 4,7%-დან 90-იანი წლების 2,2%-მდე. ესევე, არაგლობალიზებულმა განვითარებადმა ქვეყნებმა მოგვცეს „გლობალიზებულთან“ შედარებით გაცილებით

უარესი სურათი. 70-იანი წლებიდან ზრდის განაკვეთის 3,3%-დან 90-იანი წლების 1,4%-მდე დაცემით⁵².

იმავე სტატიაში, ისინი ამტკიცებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ანალიტიკოსი მიუთითებს დიდ უთანაბრობაზე განვითარებულ და განვითარებად ერებს შორის, არ არსებობს მტკიცებულება, რაც ადასტურებს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასთან ერთად უთანაბრობის ზრდას. პირიქით, ეკონომიკური გლობალიზაციის სარგებელი ფართოდ ნაწილდება, რადგან, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ, რომლებიც მიეკუთვნებიან გლობალიზებული კატეგორიას, უჩვენა უთანაბრობის ზრდა, განსაკუთრებით ჩინეთმა, რაც იყო საშინაო ლიბერალიზაციის, მიგრაციაზე შეზღუდვების და, აგრეთვე, აგრარულ პოლიტიკის და არა – საერთაშორისო ვაჭრობის შედეგი.

ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი, თავის წიგნში სახელწოდებით „გლობალიზაცია და მისი ნაკლოვანებები“, საუბრობს განვითარებადი ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით კი ღარიბი მოსახლეობისათვის, გლობალიზაციის დამანგრეველ ეფექტზე. იგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია შეიცვალოს ის გზა, რომლითაც გლობალიზაცია ხორციელდება⁵³.

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე გლობალიზაციის ზეგავლენის გასაანალიზებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია დადგინდეს ქვეყნის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ფორმა, სახეობა და რაოდენობრივი თანაფარდობა, რისთვისაც შესაძლებელია გამოვიყენოთ კორელაციურ-რეგრესული ანალიზის მეთოდი.

ჩვენს მიერ განხორციელებულ ანალიზში მიზეზობრივ ცვლადებად აღებულია ქვეყანაში შემოსული და გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ფინანსური ნაკადების პროცენტული მნიშვნელობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით); უცხოური და საზღვარგარეთული საკუთრება (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის პროცენტული მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით). ხოლო საშედეგო ცვლადად – რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი. კორელაციურ-რეგრესული კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 5 და 6.

⁵² D. Dollar, A. Kraay, Growth and Poverty, Finance and Development, IMF, 2001, September, Volume 38, Number 3.

⁵³ J. Stiglitz, Globalization and its Discontents, New York and London, 2003.

საქართველოს მაგალითზე კორელაციურ-რეგრესული კვლევის შედეგად, რომელიც ეყრდნობა 2000-2010 წლების მონაცემებს, ირკვევა, რომ ქვეყანაში შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა (პუი) და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი (კორელაციის კოეფიციენტით 0,52), თუმცა იგი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (0,05 მნიშვნელობის დონეზე ალბათობა უდრის 0,10). გასულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის, ასევე, არსებობს კავშირი (კორელაციის კოეფიციენტით 0,15), რომელიც არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (ალბათობა უდრის 0,7). მაშინ როცა, უცხოურ საკუთრებასა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (ალბათობა ნაკლებია 0,01-ზე) ძლიერი პირდაპირი კავშირი (კორელაციის კოეფიციენტით 0,92), რაც იმას ნიშნავს რომ, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უცხოური საკუთრების ზრდაზე – მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 86%-ს განაპირობებს უცხოური საკუთრების ზრდა. ხოლო საგარეო საკუთრებასა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (ალბათობა ნაკლებია 0,01-ზე) უკუკავშირი (კორელაციის კოეფიციენტით -0,76), რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო იზრდება ქვეყნის საგარეო საკუთრება, მით უფრო მცირდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა (ცხრილი 5).

აშშ-ის მაგალითზე კორელაციურ-რეგრესული კვლევის შედეგად, რომელიც ეყრდნობა ასევე 2000-2010 წლების მონაცემებს, ირკვევა, რომ ქვეყანაში შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის, საქართველოსაგან გასხვავებით, არსებობს სუსტი უკუკავშირი (კორელაციის კოეფიციენტით -0,05), თუმცა იგი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (ალბათობა უდრის 0,89). გასულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის კი არსებობს პირდაპირი კავშირი (კორელაციის კოეფიციენტით 0,48), რომელიც აგრეთვე არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (ალბათობა უდრის 0,14).

აშშ-ში უცხოურ საკუთრებასა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის, საქართველოსაგან განსხვავებით, არსებობს სტატისტიკურად უმნიშვნელო (ალბათობა მეტია 0,05-ზე) უკუკავშირი (კორელაციის კოეფიციენტით -0,25), ხოლო

საზღვარგარეთულ საკუთრებასა და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს შორის – სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (ალბათობა ნაკლებია 0,05-ზე) პირდაპირი კავშირი (კორელაციის კოეფიციენტით 0,63), რაც იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო იზრდება ქვეყნის საზღვარგარეთული საკუთრება, მით უფრო იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. ამასთან, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის, დაახლოებით, 40%-ს განაპირობებს საზღვარგარეთული საკუთრების ზრდა (ცხრილი 6).

ცხრილი 5. გლობალიზაციის ინტერსივობასა და მშპ-ს შორის კორელაცია, საქართველოს მაგალითზე

		რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი
შემოსული პუი-ები (მშპ-ის %)	პირსონის კორელაცია	0,52
	მნიშვნელობა	0,099
გასული პუი-ები (მშპ-ის %)	პირსონის კორელაცია	0,15
	მნიშვნელობა	0,65
უცხოური საკუთრება (მშპ-ის %)	პირსონის კორელაცია	0,93*
	მნიშვნელობა	0,000
საზღვარგარეთული საკუთრება (მშპ-ის %)	პირსონის კორელაცია	-0,76*
	მნიშვნელობა	0,007

*სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი მნიშვნელოვნების 0,01 დონეზე.

ცხრილი 6. გლობალიზაციის ინტერსივობასა და მშპ-ს შორის კორელაცია, აშშ-ის მაგალითზე

		რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი
შემოსული პუი-ები (მშპ-ის %)	პირსონის კორელაცია	-0,05
	მნიშვნელობა	0,89
გასული პუი-ები (მშპ-ის %)	პირსონის კორელაცია	0,48
	მნიშვნელობა	0,14
უცხოური საკუთრება (მშპ-ის %)	პირსონის კორელაცია	-0,25
	მნიშვნელობა	0,47
საზღვარგარეთული საკუთრება (მშპ-ის %)	პირსონის კორელაცია	0,63*
	მნიშვნელობა	0,04

*სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი მნიშვნელოვნების 0,05 დონეზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უცხოური საკუთრების ზრდა საქართველოში უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე, ვიდრე აშშ-ში. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციას მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე დიდი ქვეყნებისთვის. ამასთან, საზღვარგარეთული საკუთრების ზრდა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე საქართველოსთვის, ხოლო დადებით ზეგავლენას – აშშ-ისთვის, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკურ გლობალიზაციას ამ ასპექტში უარყოფითი ზეგავლენა აქვს მცირე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და დადებითი – დიდი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მცირე ზომის ქვეყნებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია ქვეყანაში უცხოური საკუთრების ზრდაზე (მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 86% განაპირობებს უცხოური საკუთრების ზრდა), ხოლო დიდ ქვეყნებში – საზღვარგარეთული საკუთრების ზრდაზე (მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 40% განაპირობებს საზღვარგარეთული საკუთრების ზრდა). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ქვეყნები, რომლებიც სირთულეებს განიცდიან ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, უფრო მეტად უნდა ჩაერთონ გლობალიზაციის პროცესებში.

როგორც ვნახეთ, საქართველოში გლობალიზაციის სხვა დანარჩენ ასპექტებს შორის, რეალურ მთლიან შიდა პროდუქტის ზრდაზე ყველაზე დიდი გავლენას ახდენს უცხოური საკუთრება. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით სასარგებლო იქნება საქართველოში უცხოურ საკუთრებასა და მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ) შორის კავშირის ამსახველი მოდელის აგება და მისი მეშვეობით მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის რაოდენობრივი თანაფარდობის გაანგარიშება, რისთვისაც ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა რეგრესული ანალიზის მეთოდი. დადგინდა, რომ საქართველოში უცხოურ საკუთრებასა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კავშირი წრფივი ფორმისაა, რომელიც გამოისახება შემდეგი განტოლებით:

$$Y = 0.97 X + 2\,555 \quad (\text{მლნ. \$}), \text{ სადაც}$$

Y აღნიშნავს მთლიან შიდა პროდუქტის, ხოლო X – ქვეყანაში არსებული უცხოური საკუთრების მოცულობას.

აღნიშნულ მოდელში სტანდარტული შეცდომა უდრის 495 მლნ. დოლარს (დანართი 1, ცხრილები 1 და 2).

აღნიშნული მოდელი საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, უცხოური საკუთრების ნებისმიერი მოცემული სიდიდისათვის განვსაზღვროთ მშპ-ის სიდიდე, მეორე მხრივ, განვსაზღვროთ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცემული სიდიდის მისაღწევად საჭირო უცხოური საკუთრების მოცულობა (ორივე შემთხვევაში მოსალოდნელი შეცდომა იქნება 340 ერთეული).

კორელაციური ანალიზის შედეგად, აგრეთვე დავინახეთ, რომ აშშ-ში გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტებს შორის რეალური მშპ-ის ზრდაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს საზღვარგარეთული საკუთრება. აშშ-ში საგარეო საკუთრებასა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის კავშირის დასადგენად, ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა აგრეთვე რეგრესიული ანალიზის მეთოდი, რის შედეგადაც აღნიშნული კავშირი გამოისახა შემდეგი წრფივი განტოლებით:

$$Y = 0.83 X + 7\,732 \quad (\text{მლრდ. \$}), \text{ სადა } C$$

Y აღნიშნავს მთლიან შიდა პროდუქტს, ხოლო X – ქვეყნის რეზიდენტების საზღვარგარეთული საკუთრების მოცულობას.


აღნიშნულ მოდელში სტანდარტული შეცდომა უდრის 1107 მლრდ. დოლარს (დანართი 1, ცხრილები 3 და 4).

მიმდინარე ეკონომიკუმა კრიზისმა აჩვენა გლობალური ეკონომიკური სისტემის დაუცველობა. გლობალურმა კავშირებმა გაზარდა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ქვეყნებს შორის, რამაც ხელი შეუწყო კრიზისის გავრცელებას. ის, რაც დაიწყო როგორც ფინანსური კრიზისი აშშ-ში, სწრაფად გადაიზარდა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში, რამაც გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვნად დაცემა.

2007 წელს OECD-ის ყველა ქვეყანაში დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდა. ამასთან, სლოვაკეთში, ინდოეთსა და რუსეთში რეალური მშპ-ის ზრდის განაკვეთმა 8%-ს გადააჭარბა, ხოლო ჩინეთში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 13%-ს მიაღწია. მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა აჩვენა აგრეთვე პოლონეთმა, ლუქსემბურგმა,

ჩეხეთმა და ირლანდიამ, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი 1-დან 6%-მდე მერყეობდა⁵⁴.

დიაგრამა 1. რეალური მშპ-ის ზრდა, OECD-ის ქვეყნები, 2010



წყარო: OECD.Stat, Economic outlook No 9, June 2012.

2008 წელს OECD-ის უმეტეს ქვეყანაში ჯერ კიდევ ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა, მაგრამ ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა. რეალური მშპ-ის ყველაზე მაღალი ზრდა აჩვენა ჩინეთმა, სადაც იგი 9%-ს არ აღემატებოდა, ხოლო OECD-ის რამდენიმე ქვეყანაში რეალური მშპ შემცირდა. 2008 წელს რეალური მშპ შემცირდა ირლანდიაში, დანიაში, ახალ ზელანდიაში, იტალიაში, იაპონიასა და შვედეთში. ამავე წელს განვითარებადმა ქვეყნებმა კვლავ ძლიერი ეკონომიკური ზრდა აჩვენა, მაგრამ კრიზისმა მათზეც მოახდინა ზეგავლენა და ეკონომიკური ზრდა იყო მნიშვნელოვნად დაბალი ვიდრე 2007 წელს⁵⁵.

ფინანსური კრიზისის გლობალური შედეგები ნათლად აისახა მშპ-ის ზრდაზე 2009 წელს. 2009 წელს OECD-ის ყველა ქვეყანაში, გარდა ჩინეთის, ინდოეთის, პოლონეთის, ავსტრალიისა და სამხრეთ კორეისა, რეალური მშპ შემცირდა. ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა რუსეთზე,


⁵⁴ OECD, Economic Globalisation Indicators: Measuring Globalization, 2010, page 23.

⁵⁵ იქვე.

მექსიკაზე, ირლანდიაზე, ისლანდიაზე, ფინეთზე, უნგრეთსა და თურქეთზე. ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აგრეთვე სლოვაკეთს, იაპონიას, გერმანიას, იტალიას, შვედეთს, დიდ ბრიტანეთს, დანიას, ჩეხეთსა და ჰოლანდიას⁵⁶.

2010 წელს ეკონომიკური ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა OECD-ის ყველა ქვეყანაში. ყველა ქვეყნას, გარდა ესპანეთის, ირლანდიის, საბერძნეთისა და ისლანდიისა, ახასიათებდა მშპ-ის მნიშვნელოვანი ზრდა. ხოლო რუსეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ბრაზილიაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება. ჩინეთი და ინდოეთი კვლავ ინარჩუნებენ მშპ-ის მნიშვნელოვან ზრდას (დიაგრამა 1).

დიაგრამა 2. რეალური მშპ-ის კვარტალური ზრდა, 2007-2010



წყარო: OECD, Main Economic Indicators Database, Jul 2012.

ფინანსური კრიზისის გლობალური შედეგები აგრეთვე ნათლად ჩანს დიაგრამაზე 2, რომელიც გვიჩვენებს რეალური მშპ-ის კვარტალურ ზრდას მსოფლიოს ხუთ უმსხვილეს ქვეყანაში. 2007 წლის პირველი კვარტალიდან მშპ-ის ზრდის ტემპი თანდათან იკლებს, იგი თანდათან ხდება უარყოფითი და ყველაზე დაბალ მანქვენებლს აღწევს 2009 წლის პირველ-მეორე კვარტალში, ხოლო მეორე კვარტალიდან იწყება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება (დიაგრამა 2).

⁵⁶ იქვე.

როგორც შემდგომ თავებში ვნახავთ, OECD-ის ქვეყნებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომი ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესება ემთხვევა მთელ მსოფლიოში ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდის პერიოდს (თავი 2), საიდანაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი არ იყო უმთავრესად ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების გადრმავეებით განპირობებული, არამედ პირიქით, გლობალიზაციის გადრმავებამ შეიძლება ხელი შეუწეოს ცალკეულ ქვეყანებში კრიზისული სიტუაციებიდან გამოსვლას და ეკონომიკურ ზრდას.

თავი 2. ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები

2.1 ვაჭრობისა და ინვესტიციების გლობალიზაცია

მრავალი ანალიზი ადასტურებს, რომ 1970-იანი წლების შუა პერიოდი იყო შემობრუნების წერტილი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, თუმცა აშკარა აჩქარება გლობალიზაციის ტენდენციებში მხოლოდ 80-იანი წლების შუა პერიოდიდან აღინიშნა. მიუხედავად ამისა გლობალიზაციის გამოვლენა პირველად არ ყოფილა XX საუკუნის დამლევს. მართლაც, გასულ ორ ათწლეულსა და 1913 წლამდე ნახევარი საუკუნით ადრე პერიოდს შორის არსებობს საკმარისი საერთო მახასიათებლები იმისათვის, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების ინტერპრეტირება მოახდინოს როგორც დაბრუნება გლობალიზაციის ადრინდელ ეპიზოდთან, რომელსაც მოყვა ხანგრძლივი, ეროვნულზე ორიენტირებული განვითარების სტრატეგიები უმეტეს განვითარებად ქვეყნებში.

XIX საუკუნის ბოლო ხასიათდებოდა საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრი გაფართოებით. ერთი-ერთი უკანასკნელი შეფასების თანახმად მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში ექსპორტის ხვედრითი წონა გაიზარდა 5 %-დან, 1870 წელს, 8,7 %-მდე, 1913 წელს⁵⁷. ამასთან კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებმა შეასრულეს ბევრად უფრო თვალსაჩინო როლი მსოფლიო ეკონომიკის ფორმირებაში. 1913 წლისათვის საერთაშორისო კაპიტალის ყოველწლიურმა ნაკადმა მიაღწია კაპიტალის ექსპორტორი ქვეყნების მთლიანი ეროვნული პროდუქტის 5 %-ს, განსაკუთრებით გაერთიანებულ სამეფოში საფრანგეთსა და გერმანიაში. ტიპური ინვესტიციები მოიცავდა სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, მაგრამ პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა უცხოური ინვესტიციების მთლიანი ფონდების ერთი მესამედი 1913 წლისათვის⁵⁸.

⁵⁷ UNCTAD, Trade and Development Report, New York and Geneva, 1997, page 73.

⁵⁸ იქვე.

ვაჭრობისა და კაპიტალის ნაკადების გაფართოება იყო მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სურსათსა და ნედლეულზე მზარდმა მოთხოვნამ ხელი შეუწყო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს პირველად სექტორში; საქონლის ექსპორტმა შეადგინა მსოფლიო ვაჭრობის 70%-ზე მეტი როგორც პერიოდის დასაწყისში, ისე დასასრულს, ამასთან 1914 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფონდების 55% იყო ამ სექტორში. ამავდროულად საპორტფელო ინვესტიციების ნაკადებმა დააფინანსა ინფრასტრუქტურის პროექტები, კერძოდ, რკინიგზის მშენებლობა იგივე პირველადი საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებში. ამასთან, რადგანაც ბევრი რესურსებით მდიდარი ქვეყანა იყო სამუშაო ძალით ღარიბი, განვითარების ზრდის შესაძლებლობებმა მიიზიდა დაბალკვალიფიციური მუშების დიდი ნაკადები, განსაკუთრებით უფრო ღარიბი ევროპული ნაწილიდან.

XIX საუკუნეში მზარდი საერთაშორისო კავშირები ნაწილობრივ გამოწვეული და გაძლიერებული იყო ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით (რკინიგზა, ტელეგრაფი, ტელეფონი), ასევე სტანდარტების ჰარმონიზაციითა და საერთაშორისო ტრანსაქციების ხარჯების შესამცირებლად განსორციელებული ორგანიზაციული მოწესრიგებით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ოქროს სტანდარტი, რომელიც მთელი რიგი ქვეყნების მიერ შემოღებულ იქნა 1970-იანი წლების განმავლობაში და უზრუნველყოფდა სტაბილურ საერთაშორისო მონეტარულ და საგადასახდელო ჩარჩოს სავაჭრო და ფინანსური ტრანსაქციების მზარდი მოცულობისათვის. მაგრამ სხვა საჯარო ორგანიზაციები (როგორცაა საერთაშორისო საპატენტო სისტემა და უნივერსალური საფოსტო კავშირი), და ასევე მრავალეროვნული საწარმოების აღმოცენება იყო გლობალიზაციის განუყოფელი მახასიათებელი ამ პერიოდის განმავლობაში⁵⁹.

საერთაშორისო სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადები ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალებია. 1990-2011 წლებში მთელ მსოფლიოში (ერთობლივად) ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ამასთან, საერთაშორისო ვაჭრობასთან შედარებით, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა

⁵⁹UNCTAD, TDR 1997.

აჩვენა უფრო მაღალი ზრდის ტემპი და წარმოადგენდა უფრო დინამიკურად განვითარებად სეგმენტს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა განსაკუთრებით მკვეთრი იყო 90-იანი წლების ბოლოს. 2000-2002 წლებში იგი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რის შემდეგაც მან ზრდა განაგრძო, 2007-დან დაიწყო მისი შემცირება, თუმცა 2009 წლიდან მან კვლავ ზრდა დაიწყო. 2011 წელს, 2009 წელთან შედარებით, იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება წინაკრიზისამდელ დონეს. საანგარიშო პერიოდში საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა ხასიათდებოდა უფრო სტაბილური ზრდით, ორივე კატეგორიაში თითქმის თანაბარი ზრდის ტემპებით (დანართი 2, დიაგრამა 1)⁶⁰.

1990-2011 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში საინვესტიციო ნაკადებმა მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. 2009 წელს, 2007 წელთან შედარებით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთობლივი ნაკადები 53%-ით შემცირდა, ხოლო რეგიონიდან გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები – 52%-ით. ეს მკვეთრი შემცირება წარმოადგენდა უკვე მეორე მკვეთრ ვარდნას 10 წელიწადზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში, თუმცა 2009 წლიდან როგორც რეგიონიდან გასულმა, ისე შემოსულმა პუი-ებმა, ზრდა დაიწყო (დანართი 2, დიაგრამა 2)⁶¹.

2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გლობალურმა მაჩვენებელმა გადააჭარბა წინასაკრიზისო პერიოდის საშუალო მაჩვენებელს, მიაღწია რა 1,5 ტრლნ. დოლარს, თუმცა იგი კვლავ რჩება 2007 წლის პიკის 23%-ზე ქვემოთ. 2010 წელთან შედარებით იგი 16%-ით გაიზარდა, ხოლო პირდაპირი უცხოური საინვესტიციო ფონდები 2011 წელს 2010 წელთან შედარებით გაიზარდა 3%-ით და მიაღწია 20,4 ტრილიონ დოლარს⁶².

2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები გაიზარდა სამივე ძირითად ეკონომიკურ ჯგუფში: განვითარებული ქვეყნებისკენ მიმართული ნაკადები გაიზარდა 21%-ით და 748 მლრდ. დოლარს მიაღწია. განვითარებულ ქვეყნებში პუი-

⁶⁰ UNCTAD, Statistical database, 2012.

⁶¹ OECD, International Direct Investment Database, October 2012.

⁶² UNCTAD, World Investment Report, 2012 .

ების ნაკადები გაიზარდა 11%-ით, მიაღწია რა 684 მლრდ. დოლარის ტოლ რეკორდულ მაჩვენებლს. გარდამავალ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები გაიზარდა 25%-ით და მიაღწია 92 მლრდ. დოლარს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალურ ნაკადებში განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების ხვედრითი წონა შეადგენს, შესაბამისად, 45 და 6%-ს. აფრიკასა და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შემცირდა. 2011 წელს აფრიკის კონტინენტისკენ მიმართული ნაკადების შემცირება უმთავრესად განპირობებული იყო ჩრდილოეთ აფრიკაში აქტივების გაყიდვით. ამის საპირისპიროდ, სუბ-საჰარის აფრიკისკენ მიმართული ნაკადები გაუმჯობესდა, გაიზარდა რა 37 მლრდ. დოლარამდე, რითაც მიუახლოვდა თავის ისტორიულ პიკს⁶³.

გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) პროგნოზით, 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა უფრო შენელებულია და ნაკადების დონე მიაღწევს 1,6 ტრლნ. დოლარს. გრძელვადიან პერიოდში იქნება ზომიერი, მაგრამ განუხრელი ზრდა და გლობალურ დონეზე მიაღწევს 1,8 ტრლნ. დოლარს, 2013 წელს, ხოლო 1,9 ტრლნ. დოლარს – 2014 წელს⁶⁴.

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები შეგვიძლია გავაანალიზოთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორების გამოყენებით. ინდიკატორით, როგორცაა ექპორტისა და იმპორტის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებით, იზომება ქვეყნის ინტეგრაციის ხარისხი მსოფლიო ეკონომიკაში და, ამდენად, ვაჭრობის გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი 34 ქვეყნიდან 26-ში. მათ შორის ყველაზე დიდი ზრდა აღინიშნა ლუქსემბურგში (39), ისლანდიასა (28) და კორეაში (28 პროცენტული პუნქტით), ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა ყველაზე მეტად კანადასა და საბერძნეთში (შესაბამისად – 26 და 13 პროცენტული პუნქტით). რაც შეეხება საშუალო მაჩვენებლს, იგი გაიზარდა 7 პროცენტული პუნქტით (დიაგრამა 3).


⁶³ UNCTAD, World Investment Report, 2012.

⁶⁴ იქვე.

აღნიშნულ პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებით, გაიზარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 6 ძირითადი პარტნიორი ქვეყნიდან 4-ში. მათ შორის, ინდოეთსა და ჩინეთში ზრდამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა OECD-ის საშუალო მაჩვენებელს (დანართი 3)⁶⁵.

ამრიგად, საანგარიშო პერიოდში ვაჭრობის გლობალიზაცია მთელ მსოფლიოში უმთავრესად ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

დიაგრამა 3. საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი (მშპ-ის %) (OECD-ის წევრი ქვეყნები, 2000 და 2010)



წყარო: OECD Trade Indicators, October 2012; United Nations Statistics Division, International Trade and National Accounts Database, 2011.

პირდაპირი უცხოური საინვესტიციო ტრანსაქციები გვიჩვენებს შემოსულ და გასულ ინვესტიციებს მოცემული პერიოდის განმავლობაში. როგორც გასული, ისე შემოსული ინვესტიციები ფასდება ახალი ინვესტიციებიდან დაბრუნებული კომპანიათშორისი სესხების და უკან წადებული ინვესტიციების გამოკლებით.


⁶⁵ OECD Trade Indicators, October 2012; United Nations Statistics Division, International Trade and National Accounts Database, 2011.

განსხვავება შემოსულ და გასულ ინვესტიციებს შორის გვიჩვენებს ქვეყანა კაპიტალის წმინდა ექსპორტიორია თუ იმპორტიორი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნები (ერთობლივად), ტრადიციულად, არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კაპიტალის წმინდა ექსპორტიორი, რამდენადაც ამ რეგიონიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი გასული ნაკადები მეტია მთლიან შემოსულ ნაკადებზე.

გასული 10 წლის განმავლობაში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში (ერთობლივად) საინვესტიციო ნაკადები ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი რყევებით. 2010 წელს, 2007 წელთან შედარებით OECD-ში შემოსული ნაკადები 37%-ით შემცირდა, ხოლო რეგიონიდან გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები – 34%-ით. საინვესტიციო აქტივობის ეს მკვეთრი შემცირება უმთავრესად განპირობებული იყო ფინანსური კრიზისით. 2007 წელს OECD-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები იყო ყველაზე მაღალი გასულ და შემდგომ პერიოდთან შედარებით, უფრო მაღალიც კი ვიდრე 1998-2000 წლების საინვესტიციო ბუმის დროს, რაც განპირობებული იყო კორპორაციათა საერთაშორისო შერწყმებითა და შთანთქმებით. 2008 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შემცირდა, თუმცა ეს იყო მკვეთრი დაცემა მხოლოდ 2007 წლის პიკთან შედარებით, ხოლო გასული საინვესტიციო ნაკადები ჯერ კიდევ 30%-ით აღემატებოდა 2005 წლის დონეს. მაგრამ, 2009 წელს კვლავ მკვეთრად შემცირდა როგორც გასული ისე შემოსული პირდაპირი საინვესტიციო ნაკადები. 2010 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციებმა ორივე კატეგორიაში ზრდა დაიწყო. 2011 წელს გასული საინვესტიციო ნაკადები არ ჩამოუვარდებოდა 2000 წლის დონეს, რომელიც 2007 წლამდე წარმოადგენდა პიკს, რასაც ვერ ვიტყვით შემოსულ პირდაპირ უცხოურ საინვესტიციო ნაკადებზე. ამასთან, 2001 წლიდან OECD კაპიტალის წმინდა ექსპორტიორია, 2007 წელს განსხვავება შემოსულ და გასულ საინვესტიციო ნაკადებს შორის მკვეთრად გაიზარდა გასული ნაკადების სასარგებლოდ, რასაც მოჰყვა 2009 წელს მისი მკვეთრი შემცირება. თუმცა

2010 წლიდან მან კვლავ ზრდა განაგრძო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ OECD არის პუი-ების კაპიტალის წმინდა ექსპორტიორი (დანართი 4)⁶⁶.

დიაგრამა 4. ქვეყნიდან გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები (მშპ-ის %), OECD-ის ქვეყნები, 2000 და 2010 წ.წ.



წყარო: OECD International Direct Investment Database, October 2012; United Nations Statistics Division, Foreign Direct Investment Database, 2012.


მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები აბსოლუტურ მაჩვენებლებში უმთავრესად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მისი მნიშვნელობის დონე მცირდება. რაც იმას ნიშნავს, რომ 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, ქვეყნიდან გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით, შემცირდა OECD-ის წევრი 34 ქვეყნიდან 22-ში. მათ შორის, ბელგიაში (25), ფინეთში (15), დანიაში (15), გაერთიანებულ სამეფოში (14), ჰოლანდიასა (13) და ლუქსემბურგში (13 პროცენტული პუნქტით). OECD-ის დანარჩენ ქვეყნებში აღინიშნა უმნიშვნელო ზრდა (0,2-დან 6 პროცენტულ პუნქტამდე) (დიაგრამა 4). აღნიშნული მაჩვენებელი აგრეთვე შემცირების ტენდენციით ხასიათდება ევროკავშირში, მისი 2005-2010 წლების საშუალო

⁶⁶ OECD International Direct Investment Database, October 2012.

მაჩვენებელი 2000-2004 წლების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 13%-ით, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი დიდი ოცეულსა და OECD-ში გაიზარდა, შესაბამისად, 20 და 14%-ით. შემცირების ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე შემოსული პუი-ების ნაკადები (დიაგრამა 5).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მოტივაციაა გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტიციების საწარმოს შორის. პირდაპირი უცხოური საინვესტიციო პოზიცია გვაძლევს იმ ინვესტიციების სტრუქტურული ანალიზის საშუალებას, რაც აკუმულირდება დროთა განმავლობაში. პირდაპირი უცხოური საინვესტიციო პოზიციის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით შესაძლებელს ხდის ქვეყნებს შორის იმ საინვესტიციო ურთიერთობების შედარებით ანალიზს, რომელიც მყარდება პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის.

დიაგრამა 5. ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები (მშპ-ის %), OECD-ის ქვეყნები, 2000 და 2010 წ.წ.



წყარო: OECD International Direct Investment Database, October 2012; United Nations Statistics Division, Foreign Direct Investment Database, 2012.

2010 წელს 2000 წელთან შედარებით, გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით გაიზარდა

OECD-ის წევრი 34 ქვეყნიდან 33-ში, ხოლო ახალ ზელანდიაში უმნიშვნელოდ შემცირდა (0,04 პროცენტული პუნქტით). ლუქსემბურგში, ირლანდიასა და ბელგიაში აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა სულ მცირე 115 პროცენტული პუნქტით, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში ზრდის მაჩვენებელი მერყეობდა 87-დან 2 პროცენტულ პუნქტამდე. რაც შეეხება საშუალო მაჩვენებელს, მან ანგარიშგებით პერიოდში 25%-დან 59%-ს მიაღწია (დანართი 5, დიაგრამა 1)⁶⁷.

თუ აღნიშნულ მაჩვენებელს გავანალიზებთ რეგიონებისა და ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, ვნახავთ, რომ იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც ევროკავშირში, ისე დიდ ოცეულსა და OECD-ში (დანართი 6, დიაგრამა 1)⁶⁸.

რაც შეეხება შემოსულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის ანალოგიურ მაჩვენებელს, საანგარიშო პერიოდში იგი გაიზარდა OECD-ის 34 ქვეყნიდან 30-ში, ამასთან ბელგიაში ზრდამ მიაღწია 113 პროცენტულ პუნქტს, ხოლო ლუქსემბურგში, ისლანდიასა და შვეიცარიაში – სულ მცირე 71 პროცენტულ პუნქტს (დანართი 5, დიაგრამა 2). აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა მხოლოდ დანიაში, ახალ ზელანდიასა და ირლანდიაში, შესაბამისად, 1, 5 და 11 პროცენტული პუნქტით. აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე, როგორც მთლიანად ევროკავშირში, ისე დიდი ოცეულსა და მთლიანად OECD-ში (დანართი 6, დიაგრამა 2).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგებით პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები მთელ მსოფლიოში უმთავრესად კლების ტენდენციით ხასიათდება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია იზრდება.

რაც შეეხება OECD-ის წევრი ქვეყნებისთვის, როგორც პირდაპირი ინვესტირების მიმღები და წარმოშობის ქვეყნებისთვის, საინვესტიციო პოზიციის შეფარდებით მნიშვნელობას (საინვესტიციო პოზიციის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით). საინვესტიციო პოზიციის აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით, აშშ არის ყველაზე მსხვილი მიმღები და ინვესტორი ქვეყანა, OECD-ის მთლიან ინვესტიციებში დაახლოებით 25%-იანი ხვედრითი წილით. მიუხედავად ამისა, მისი ეკონომიკის ზომასთან შედარებით, აშშ-ში შემოსული უცხოური ინვესტიციები

⁶⁷ OECD, Foreign Direct Investment Statistics, 2012 October.

⁶⁸ იქვე.

შეადგენს მისი მშპ-ის მხოლოდ 12%-ს, ხოლო გასული ინვესტიციები – 30%-ს (დანართი 7).

2011 წელს დიდი შვიდეულის ყველა ქვეყანამ აგრეთვე აჩვენა შეფარდებითი მნიშვნელობის უფრო მაღალი დონე გასულ ინვესტიციებში, ვიდრე – შემოსულ ინვესტიციებში. დიდი ბრიტანეთისთვის, საფრანგეთისთვის, იაპონიისთვისა და იტალიისთვის განსხვავება შემოსული და გასული ინვესტიციების შეფარდებით მაჩვენებლებს შორის იყო 20, 13, 9 და 7%, შესაბამისად. კანადისა და გერმანიისათვის საინვესტიციო პოზიცია შეადგენს 30%-ზე მეტს. 2011 წელს ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებისთვის – ისლანდიის, დანიის, ფინეთის, ნორვეგიისა და შვედეთისთვის – გასულ ინვესტიციებს ახასიეთებდა შეფარდებითი მნიშვნელობის უფრო მაღალი დონე, ვიდრე მათივე შემოსულ ინვესტიციებს (დანართი 7).

ამრიგად, უკანსკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში, OECD-ის ქვეყნებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, როგორც ვაჭრობის ისე ინვესტიციების გლობალიზაცია.


იმისათვის რომ შევაფასოთ ინდივიდუალური ქვეყნის სხვადასხვა სექტორის წვლილი გლობალურ ეკონომიკაში და, აგრეთვე, მიმღები ქვეყნის დამოკიდებულება უცხოურ ინვესტიციებზე საჭიროა გავანალიზოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია დარგების მიხედვით. პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე განვიხილოთ დარგების ორი მთავარი სექტორი: 1. მრეწველობა და 2. მომსახურება. გაეროს დარგობრივი კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, მომსახურების სექტორი მოიცავს შემდეგ დარგებს: ელექტრობა, გაზი და წყალი; მშენებლობა; ვაჭრობა; რემონტი; სასტუმროები და რესტორნები; ტრასპორტი და კავშირგაბმულობა; სახმელეთო; საზღვაო და საჰაერო ტრასპორტი; ტელეკომუნიკაციები; ფინანსური საქმიანობა; სავალუტო ინსტიტუტები; სხვა ფინანსური ინსტიტუტები; დაზღვევა და სადაზღვევო მომსახურების დამხმარე საქმიანობა და სხვა მომსახურება.

როგორც დიაგრამები 6 და 7 გვიჩვენებს, მრეწველობის სექტორში გასული 2 ათწლეულის განმავლობაში OECD-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია აბსლუტურ მაჩვენებლებში რამდენჯერმე გაიზარდა – 2010 წელს, 1990 წელთან შედარებით, გასულ ინვესტიციებში იგი თითქმის 6-ჯერ გაიზარდა (645 მლრდ. დოლარიდან, 1990 წელს, 3612 მლრდ. დოლარამდე, 2010 წელს), ხოლო შემოსულ

ინვესტიციებში – 6-ზე მეტად (484-დან, 1990 წელს, 2911 მლრდ. დოლარამდე, 2010 წელს). მიუხედავად ამისა, ამავე პერიოდში მრეწველობის დარგებში განხორციელებული ინვესტიციების შეფარდებითი მნიშვნელობა ძლიერ შემცირდა. OECD-ის ქვეყნებში მრეწველობის დარგებში განხორციელებული ინვესტიციების ხვედრითი წონა მთლიან ინვესტიციებში შემცირდა დაახლოებით 40%-დან, 1986 წელს, 25%-მდე, 2000 წელს და 24%-მდე, 2010 წელს (დიაგრამები 6 და 7).


მომსახურების სექტორის ხვედრითი წონა მთლიან ინვესტიციებში აშკარა გახდა 90-იანი წლების შუა პერიოდიდან. 2010 წელს, საერთაშორისო ინვესტიციების საერთო ზრდის პარალელურად, მომსახურების დარგებში უცხოური ინვესტიციების აბსოლუტურმა მაჩვენებელმა მიაღწია ისტორიულად მაღალ დონეს როგორც შემოსულ ისე გასულ ინვესტიციებში (7492 და 10466 მლრდ. დოლარს, შესაბამისად). 1995-2010 წლებში OECD-ის საინვესტიციო ფონდები მომსახურების სექტორში საშუალოდ იზრდებოდა 18%-ით შემოსულ ინვესტიციებში და 17%-ით – გასულ ინვესტიციებში (დიაგრამები 8 და 9).

დიაგრამა 6. გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია მრეწველობაში, OECD




წყარო: OECD, Foreign Direct Investment Statistics, 2012 October.

დიაგრამა 7. შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია მომსახურების სექტორში, OECD




წყარო: OECD, Foreign Direct Investment Statistics, 2012 Octob

დიაგრამა 8. გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია მომსახურების სექტორში, OECD



წყარო: OECD, Foreign Direct Investment Statistics, 2012 October.

დიაგრამა 9. შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია მომსახურების სექტორში, OECD




წყარო: OECD, Foreign Direct Investment Statistics, 2012 October.

2010 წელს, OECD-ის ქვეყნებში მრეწველობის სექტორის ხვედრითი წონა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მნიშვნელოვნად მცირეა მომსახურების სექტორთან შედარებით. მთლიან გასულ ინვესტიციებში მრეწველობის სექტორის ხვედრითი წონა არცერთ ქვეყანაში, გარდა კორეისა, არ აღემატება 59%-ს (დიაგრამა 10), (დანართი 8, ცხრილი 1), მაშინ როცა მომსახურების სექტორში ანალოგიური მაჩვენებელი 80%-ს აღემატება საფრანგეთში, პორტუგალიაში, ირლანდიასა და საბერძნეთში, ხოლო ესტონეთში მან 94%-ს მიაღწია (მაშინ როცა ამავე ქვეყანაში მრეწველობის სექტორის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 3%-ს მიაღწია). ამასთან, უმეტეს ქვეყანაში აღნიშნული მაჩვენებელი 60-ზე მაღალია (დანართი 8, დიაგრამა 1). განსხვავება მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მრეწველობისა და მომსახურების სექტორების ხვედრით წონას შორის კიდევ უფრო დიდია შემოსული ინვესტიციების მიხედვით, სადაც მრეწველობის სექტორის ხვედრითი წონის მაქსიმალური მაჩვენებელია 56% (ისლანდია), (დიაგრამა 11), (დანართი 8, ცხრილი 2), მაშინ როცა მომსახურების სექტორის ანალოგიური მაჩვენებელი 80%-ს აღემატება გერმანიაში, შვეიცარიაში და საფრანგეთში, ხოლო


ავსტრიაში და ირლანდიაში იგი 91 და 98%-ს მიაღწია. ამასთან, ამავე წელს OECD-ის უმეტეს ქვეყანაში აღნიშნული მაჩვენებელი 60%-ს აღემატებოდა (დანართი 8, დიაგრამა 2).

დიაგრამა 10. მრეწველობის სექტორის ხვედრითი წონა მთლიანი გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროზიციაში OECD-ის წევრ ქვეყნებში, 2010



წყარო: OECD, Foreign Direct Investment Statistics, 2012 October.

დიაგრამა 11. მრეწველობის სექტორის ხვედრითი წონა მთლიანი შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროზიციაში OECD-ის წევრ ქვეყნებში, 2010



წყარო: OECD, Foreign Direct Investment Statistics, 2012 October.

2010 წელს, აშშ-ის ინვესტიციებმა მრეწველობაში შეადგინა მთლიანი შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 29%, ხოლო საზღვარგარეთულ შვილობილ საწარმოებში რეზიდენტი ინვესტორების საკუთრებაში მრეწველობის სექტორის ხვედრითმა წონამ – მხოლოდ 12%. მაშინ როცა, ამავე წელს მომსახურების სექტორის ანალოგიურმა მაჩვენებლებმა 51 და 17%-ს მიაღწია, შესაბამისად (დანართი 8, დიაგრამები 1, და 2).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, თანამედროვე ეტაპზე, ინვესტიციების გლობალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მომსახურების სექტორს და მისი როლი თანდათან კიდევ უფრო იზრდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, OECD-ის ქვეყნებში 2000-2008 წლებში ფინანსური ტრანსაქციები (საპორტფელო ინვესტიციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები) ხასიათდებოდა ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით და ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო ტრანსაქციების ყველაზე დინამიკურ სეგმენტს, რასაც ვერ ვიტყვიტ საქართველოზე. 2005-2010 წლებში საპორტფელო ინვესტიციების ნაკადები საქართველოში წარმოადგენდა ყველაზე ცვალებად კომპონენტს. 2005-2006 წლებში იგი გაიზარდა თითქმის 10-ჯერ, ხოლო 2007 წელს იგი დაეცა 2005 წლის დონემდე, ხოლო 2007-2008 წლებში იგი გაიზარდა დაახლოებით 40-ჯერ და 2009 წელს იგი 2005 წლის დონემდე დაეცა. 2009-2010 წლებში იგი კვლავ გაიზარდა დაახლოებით 15-ჯერ (დანართი 9).

საქართველოში გლობალიზაციის ხარისხი შეიძლება გაიზომოს იმავე ინდიკატორებით, რომლებიც გამოვიყენეთ OECD-ის ქვეყნებში გლობალიზაციის ტენდენციების შესაფასებლად.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2000-2010 წლებში ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფინანსური ნაკადების პროცენტული მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებით საქართველოში მერყეობს. აღნიშნული მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, 2010 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფინანსური ნაკადების პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში (4,72%) უფრო მაღალია, ვიდრე მსოფლიოში (3,85%), დიდ რვიანში (1,28%), ევროკავშირსა (1,87%) და აშშ-ში (1,57%).

რაც შეეხება ქვეყნიდან გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფინანსურ ნაკადების პროცენტულ მაჩვენებელს მშპ-სთან მიმართებით, ამავე პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში შემცირდა (დაახლოებით, 2-ჯერ), მაშინ როცა მსოფლიოში გაიზარდა (დაახლოებით, 8%-ით), ხოლო ევროკავშირსა და დიდ რვიანში – აგრეთვე შემცირდა (შესაბამისად, დაახლოებით, 4-ჯერ და 36%-ით).

ამრიგად, 2000-2010 წლებში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შეფარდებითი მნიშვნელოვნება საქართველოში გაიზარდა, მაშინ როცა მთელ მსოფლიოში – შემცირდა, ხოლო გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შეფარდებითი მნიშვნელობა შემცირდა, მაშინ როცა მსოფლიოში (ერთობლივად) – გაიზარდა (დანართი 10, დიაგრამები 1 და 2).

2000-2010 წლებში გრძელვადიანი უცხოური საკუთრების მასშტაბი საქართველოში გაიზარდა (2,6-ჯერ), რაც ნიშნავს დანარჩენ მსოფლიოზე საქართველოს დამოკიდებულების ზრდას.

ამავე პერიოდში გრძელვადიანი საგარეო საკუთრების მასშტაბი საქართველოში შემცირდა (დაახლოებით, 56%-ით). ამასთან 2000 წელს საქართველოს ახასიათებდა აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელოვნად უფრო დაბალი დონე (დაახლოებით, 3%), ვიდრე ევროკავშირს (დაახლოებით, 41%), მსოფლიოს (დაახლოებით, 24%), აშშ-სა და დიდ რვიანს. 2010 წელს აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოსთვის იყო ასევე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი (დაახლოებით, 1%), ვიდრე მსოფლიოსთვის (დაახლოებით, 63%), ევროკავშირისთვის (დაახლოებით, 55%), აშშ-სა და დიდი რვიანისთვის (დანართი 9, დიაგრამები 3 და 4).

საანგარიშო პერიოდში საგარეო ვაჭრობის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებით საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში გაიზარდა (დანართი 9, დიაგრამები 5 და 6).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ 2000-2010 წლებში საქართველოში გლობალიზაციის ხარისხი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როცა მთელ მსოფლიოში იგი, უმთავრესად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

2.2 ტექნოლოგიების გლობალიზაცია

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი გლობალიზაციის პროცესის აჩქარებაში, ტექნოლოგიების გლობალურ დონეზე გავრცელებას არ ქონია ისეთი წარმატება როგორც საერთაშორისო ვაჭრობასა ან პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებს.

გლობალური ფირმები თავიანთი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებისთვის ცოდნას იღებენ სხვადასხვა საინფორმაციო ცენტრებიდან, რომლებიც მდებარეობენ სხვადასხვა ქვეყნებში. ესაა ბიზნესის განვითარების ფაზა, რომელშიც დომინირებს საკვლევ-ინოვაციური ლაბორატორიების დაფუძნება ან უკვე არსებულის შექმნა წარმოშობის ქვეყნის გარეთ. რაც უფრო დიდია ამგვარი ლაბორატორიების როლი ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში მით უფრო წინ მიიწევს მოცემული ფირმისა და დარგის გლობალიზაციის დონე.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაციამ შეიძლება მიიღოს ძალზე ბევრი ფორმა: სამრეწველო კვლევებისა და განვითარების ინტერნაციონალიზაცია; ტექნოლოგიური შემოსავლების ინტერნაციონალიზაცია; მაღალტექნოლოგიური პროდუქტებით ვაჭრობა; სამთავრობო კვლევები და განვითარება; პატენტებზე საერთაშორისო განაცხადები; სტრატეგიული ტექნოლოგიური ალენსები; სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის შეთანხმებები, აგრეთვე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიგრაცია.

კვლევები და განვითარება გულისხმობს სისტემატური ხასიათის კრეატიულ მუშაობას ცოდნის მარაგის გაზრდის მიზნით და ამ ცოდნის მარაგის გამოყენებას ახალი დანიშნულებით. ტერმინი „კვლევები და განვითარება“ მოიცავს 3 სახის საქმიანობას: საბაზისო კვლევები; გამოყენებითი კვლევები და ექსპერიმენტული განვითარება. კვლევებსა და განვითარებას არ მიეკუთვნება მეცნიერულ-ტექნოლოგიური საფუძვლების მქონე მთელი რიგი საქმიანობები: განათლება და ტრენინგები; ისეთი სპეციალიზირებული საქმიანობები, როგორცაა შეგროვება, კოდირება, ჩაწერა, კლასიფიცირება, თარგმნა, ანალიზი, შეფასება და გავრცელება; სხვა სამრეწველო საქმიანობა, მათ შორის ყველა მეცნიერული, ტექნიკური,

კომერციული და ფინანსური ეტაპები, რაც აუცილებელია ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტების ან მომსახურების იმპლემენტაციისთვის და ახალი ან გაუმჯობესებული მეთოდების კომერციული გამოყენებისთვის; და ადმინისტრაციული და სხვა სახის ხელშემწყობი საქმიანობა⁶⁹.

სამრეწველო კვლევები და განვითარება არის მთავარი საწყისი ტექნოლოგიებისა, რაც შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივად ფირმის ან მშობელი კომპანიის მიერ, ან ამ უკანასკნელის კონტროლის ქვეშ – სხვა ქვეყანაში ფილიალებისა და კვლევებისა და განვითარების ცენტრების ქსელის მეშვეობით. არამატერიალური ტექნოლოგიებით ვაჭრობა, პატენტების, ლიცენზიების, „ნოუ-ჰაუს“ და სხვაგვარ ფორმაში, როგორც წესი, წარმოადგენს ამგვარი კვლევების შედეგს. ასე რომ, ტექნოლოგიები, რომელიც გამოიყენება მრავალეროვნული ფირმების საზღვარგარეთული ფილიალების მიერ შესაძლოა წარმოდგებოდეს ამ ფილიალების მიერ ადგილობრივად განხორციელებული კვლევებიდან ან მშობელი კომპანიის ტექნოლოგიური ტრანსფერიდან, რომელიც ამ უკანასკნელმა განხორციელა ან შეიძინა სხვა ფირმისაგან. მშობელი კომპანია არჩევს ქონდეს ტექნოლოგიები, რომელიც წარმოებულია ადგილობრივად მისი საზღვარგარეთული ფილიალების მიერ (კვლევებისა და განვითარების ლაბორატორიებში) თუ მოახდინოს მისი ტრანსფერი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე.

იმისათვის რომ შევაფასოთ ტექნოლოგიური გლობალიზაციის ხარისხი, პირველ რიგში, საჭიროა გავანალიზოთ ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც უკავშირდება დახარჯებს კვლევებსა და განვითარებაზე.

დანახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე მოიცავს ყველა დანახარჯს იმ საქმიანობისთვის, რომელიც ხორციელდება ახალი პროდუქტების (საქონლისა და მომსახურების) შექმნისა და განვითარების მიზნით, მათ შორის უკვე არსებული პროდუქტების გაუმჯობესების ან კიდევ ახალი ან უფრო ეფექტიანი წარმოების პროცესების აღმოჩენისა ან განვითარების მიზნით.

კვლევებსა და განვითარებაზე დანახარჯები მოიცავს მიმდინარე და კაპიტალურ დანახარჯებს. მიმდინარე დანახარჯები შედგება შრომითი და სხვა მიმდინარე დანახარჯებისაგან. ეს უკანასკნელი შეადგენს მასალებისა და მოწყობილობების

⁶⁹ OECD, Frascati Manual, 2002, paragraphs 63, 64, 65, 66, 70, 79.

არაკაპიტალურ შენაძენებს, რაც ხელს უწყობს კვლევებისა და განვითარების საქმიანობის განხორციელებას მოცემულ წელს. კაპიტალური დანახარჯებია წლიური მთლიანი დანახარჯები ფიქსირებულ აქტივებზე, რაც გამოიყენება კვლევებისა და განვითარების პროგრამებში. ესენია: მიწა, შენობა-ნაგებობები; მანქანა-დანადგარები და კომპიუტერული ტექნიკა⁷⁰.

2010 წელს ბიზნეს სექტორის დანახარჯებმა კვლევებსა და განვითარებაზე 100 მლრდ. დოლარს გადააჭარბა იაპონიასა და ჩინეთში, ხოლო აშშ-ში მან თითქმის 300 მლრდ. დოლარს მიაღწია. თუმცა კვლევებსა და განვითარებაზე ბიზნეს სექტორის დანახარჯები აბსოლუტურ მაჩვენებლებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეული ქვეყნების მიხედვით. ისლანდიაში, ესტონეთში, სლოვაკეთში, ლუქსემბურგსა და ჩილეში იგი ერთ მლრდ. დოლარსაც ვერ აღწევს, მაშინ როცა აღნიშნული მაჩვენებელი 20 მლრდ. დოლარს აღემატება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და კორეაში, ხოლო გერმანიაში – თითქმის 60 მლრდ. დოლარს აღწევს. მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში, იტალიაში, კანადაში, ესპანეთში, თურქეთში, სინგაპურში, ჩეხეთში, პოლონეთში, აღნიშნული მაჩვენებელი 1-დან 20 მლრდ. დოლარამდე მერყეობს (დანართი 11).

ლანდშაფტი ტექნოლოგიისა და ცოდნისათვის თანდათან უფრო გლობალური ხდება. მაშინ როცა ინვესტიციები კვლევებსა და განვითარებაში (R&D) ჯერ კიდევ ძლიერ კონცენტრირდება OECD-ის წევრ ქვეყნებში, OECD-ის არაწევრი ქვეყნების წვლილი მსოფლიო კვლევებსა და განვითარებაში თანდათან იზრდება. 2007 წელს OECD-ის არაწევრი ქვეყნების ხვედრითმა წონამ კვლევებსა და განვითარებაზე OECD-ის წევრი და არაწევრი ქვეყნების ბიზნესსექტორის საერთო დანახარჯებში შეადგინა 15%, 2008 წელს – 16%, 2009 წელს – 19%, ხოლო 2010 წელს – 33% (დანართი 12).

კვლევებსა და განვითარებაზე OECD-ის არაწევრი ქვეყნების ბიზნეს სექტორის ერთობლივ დანახარჯებში უმსხვილესი წილი ეკუთვნის ჩინეთს (76%, 2010 წელს), მის შემდეგ მოდის რუსეთი (16%), რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩინეთს⁷¹.


კვლევებსა და განვითარებაზე ქვეყნის მთლიანი დანახარჯების (GERD) მიხედვით ჩინეთი იკავებს მსოფლიოში მესამე ადგილს, აშშ-ის და ევროკავშირის შემდეგ

⁷⁰ OECD, Frascati Manual, 2002, paragraphs 360, 364, 374.

⁷¹ OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.

(დიაგრამა 11). ამასთან, იგი უსწრებს ევროკავშირის ინდივიდუალურ წევრ ქვეყნებს. შემდეგ მოდის იაპონია, რომელსაც ახასიათებს მსოფლიოში ყველაზე მაღალი კვლევებისა და განვითარების ინტენსივობა ბიზნესექტორში. იგი სამოქალაქო ინდუსტრიაში კვლევებსა და განვითარებაზე ხარჯავს მშპ-ის 3%-ზე მეტს.

დიაგრამა 11. ქვეყნის მთლიანი დანახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე OECD-ის წევრ და არაწევრ ქვეყნებში, 2010



წყარო: OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.

შენიშვნა: როლის ზომა წარმოადგენს R&D-ზე დანახარჯებს მილიონებში, მიმდინარე აშშ დოლარში, PPP-ის მის; აშშ-თვის არის 2009 წლის მონაცემები; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისთვის არის 2008 წლის მონაცემები; მკვლევარების რიცხვი ყოველ 1000 დასახლებულზე; აშშ-თვის არის 2007 წლის მონაცემები; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისთვის არის 2008 წლის მონაცემები;

GERD - მთლიანი დანახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე, როგორც მშპ-ის %, მილიონებში, მიმდინარე ფასებში, აშშ დოლარის PPP-ის მიხედვით.

2000-2010 წლებში, OECD-ის უმეტეს არაწევრ ქვეყანაში კვლევებსა და განვითარებაზე საწარმოების დანახარჯების ზრდის განაკვეთი აღემატებოდა OECD-ის საშუალო მაჩვენებელს. კვლევებსა და განვითარებაზე დანახარჯები შთამბეჭდავად გაიზარდა ჩინეთში, წელიწადში საშუალოდ 22%-ით (დიაგრამა 12).


ტექნოლოგიების გლობალიზაციის ხარისხი აგრეთვე შეიძლება შეფასდეს OECD-ის ინდიკატორებით, რომლებიც პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რა წილი უჭირავს კვლევებსა და განვითარებაზე ქვეყნის სამრეწველო სექტორის მთლიან დანახარჯებსა და მკვლევართა საერთო რიცხვში უცხოურ ფილიალებს?
- სამრეწველო კვლევებისა და განვითარების დაფინანსების რა ნაწილს შეადგენს უცხოური წყაროები?
- ქვეყნის მთლიანი ბრუნვის დამატებული ღირებულების და დასაქმების რა ნაწილი მოდის უცხოურ ფილიალებზე?
- რა წილი უჭირავს მშობელ კომპანიებს კვლევებსა და განვითარებაზე ქვეყნის მთლიან დანახარჯებში?
- რა წილი უჭირავს მნკ-ებს (მშობელ კომპანიებს და უცხოურ ფილიალებს) კვლევებსა და განვითარებაზე ქვეყნის მთლიან დანახარჯებსა და მკვლევართა საერთო რაოდენობაში?
- მშპ-ის რა ნაწილს შეადგენს მთლიანი მიღებული და გაცემული ტექნოლოგიური შემოსავლები?
- კვლევებსა და განვითარებაზე მთლიანი დანახარჯების რა ნაწილს შეადგენს მიღებული და გაცემული ტექნოლოგიური შემოსავლები?
- რა წილი უჭირავს სამრეწველო პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტში მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას?
- ქვეყნის მთლიანი მაღალტექნოლოგიური სამრეწველო პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტის რა ნაწილი მოდის უცხოურ ფილიალებსა და მშობელ კომპანიებზე?

ბიზნესის სექტორში მიმდინარე კვლევები და განვითარება შეიძლება დაფინანსდეს ფონდებით, რომლებიც ყალიბდება ქვეყნის შიგნით ან უცხოური წყაროებით, რომლებშიც შედის სხვა საწარმოები, საჯარო ინსტიტუტები (სამთავრობო სააგენტოები ან უნივერსიტეტები) ან საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგალითად, როცა უცხოური ფილიალების მიერ შესრულებული კვლევები და

განვითარება ფინანსდება მშობელი კომპანიის მიერ, რომელიც მდებარეობს საზღვარგარეთ. მაგრამ აღნიშნულ კატეგორიას არ მიეკუთვნება კვლევები, რომლებიც ფინანსდება ადგილობრივად.

დიაგრამა 12. ბიზნეს სექტორის დანახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე, OECD-ის წევრი და არაწევრი ქვეყნები: საშუალო ზრდის განაკვეთი, 2000-2010 წ.წ.




წყარო: OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.

ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს სამრეწველო კვლევებისა და განვითარების დაფინანსებაში უცხოური წყაროების ხვედრით წონას, მიზნად ისახავს განსაზღვროს ქვეყანა თვითონ აფინანსებს ინვესტიციებს კვლევებსა და განვითარებაში თუ იგი ფინანსდება საზღვარგარეთიდან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აქ

საზღვარგარეთული წყაროებში იგულისხმება ფონდები, რომლებიც კვეთენ ქვეყნის საზღვრებს და იგი არ მოიცავს ქვეყნის შიგნით უცხოური ფილიალებიდან მიღებულ დაფინანსებას.

დიაგრამა 13. კვლევებისა და განვითარების უცხოური დაფინანსება⁷²
მრეწველობა, 2000 და 2010 წ.



წყარო: OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.


უკანასკნელ პერიოდში ბიზნეს სექტორის კვლევებისა და განვითარების დაფინანსებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზღვარგარეთული წყაროები. 2010 წელს საზღვარგარეთულმა კაპიტალმა შეადგინა ბიზნესსექტორის კვლევებისა და განვითარების მთლიანი დაფინანსების სულ მცირე 15% – საბერძნეთში, ისრაელში, ავსტრიაში, გაერთიანებულ სამეფოში, ისლანდიაში, სლოვაკეთში, ნიდერლანდებსა და უნგრეთში. საბერძნეთსა და ისრაელში მან 34 და 33%-ს, შესაბამისად, მიაღწია. ამასთან, 2010 წელს 2000 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა OECD-ის 20 ქვეყანაში, მათ შორის, ყველაზე მეტი ზრდა აჩვენა სლოვაკეთმა (15), საბერძნეთმა (13) და ირლანდიამ (13 პროცენტული პუნქტით), თუმცა, აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა კანადაში (14), ესტონეთში (9), ისლანდიაში

⁷² კვლევებისა და განვითარებაზე ბიზნესსაწარმოების ერთობლივ დანახარჯებში უცხოური წყაროების ხვედრითი წონა.

(9), ავსტრიასა (8) და ჩილეში (5 პროცენტული პუნქტით), ხოლო დანარჩენ ქვეყნებში აღინიშნა უმნიშვნელო შემცირება (დიაგრამა 13).

ტექნოლოგიური ინტერნაციონალიზაცია ასახავს პოულობს აგრეთვე ტექნოლოგიურ შემოსავლებსა და გადასახდელებში, რამდენადაც ამ შემთხვევაში გადასახდელები და შემოსავლები ასახავს კვლევებისა და განვითარების შედეგებით – პატენტებით, ლიცენზიებით, „ნოუ-ჰაუთი“, ტექნიკური დახმარებებით და ა. შ., საერთაშორისო ვაჭრობას. განსხვავებით კვლევებსა და განვითარებაზე დანახარჯებისაგან, ესაა დანახარჯები მზა საწარმოო ტექნოლოგიებზე (კვლევებისა და განვითარების შედეგებზე).

დიაგრამა 14. ტექნოლოგიური შემოსავლები
(მშპ-ის %)



წყარო: OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.


ტექნოლოგიური გადასახდელებისა და შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლი მშპ-სთან მიმართებით უფრო რეალურ წარმოდგენას გვიქმნის კვლევის შედეგებით ქვეყნის ვაჭრობის სიდიდეზე. იგი ქვეყნის ტექნოლოგიურ სიძლიერესთან ერთად ითვალისწინებს ქვეყნის ზომასაც, რაც ამგვარი ვაჭრობის სიდიდეს უფრო შესაძარს ხდის ქვეყნებს შორის. თუმცა ამ ინდიკატორის ინტერპრეტაცია ქმნის გარკვეულ პრობლემებს: როცა ტექნოლოგიური გადასახდელები ძალზე მნიშვნელოვნად უსწრებს შემოსავლებს, ეს არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ ქვეყნის

ტექნოლოგიური პოზიცია გაუარესდა, რადგან უნდა გავითვალისწინოთ, რომ უცხოური ტექნოლოგიების შექმნას შეუძლია დიდად დაეხმაროს ინოვაციებს.

2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, OECD-ის უმეტეს ქვეყანაში ტექნოლოგიური შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა (მშპ-ის 0,5-დან 0,9%-მდე), აღნიშნული მაჩვენებელი აგრეთვე გაიზარდა ევროკავშირში (0,8-დან 15%-მდე), იაპონიასა (0,2-დან 0,5%-მდე) და აშშ-ში (0,4-დან 0,7%-მდე). აღნიშნულ ქვეყნებში 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, აგრეთვე გაიზარდა ტექნოლოგიური გადასახდელები (დიაგრამა 14).

OECD დღემდე ინარჩუნებს წმინდა ექსპორტიორის პოზიციას. ევროკავშირი, რომელსაც 2001 წლამდე ახასიათებდა ტექნოლოგიური გადასახდელების ბალანსის დეფიციტი, 2008 წელს გახდა ტექნოლოგიების წმინდა ექსპორტიორი. 2010 წლის მდგომარეობით, იგი ინარჩუნებს წმინდა ექსპორტიორის პოზიციას (დიაგრამები 14 და 15).

დიაგრამა 15. ტექნოლოგიური გადასახდელები
(მშპ-ის %)




წყარო: OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.

2010 წელს, OECD-ის ქვეყნებს შორის, ირლანდიამ აჩვენა როგორც ტექნოლოგიური შემოსავლების ისე გადასახდელების ყველაზე მაღალი დონე (მშპ-ის 19,7% და 21,5%, შესაბამისად), რაც რამდენჯერმე აღემატება OECD-ის დანარჩენი

ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ტექნოლოგიური შემოსავლების მიხედვით მის შემდეგაა ისრაელი, რომელიც 4,5 ჯერ ჩამორჩება მას, ხოლო გადასახდელების მიხედვით, მის შემდეგ მოდის შვეიცარია, რომელიც მას 5-ჯერ ჩამორჩება. ირლანდიის ტექნიკური ნაკადების ამგვარი მასშტაბების უმთავრესად განპირობებულია ძლიერი საზღვარგარეთული ფილიალების არსებობით (დიაგრამა 16).

დიაგრამა 16. ტექნოლოგიური ნაკადები, OECD-ის ქვეყნები, 2010 წ. (მშპ %)




წყარო: OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.

OECD-ის ქვეყნები, რომლებმაც 2010 წელს აჩვენეს ტექნოლოგიური გადასახდელების ბალანსის მნიშვნელოვანი დადებითი საღდო, არიან ისრაელი, შვედეთი, ესტონეთი, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, ისლანდია, ავსტრია, ფინეთი, იაპონია, ბელგია, დანია, გერმანია, აშშ და კანადა, ხოლო ირლანდია, შვეიცარია, სლოვენია და ლუქსემბურგი არიან ტექნოლოგიის ყველაზე მსხვილი იმპორტიორები (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17. ტექნოლოგიური გადასახდელების ბალანსი 2010

(შემოსავლებს მინუს გადასახდელები, როგორც მშპ-ის %)



წყარო: OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.

ტექნოლოგიური საქმიანობა თანდათან უფრო ინტერნაციონალიზირებული ხდება ახალი ტექნოლოგიური კომპეტენციების, ბაზრებთან უკეთესი ადაპტირებისა და

კვლევებსა და განვითარებაზე უფრო დაბალი დანახარჯების ძიებაში. კომპანიებს თავიანთი კვლევითი საქმიანობა გადააქვთ საზღვარგარეთ თანდათან უფრო ინტენსიურად. ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს პატენტები შესაძლებელს ხდის ქვეყნებს შორის ცოდნის ცირკულაციის. ამასთან უცხოურ პარტნიორებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რამდენადაც ფირმებისათვის ხელმისაწვდომი ხდება რესურსებისა და ცოდნის უფრო ფართო არეალი უფრო მცირე დანახარჯებით და მათ შეუძლიათ რისკის განაწილება პარტნიორებზე.

ტექნოლოგიური საქმიანობის გლობალიზაცია შეიძლება გაიზომოს პატენტების შესახებ არსებული მონაცემების გამოყენებით.


გამოგონებების (პატენტების) საერთაშორისო ფლობა ცხადყოფს მეცნიერული და ტექნოლოგიური საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას. საშუალოდ 2005-2010 წლებში მთელი გამოგონებების 15% უცხოელი რეზიდენტების ფლობელობაში ან თანამფლობელობაში იყო. მაგრამ განსხვავებები მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის. არგენტინაში დაახლოებით 89% ადგილობრივი გამოგონებების ეკუთვნის უცხოელ რეზიდენტებს, მაშინ როცა იაპონიამ და კორეამ აჩვენეს უცხოური საკუთრების დაბალი ხვედრითი წონა ამავე პერიოდში (3.9 და 4%, შესაბამისად). დიდი ბრიტანეთი იყო გამონაკლისი დიდ ქვეყნებს შორის უცხოური რეზიდენტების მიერ ადგილობრივი გამოგონებების 37%-ის ფლობით (დიაგრამა 18).

ცალკეულ ქვეყნებში პატენტების რაოდენობა, რომლებიც მიეკუთვნება საპატენტო თანამშრომლობის ხელშეკრულებებს, გვიჩვენებს, რომ იმ გამოგონებების ადგილობრივი მფლობელობა, რაც ხორციელდება საზღვარგარეთ, განსაკუთრებით მაღალია მცირე ზომის გახსნილ ქვეყნებში. ლუქსემბურგში იმ გამოგონებების 80%-ზე მეტი, რაც ადგილობრივ მფლობელობაში იყო, ხორციელდებოდა საზღვარგარეთელი გამომგონებლების მიერ და 30%-ზე მეტი – შვეიცარიაში, ჩინეთის ტაიბეიში, ირლანდიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვედეთსა და ფინეთში. თურქეთმა, იაპონიამ, კორეამ, ინდოეთმა, ბრაზილიამ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ აჩვენეს გამოგონებების ყველაზე დაბალი ხვედრითი წონა, რომელიც განხორციელდა საზღვარგარეთ (6%-ზე ნაკლები) (დიაგრამა 19).

უცხოელ პარტნიორებთან ინოვაციებში თანამშრომლობა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო ცოდნის ნაკადებისა და მას შეუძლია მიიღოს სხვადასხვა


ფორმა ურთიერთობების განსხვავებულ დონეზე. დაწყებული მარტივი, ცალმხრივი საინფორმაციო ნაკადებიდან დამთავრებული მაღალ დონეზე ინტერაქტიური, ფორმალური კონტრაქტებით. უცხოელ კლიენტებთან და მომწოდებლებთან თანამშრომლობა ფირმებს ეხმარებათ ახალი პროდუქტების, წარმოების პროცესებისა თუ სხვა ინოვაციების შექმნაში.

დიაგრამა 18. ადგილობრივი გამოგონების უცხოური მფლობელობა, OECD-ის ქვეყნები, 2010 წ.



წყარო: OECD Dataset: International co-operation in patents, 2013.

დიაგრამა 19. საზღვარგარეთული გამოგონებების ადგილობრივი მფლობელობა, OECD-ის ქვეყნები, 2010 წ.



წყარო: OECD Dataset: International co-operation in patents, 2013.

ტექნოლოგიების გლობალიზაციის ინდიკატორებს, რომლებიც ეხება ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკურ საქმიანობას განვიხილავთ შემდგომ თავში (იხ. 3.1).

ამრიგად, მთელ მსოფლიოში იზრდება როგორც ვაჭრობის, ისე ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციის ინტენსივობა. ამასთან, ვაჭრობის გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდა ჩამორჩება ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციას. 2000-2010 წლებში OECD-ის ქვეყნებში გლობალიზაციის ინტენსივობის მაჩვენებლის ზრდამ საშუალოდ გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის მიხედვით – 227, შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის მიხედვით კი – 123% შეადგინა, ხოლო ტექნოლოგიების სფეროში, 2007-2010 წლებში – 100%, მაშინ, როცა იმავე წლებში ანალოგიურმა მაჩვენებელმა საერთაშორისო ვაჭრობის მიხედვით, მხოლოდ 8% შეადგინა (დანართი 13).

2.3 გლობალური ღირებულებათა ჯაჭვი, როგორც ეკონომიკური გლობალიზაციის ახალი ფორმა

ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი აღწერს ორგანიზაციის ყველა შიდა და გარე საქმიანობას და აკავშირებს მათ მის კონკურენციულ უპირატესობასთან. ეს იდეა ეფუძნება ვარაუდს, რომ ორგანიზაცია უფრო მეტია ვიდრე მანქანა-დანადგარების, ადამიანებისა და ფულადი საშუალებების უბრალო ნაკრები და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს იგი აწარმოოს პროდუქტი, რაშიც კლიენტები ისურვენ ფასის გადახდას, თუ ეს ყველაფერი სისტემაშია მოყვანილი და სისტემატურ მოქმედებაშია. ღირებულებათა ჯაჭვის კონცეფცია პირველად აღწერა და მისი პოპულარიზება მოახდინა მიშელ პორტერმა 1985 წელს თავის „ბესტ-სელერში“ „კონკურენტული უპირატესობა: საუკეთესო მდგომარეობის შექმნა და შენარჩუნება“.

„ყოველი ფირმა წარმოადგენს მოქმედებების ერთობლიობას, რასაც ახორციელებს თავისი პროდუქტის დაგეგმვის, წარმოების, ბაზარზე გატანისა და

ხელშეწყობის მიზნით. ყველა ეს საქმიანობა შეიძლება წარმოვადგინოთ ღირებულებათა ჯაჭვის სახით. ფირმის ღირებულებათა ჯაჭვი და მისი ინდივიდუალური მოქმედებების განხორციელების გზა ასახავს მის ისტორიას, სტრატეგიასა და სტრატეგიის დანერგვისადმი მის მიდგომას... ფირმებს, რომლებიც საქმიანობენ ერთიდაიგივე დარგში შეიძლება ჰქონდეთ მსგავსი ჯაჭვი. ხშირად კონკურენტების ღირებულებათა ჯაჭვები განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავებები კონკურენტების ღირებულებათა ჯაჭვებს შორის არის კონკურენტული უპირატესობის ძირითადი წყარო⁷³. პორტერი ამტკიცებს, რომ ორგანიზაციის უნარი განახორციელოს ღირებულებათა ჯაჭვში შემაჯავლი თითოეული საქმიანობა და მართოს კავშირები მათ შორის არის კონკურენტული უპირატესობის წყარო. იგი განასხვავებს ორგანიზაციის ძირითად და დამხმარე საქმიანობას. ძირითადი საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება პროდუქციისა და მომსახურების შექმნასა და მიწოდებას. ისინი შეიძლება დაჯგუფდეს 5 მთავრ კატეგორიაში: შიდა ლოგისტიკა, ოპერაციები, გარე ლოგისტიკა, მარკეტინგი და გაყიდვები და მომსახურება. თითოეული ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია დამხმარე საქმიანობასთან, რომელიც ხელს უწყობს მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის ამაღლებას. დამხმარე საქმიანობა იყოფა შემდეგ ჯგუფებად: შესყიდვები, ტექნოლოგიური განვითარება (მათ შორის კვლევები და განვითარება), ადამიანური რესურსების მართვა და ინფრასტრუქტურა (დაავადების სისტემა, ფინანსები, ხარისხისა და ინფორმაციის მართვა და ა. შ.). ორგანიზაციას უნდა შეეძლოს მიაწოდოს საქონელი ან მომსახურება, რომელშიც კლიენტი თანახმაა გადაიხადოს თანხა, რომელიც აღემატება ღირებულებათა ჯაჭვში შემაჯავალ ყველა საქმიანობაზე გაწეულ დანახარჯების ჯამს და ეს მარჯა აგრეთვე წარმოადგენს ღირებულებათა ჯაჭვის ელემენტს. ნებისმიერ დარგში შეუძლებელია ერთმა ორგანიზაციამ თვითონ განახორციელოს ყველა საქმიანობა დაწყებული პროდუქტის დიზაინიდან, კომპონენტების წარმოებიდან და აწყობიდან საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებით დამთავრებული. ამიტომ ორგანიზაციები წარმოადგენენ ღირებულებათა სისტემის ან მიწოდების ჯაჭვის ელემენტებს⁷⁴.

⁷³ M. E. Porter, *Competitive Advantage: Creating and Sustaining Superior Performance*, 1998, p. 36.

⁷⁴ M. E. Porter, *Competitive Advantage: Creating and Sustaining Superior Performance*, 1998.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს წარმოების პროცესის გეოგრაფიული ფრაგმენტაცია, რის შედეგადაც ყალიბდება გლობალური ღირებულებათა ჯაჭვი. ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციას ცენტრალური ადგილი უკავია დღევანდელ გლობალიზაციის პროცესში. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა შეცვლილიყო ღირებულებათა ჯაჭვის ტრადიციული გაგება. შეიცვალა შეხედულებები იმ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებიც წინათ დანახარჯების შემცირების მიზნით ერთიდაიმავე ადგილზე ხორციელდებოდა. დღეს მთლიანი დარგებისა და მათი სრული ღირებულებათა ჯაჭვების ნაცვლად, ხდება წარმოების კონკრეტული ფრაგმენტების ლოკალური კლასტერიზაცია. კომპანიებსა და დარგებში ხორციელდება მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაცია, რაც ასახავს პოულობს აუტსორსინგში, ოფშორინგს⁷⁵ და რელოკაციაში. გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის ფარგლებში ხდება საბოლოო და, აგრეთვე, შუალედური პროდუქტების ოფშორინგი. ტრანსნაციონალური კორპორაციები წამყვან როლს ასრულებენ გლობალურ ღირებულებათა და მიწოდების ჯაჭვებში, რამდენადაც მათ აქვთ მსოფლიო მასშტაბის საქმიანობის არეალი, რაც მათ საშუალებას აძლევს მოახდინონ წარმოებისა და დისტრიბუციის კოორდინირება მრავალი ქვეყნის მასშტაბით და საქმიანობა გადაიტანონ მოთხოვნისა და დანახარჯების ცვალებადი პირობების შესაბამისად.

გლობალური ღირებულებათა ჯაჭვისა და საერთაშორისო წარმოების ქსელის ფარგლებში საერთაშორისო ვაჭრობა ხორციელდება არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტებით, არამედ შუალედური საქონლითაც (პირველადი საქონელით, ნაწილებით, კომპონენტებით და ნახევრად მზა საქონლით) და, უკანასკნელ პერიოდში, მომსახურებითაც, შედეგად იზრდება არა მხოლოდ საბოლოო საქონლითა და მომსახურებით, არამედ აგრეთვე და, განსაკუთრებით, შუალედური საქონლით ვაჭრობა. ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ

⁷⁵ ოფშორინგი (Offshoring) – კომპანიის მიერ საზღვარგარეთელი პროვაიდერისაგან შუალედური საქონლის ან მომსახურების შექმნა ან კონკრეტული ოპერაციის გადატანა საზღვარგარეთ, ფირმის ფარგლებში, ე. ი. საზღვარგარეთულ ფილიალებში. აუტსორსინგი (Outsourcing) – შუალედური საქონლისა და მომსახურების შექმნა უცხოელი პროვაიდერისაგან ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე. საზღვარგადასვლადი ასპექტი არის ოფშორინგის განმასხვავებელი თვისება.

ურთიერთობებს და საერთაშორისო ვაჭრობის მოდელს, რაც აისახება ფირმისშიდა და შიდადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე. საბოლოო საქონლის ექსპორტი აღარ არის ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სათანადო ინდიკატორი, რადგან გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის წამოქმნის შედეგად საბოლოო პროდუქტები მნიშვნელოვანწილად შეიცავს შუალედურ საქონლს, რაც იყო იმპორტირებული ქვეყანაში.


მომსახურების სფეროს მრავალი საქმიანობა თანდათან უფრო ინტერნაციონალიზებული ხდება. კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის მომსახურების გაწევას ნებისმიერი ადგილიდან. ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ, სტანდარტიზაციამ, ინფრასტრუქტურის განვითარებამ და მონაცემთა გადაცემის ხარჯების შემცირებამ გააიოლა მომსახურების სორსინგი საზღვარგარეთ. ამასთან, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში სწრაფმა პროგრესმა გაზარდა მომსახურების სექტორის მრავალი საქმიანობით ვაჭრობის შესაძლებლობა და წარმოშვა მომსახურების ახალი სახეობები. კერძოდ, „ცოდნის სამუშაოები“, როგორცაა მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციის დამუშავების მომსახურება და, აგრეთვე, კვლევითი და საკონსულტაციო მომსახურება ადვილად შეიძლება განხორციელდეს ინტერნეტისა და ტელე- და ვიდეო-კონფერენციების მეშვეობით. დღეს უკვე ხდება სატელეფონო მომსახურების ოფშორინგი.

ზოგიერთი აგრეგირებული მაჩვენებელი ცხადყოფს გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის მზარდ მნიშვნელობას. პირველი, OECD-ის უმეტეს ქვეყანაში არსებობს წარმოების სიღრმის შემცირების ზოგადი ტენდენცია. დამატებული ღირებულების კლებადი წილი ასახავს წარმოების პროცესში შუალედური პროდუქციის უფრო ფართო გამოყენებაზე, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია აუთსორსინგით (დიაგრამა 20).

მეორე, ინდივიდუალური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი თანდათან უფრო მეტად უხალოვდებიან ერთმანეთს და იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოება. ვერტიკალური ინტეგრაციისა და წარმოების საერთაშორისო დანაწილების ზრდის შედეგად, პროდუქტის ნაწილები

იწარმოება ერთ ქვეყანაში და შემდეგ ექსპორტირდება სხვა ქვეყნებში, როგორც ელემენტი წარმოების შემდგომ ეტაპზე (დიაგრამა 21).

დიაგრამა 20. ქვეყნის დამატებული ღირებულება (მთლიანი გამოშვების %),




წყარო: OECD, STAN database.

მესამე, სამრეწველო პროდუქციით ვაჭრობის დიდი ნაწილი ხორციელდება ერთიდაიგივე დარგის ან, უფრო მეტიც, ერთიდაიგივე ფირმის ფარგლებში, რომელთაც გააჩნიათ ღირებულებათა ჯაჭვით ინტეგრირებული სამრეწველო წარმოება. ერთიდაიგივე დარგში ამგვარ ექსპორტსა და იმპორტს, ერთდროულად, უწოდებენ შიდადარგობრივ ვაჭრობას.

⁷⁶ უნგრეთი – 1991 და 2009 წ.წ.; ჩეხეთი – 1993 და 2009 წ.წ.; სლოვაკეთი – 1993 და 2009 წ.წ.; პოლონეთი – 1994 და 2008 წ.წ.; ბელგია – 1995 და 2009 წ.წ.; საბერძნეთი – 1995 და 2009 წ.წ.; შვეიცარია – 1990 და 2008 წ.წ.; შვედეთი – 1990 და 2008 წ.წ.; ესპანეთი – 1990 და 2008 წ.წ.; ისლანდია – 1990 და 2008 წ.წ.; დიდი ბრიტანეთი – 1990 და 2007 წ.წ.; კანადა – 1990 და 2006 წ.წ.; ახალი ზელანდია – 1990 და 2006 წ.წ.; პორტუგალია – 1990 და 2006 წ.წ..

შიდადარგობრივი ვაჭრობა, როგორც წესი, ხორციელდება მდიდარ ქვეყნებს შორის, რომელთაც აქვთ მსგავსი ეკონომიკური სტრუქტურა და განვითარების დონე და გეოგრაფიულად არიან ერთმანეთთან ახლოს. შიდადარგობრივ ვაჭრობას ხშირად თან ახლავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რამდენადაც მრავალეროვნული კორპორაციების თავიანთ ფილიალებს განალაგებენ სხვადასხვა ქვეყნებში და ახორციელებენ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას ფილიალსა და მშობელ კომპანიას შორის.

დიაგრამა 21. ქვეყნის საქონლის ექსპორტი (სამრეწველო პროდუქციის %), 1990 და 2009 წ.წ.⁷⁷



წყარო: OECD, STAN database.

1997-2008 წლებში OECD-ის მრავალ ქვეყანაში შიდადარგობრივი ვაჭრობის საშუალო ინდექსი მრეწველობაში იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი (70%-ზე მეტი). 2001 წლიდან მრეწველობის დარგებში შიდადარგობრივი ვაჭრობა ძლიერ

⁷⁷ უნგრეთი – 1992 და 2007 წ.წ.; ჩეხეთი – 1993 და 2009 წ.წ.; კორეა – 1994 და 2009 წ.წ.; პოლონეთი – 1994 და 2008 წ.წ.; სლოვაკეთი – 1997 და 2008; ლუქსემბურგი – 1999 და 2007 წ.წ.; საფრანგეთი 1990 და 2008 წ.წ.; ისლანდია – 1990 და 2007 წ.წ.; ესპანეთი – 1990 და 2007 წ.წ.; შვეიცარია – 1990 და 2007 წ.წ.; იაპონია – 1990 და 2006 წ.წ.; შვედეთი – 1990 და 2006 წ.წ.; კანადა – 1990 და 2006 წ.წ..

გაიზარდა ისლანდიაში, თურქეთში, პოლონეთში, პორტუგალიაში, ფინეთსა და სლოვაკეთში. OECD-ის რამდენიმე ქვეყანაში შიდადარგობრივი ვაჭრობა მრეწველობის დარგებში საკმაოდ აქტიური იყო, თუმცა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ზრდის შედარებით მაღალი განაკვეთი ინდოეთსა და ინდონეზიაში (3,2 და 2,4%) აღასტურებს მათ მიერ შუალედური საქონლის მზარდ წარმოებასა და ვაჭრობას. ჩინეთის შიდადარგობრივი ვაჭრობა მრეწველობაში გაიზარდა საშუალოდ 0,4%-ით გასული 8 წლის განმავლობაში⁷⁸.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შიდადარგობრივი ვაჭრობის სწრაფი ზრდა და მაღალი დონე მრეწველობაში სავარაუდოდ, განპირობებულია პირდაპირი ინვესტიციების დიდი მოცულობით, განსაკუთრებით გერმანიაში.

წარმოების საერთაშორისო დანაწილებისა და გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის მზარდი მნიშვნელობის გამო, შუალედური საქონლით ვაჭრობა მკვეთრად გაიზარდა. ფირმისშიდა ვაჭრობა ფილიალებსა და მათ მშობელ კომპანიებს შორის ერთიდაიგივე მრავალეროვნულ ქსელში აისახა შუალედური საქონლის უფრო მაღალ სავაჭრო ნაკადებში და გამოყენებული უცხოური საქონლის ადგილობრივ საქონელთან შეფარდების უფრო მაღალ მაჩვენებელში.

1995-2009 წლებში შუალედური საქონლით ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა საშუალოდ წელიწადში 6,2%-ით საქონლისათვის და 7%-ით მომსახურებისთვის. 2006 წელს შუალედური საქონელი შეადგენდა საქონლით ვაჭრობის 56% და მომსახურებით ვაჭრობის 73%-ს, რაც მიგვანიშნებს იმას, რომ სავაჭრო ნაკადებში დომინირებს ის პროდუქტები, რაც არ მოიხმარება, არამედ გამოიყენება სხვა საქმისა და მომსახურების წარმოებაში. შუალედური საქონლის ეს წილი მთლიან ვაჭრობაში არ შეცვლილა, რადგან საბოლოო და კაპიტალური საქონლით ვაჭრობა გაიზარდა იმავე სიჩქარით⁷⁹.

იმპორტირებული შუალედური საქონლის შეფარდება ადგილობრივთან მნიშვნელოვნად გაიზარდა 1995-2005 წლებში უმეტეს ქვეყნებში, რომელთაც

⁷⁸ OECD, Globalization Indicators: Measuring Globalisation, 2010, page 211.

⁷⁹ იქვე.

ახასიათებთ შუალედური საქონლის საერთაშორისო სორსინგის (sourcing)⁸⁰ ფართო გამოყენება. მათი შეზღუდული ზომის გამო, მცირე ქვეყნები, როგორც წესი, არიან უფრო საერთაშორისო ორიენტაციის და მიდრეკილები არიან საზღვარგარეთიდან შუალედური საქონლის იმპორტისკენ. მაგალითად, ირლანდიაში ადგილობრივი და საერთაშორისო სორსინგი არის თანაბრად მნიშვნელოვანი. ე.ი. საერთაშორისო და ეროვნული დონეზე ხდება თანაბარი რაოდენობის შუალედური საქონლის სორსირება.

შუალედური საქონლისა და მომსახურების გეოგრაფიული განაწილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე მსხვილი ღირებულების ტრანსაქციები ხორციელდება შემდეგ რეგიონებს შორის და – ფარგლებში: ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და აზია. OECD-ის სივრცეში შუალედური საქონლის უმეტესი ნაწილის სორსირება ხდება OECD-ის სივრციდან.

რეგიონის შიდა იმპორტი, როგორც წესი, აღემატება რეგიონთაშორის იმპორტს. ევროპას აქვს რეგიონის შიდა ვაჭრობის ყველაზე მაღალი მოცულობა. მხედველობაში მიიღება ყველა სავაჭრო ნაკადი ევროკავშირის ქვეყნებს შორის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ევროპის შიდადარგობრივი ვაჭრობის მოცულობას. აზიას და ჩრდილოეთ ამერიკას აქვთ აგრეთვე დიდი მოცულობის რეგიონშიდა ვაჭრობა.

ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან აზიაში ექსპორტი წარმოადგენს შუალედური საქონლის ყველაზე მსხვილ რეგიონთაშორის ნაკადებს, რომელიც მოიცავს პირველად რესურსებს, როგორცაა ნავთობი და გაზი. მიუხედავად ამისა, შუალედური საქონლით ვაჭრობა უმეტესად ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებს შორის. ნაკადები გავითარებადი ქვეყნების რეგიონებში ძალიან მცირეა.

აზიის ქვეყნები უმეტესად ვაჭრობენ სამრეწველო შუალედური საქონლით. აზია არის შუალედური საქონლის წმინდა ექსპორტიორი ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა აზიასთან შედარებით უფრო მეტად ვაჭრობენ მომსახურების სფეროს შუალედური საქონლით და აგრეთვე არიან შუალედური საქონლის მნიშვნელოვანი ექსპორტიორები და იმპორტიორები. ევროპასა

⁸⁰სორსინგი (Sourcing) – შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობა, რაც მიზნად ისახავს საქონლისა და მომსახურების მოძიებასა და მოზიდვას.

და ჩრდილოეთ ამერიკას შორის, მოდელი საპირისპიროა საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებით. ევროპა ჩრდილოეთ ამერიკიდან ახდენს უფრო მეტად შუალედური მომსახურების იმპორტირებას, მაგრამ, ახდენს უფრო მეტად შუალედური საქონლის ექსპორტს⁸¹.

ადემატება თუ არა იმ დარგების რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ იმპორტირებულ შუალედურ საქონელს, იმ დარგებს, რომლებიც „ტრადიციულად“ აწარმოებენ „საშუალებებს“ სხვა ადგილობრივი დარგებისათვის: მოპოვებითი მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, სატრანსპორტო და სასაწყობო, საავტომობილო მრეწველობა. ზოგიერთი დარგი, რომელიც არის იმპორტირებული შუალედური საქონლის მსხვილი მწარმოებელი, არის აგრეთვე იმპორტირებული შუალედური საქონლის მსხვილი მომხმარებელი. ამის ნათელი მაგალითია საავტომობილო, ქიმიური მრეწველობა, სატრანსპორტო და სასაწყობო დარგები. აღნიშნული დარგები არამარტო არიან იმპორტირებული საქონლის მსხვილი მომხმარებელი, არამედ აგრეთვე – ადგილობრივი შუალედური საქონლისაც.

მომხმარებელი დარგები თავიანთი იმპორტირებული შუალედური საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილის სორსირებას ახდენენ იგივე დარგებიდან საზღვარგარეთ, თუმცა ქვეყნებს და დარგებს შორის არსებობს განსხვავებები. ადგილობრივი და საერთაშორისო შიდადარგობრივი სორსინგი თანდათან უფრო მეტად ხდება ალტერნატივა მართებულ ფასად სათანადო ხარისხის შუალედური საქონლის ძიებაში. ყოველივე გვიჩვენებს გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის მნიშვნელობას დღევანდელ გლობალური ეკონომიკაში. ამგვარ საერთაშორისო წარმოების ქსელებში, შუალედური საქონლის სორსირება ხდება საზღვარგარეთიდან პარტნიორული ურთიერთობების („arm’s length relationship) ან მრავალეროვნული კომპანიების ქსელის მეშვეობით.

იმპორტირებული შუალედური საქონლის მზარდი მნიშვნელობის კვლადაკვალ, თითქმის ყველა ქვეყანაში გაიზარდა ოფშორინგი და აუტსორსინგი 1995-2005 წლებში. ლუქსემბურგში, ირლანდიაში, უნგრეთში, სლოვაკეთსა და ესტონეთში, შუალედური საქონლის საზღვარგარეთ სორსინგი გაიზარდა მნიშვნელოვნად.

⁸¹OECD, Economic Globalisation Indicators, 2010, page 215.

მცირე ზომის ქვეყნებმა, განსაკუთრებით ლუქსემბურგმა, ირლანდიამ და უნგრეთმა, ტიპურად უჩვენა ოფშორინგის უფრო მაღალი ინდიკატორები. OECD-ის ორ დიდ ქვეყანას, იაპონიასა და აშშ-ს OECD-ის სხვა ქვეყნებთან შედარებით ახასიათებთ ოფშორინგის უფრო დაბალი დონე. თუმცა დიდი არაწევრი ქვეყნების, როგორცაა ბრაზილია, ინდოეთი, არგენტინა და ჩინეთი, დონე რჩება OECD-ის საშუალო მაჩვენებლის ქვემოთ, აღნიშნულ ქვეყნებში აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზარდა შუალედური საქონლის ოფშორინგი.

უკანასკნელ წლებში ბიზნეს საქმიანობის ოფშორინგმა მიიპყრო დიდი პოლიტიკური ყურადღება, ეროვნული დასაქმებაზე მოჩვენებითი უარყოფითი ეფექტების გამო. თუმცა, კავშირი ოფშორინგსა და დასაქმებას შორის კომპლექსურია და მრავალი ეფექტის გათვალისწინებაა საჭირო. ოფშორინგმა პირველ ფაზაში შეიძლება გამოიწვიოს დასაქმების მოკლევადიანი დანაკარგები, თუ ძირითადი საქმიანობა გადაადგილდება ან მნიშვნელოვნად მცირდება. თუმცა აქ შესაძლოა გაჩნდეს დადებითი ზემოქმედება პროდუქტიულობაზე, რისი მეშვეობითაც მცირდება დანახარჯები და ფასები, როგორც იმ საქმიანობაში, რომელზეც პირდაპირ ხდება ზეგავლენა, ისე სხვა საქმიანობაში, რომელიც მოიხმარს ამ საქმიანობიდან მიღებულ პროდუქციას.

ოფშორინგის ინდიკატორი, რომელიც გამოთვლილია მრეწველობის და მომსახურების სექტორებისათვის ცალ-ცალკე, გეჩვენებს, რომ, გარდა ლუქსემბურგისა და ირლანდიისა, შუალედური საქონლის საერთაშორისო სორსინგი საშუალოდ უფრო მნიშვნელოვანია მრეწველობის სფეროში. ლუქსემბურგისა და ირლანდიის განსაკუთრებული შემთხვევა გამომდინარეობს იქიდან, რომ ამ ქვეყნებში აქტიურად ხორციელდება ფინანსური და სატელეფონო ცენტრების საქმიანობა.

1995-2005 წლებში, ოფშორინგის საერთო დონე მრეწველობაში გაიზარდა შედარებით უმნიშვნელოდ, გარდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა, რომლებმაც მიიზიდეს (დასავლეთ ევროპიდან) მრავალეროვნული კომპანიების დიდი რაოდენობა. აღნიშნული კომპანიების საერთაშორისო სორსინგის სტრატეგიების შედეგად აღნიშნულ ქვეყნებში ოფშორინგი გაიზარდა.

ამის საპირისპიროდ, ოფშორინგის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა მომსახურების სექტორში. შუალედური საქონლის სორსინგი საზღვარგარეთ

გაიზარდა მარკეტების (სასურსათო მაღაზიების) მომსახურებაში თითქმის ყველა ქვეყანაში, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მაშინ როცა შუალედური საქონლის ოფშორინგი, საბოლოო პროდუქტებით ვაჭრობის მსგავსად, ტრადიციულად ხდება სამრეწველო სექტორში, გლობალური ღირებულებათა ჯაჭვი სწრაფად ვითარდება მომსახურების სექტორში. მიუხედავად ამისა, ოფშორინგის დონე მარკეტების მომსახურებაში ჯერ კიდევ გაცილებით მცირეა მთლიან სამრეწველო სექტორთან შედარებით. ოფშორინგის დონე განსაკუთრებით მაღალია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამრეწველო დარგებში, უფრო მაღალიც კი, ვიდრე მაღალტექნოლოგიური დარგების უფრო ფართო ჯგუფის ანალოგიური მაჩვენებელი. ამასთან, ოფშორინგის დონე გაიზარდა თითქმის ყველა ქვეყანაში 1995-2005 წლებში. OECD-ის საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 38 %-დან 1995 წელს 64%-მდე 2005 წელს⁸².

ამრიგად, OECD-ის ქვეყნებში უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც ვაჭრობის, ისე ინვესტიციების, ტექნოლოგიებისა და ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის ინტენსივობა, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის სხვადასხვა მიმართულებები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ხელს უწყობენ ერთმანეთის გადრმავებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გლობალიზაციის ტენდენციების შესწავლა მოხერხდა მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით, რადგან ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაციის, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის და ღირებულებათა ჯაჭვის გასაანალიზებლად არ არსებობს სათანადო სტატისტიკური მონაცემები. საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახური ვერ უზრუნველყოფს ყველა იმ მონაცემის შეგროვებას, რომლებიც საჭიროა ქვეყანაში ეკონომიკური გლობალიზაციის ხარისხისა და მასშტაბების სრული სურათის წარმოსადგენად, რაც დაბრკოლებას უქმნის როგორც სახელმწიფოს ისე ბიზნესსექტორს, გააცნობიერონ გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, რომლებიც დაეყრდნობა რეალურ ფაქტებსა და რიცხობრივ მონაცემებს და

⁸² OECD, Globalization Indicators: Measuring Globalisation, 2010, page 219.

შეიმუშაონ სათანადო პოლიტიკა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სტატისტიკური სამსახურის საქმიანობის გააქტიურება, მისი ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრენინგებში, რომლებიც უშუალოდ გამიზნულია იმ პრობლემების გადაჭრაზე, რაც წარმოიშობა იმ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის გაზომვისა და შეფასებისთვის (OECD-ის ინდიკატორებით). ამ ამოცანათა ფარგლებში საჭიროა ჩამოყალიბდეს სტატისტიკის კვლევითი ცენტრი, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს აღნიშნულ საკითხებზე სტატისტიკურ სამსახურთან და რეგულარურად მოახდენს საქართველოში გლობალიზაციის ტენდენციების შეფასებას.

თავი 3. ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობა თანამედროვე მსოფლიოში

3.1 ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში

როგორც წინა თავში ვნახეთ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში გლობალიზაციის ინტენსივობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, თანდათან უფრო ღრმავდება ვაჭრობის, ინვესტიციების, ტექნოლოგიებისა და ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის პროცესი. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით სასარგებლო იქნებოდა გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდის ფონზე რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის გამოკვლევა, რათა დაგვედგინა გლობალიზაციის პროცესებსა და ტრანსნაციონალური კორპორაციების როლს შორის ურთიერთკავშირის ხასიათი.

ადრეული პერიოდის სკოლები, რომლებიც იკვლევდნენ ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ეროვნული სახელმწიფოების ურთიერთქმედებას, იყენებდნენ ორ საფეხურიან კონცეპტუალურ ჩარჩოს. პირველ – აკადემიურ – საფეხურზე მოცემული იყო ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერების თეორიები, ხოლო მეორე – პრაქტიკულ – საფეხურზე – ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების, მთავრობის წარმომადგენლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელების შეხედულებები.

აკადემიური ხედვის მთავარი წარმომადგენლებია ლიბერალური, მარქსისტული და მერკანტილისტურ სკოლები.

ლიბერალური სკოლის წარმომადგენელი რაიმონდ ვერნონი ამტკიცებდა, რომ მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და ტექნოლოგიური პროგრესი კომუნიკაციასა და ტრანსპორტში ეროვნულ სახელმწიფოს ხდის ძველი დროის გადმონაშთად. მსოფლიო ეფექტიანობისა და საშინაო ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად ეროვნულ სახელმწიფოს კონტროლი ეკონომიკურ საქმეებზე გზას

უთმობს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. ევროდოლარების ბაზარი და საერთაშორისო ინსტიტუტები უკეთ პასუხობენ ეკონომიკურ საჭიროებებს. ამ ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში ეროვნული ეკონომიკური მიზნები მიიღწევა მსოფლიოში თანამონაწილეობით. ამ თვალსაზრისით კი, ტრანსნაციონალური კორპორაციები, გათავისუფლებული ერი-სახელმწიფოს ბორკილებისაგან, არიან კაპიტალის, იდეებისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი გამავრცელებლები. მარქსისტული სკოლა წარმოადგენს მსოფლიოს, როგორც ექსპლოატაციური იერარქიის, კონცეფციას. ამ იერარქიაში, დოვლათი და სარგებელი ღარიბი ქვეყნებიდან მიემართება იმ ცენტრებისკენ, რომელსაც მართავენ ისინი, ვინც გეგმავს და იღებს გადაწყვეტილებებს მრავალეროვნულ კორპორაციებში. მარქსისტული სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დამცველი სტეფან ჰაიმერი ამტკიცებდა, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ტრანსნაციონალური კორპორაციების რეჟიმი მიდრეკილი არის გეოგრაფიული რეგიონებს შორის სამუშაო ძალის ისეთი იერარქიული განაწილებისკენ, რომელიც შეესაბამება ფირმაში სამუშაო ძალის ვერტიკალურ განაწილებას. ის მიმართულია მაღალი დონის გადაწყვეტილებების ცენტრალიზებულად მიღებაზე განვითარებულ ქვეყნების რამდენიმე ძირითად ქალაქში, რომლის ირგვლივაც თავს იყრის რეგიონული კაპიტალი, და დარჩენილი მსოფლიოს დაბალი აქტიურობითა და შემოსავლით შემოფარგვლაზე. ურთიერთობები განსხვავებულ ქვეყნებს შორის არის ისეთი, როგორც უფროსსა და ხელქვეითებს, სათაო ოფისებსა და მათ ფილიალებს შორის. მერკანტილისტების „პიესაში“ მთავარი გმირი არის არა მრავალეროვნული კორპორაცია, არამედ ერი-სახელმწიფო. მერკანტილისტური სკოლის მთავარი იდეა არის ეროვნული, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების პრიორიტეტი გლობალური ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებასთან შედარებით⁸³.

განსხვავებით აკადემიური მკვლევარებისაგან, რომლებიც ტრანსნაციონალურ კორპორაციას მიიჩნევენ მეცნიერული დაკვირვების სუბიექტად, პრაქტიკოსები ეხებიან ტრანსნაციონალური კორპორაციის როლს ეროვნულ და საერთაშორისო ეკონომიკურ

⁸³ A. G. Kefalas, *global Business Strategy: A Systems Approach*, Zurich, 2008, pages 63-70.

და სოციალურ განვითარებაში. ამგვარად, მათი მთავარი კითხვაა: „რა როლს ასრულებს მრავალეროვნულ კორპორაცია მსოფლიოში?“⁸⁴.

ტრანსნაციონალური კორპორაციის როლსა და მის მომავალზე პრაქტიკოსთა შეხედულებები შეიძლება დაიყოს ოპტიმისტულ, პესიმისტურ და მელიორისტულ შეხედულებებად.

პრაქტიკოსთა ოპტიმისტური შეხედულების თანახმად ტრანსნაციონალური კორპორაცია არის ყველაზე კრეატიული საერთაშორისო ინსტიტუტი, რაც კი აქამდე ყოფილა. ის წარმოადგენს კაცობრიობის უმაღლეს მიღწევას ცოდნაში და მატერიალური და ადამიანური რესურსების ორგანიზების მეცნიერებაში.

ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა უნდა შეასრულონ უფრო აქტიური და მნიშვნელოვანი როლი საშინაო და საერთაშორისო საქმიან ურთიერთობებში. არ არსებობს არსებითი შეუთავსებლობა ეროვნული სახელმწიფოს გეგმასა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მიზნებს შორის. პრაქტიკოსები მიიჩნევენ, რომ მესამე მსოფლიოს მოთხოვნა „ახალ“ ეკონომიკურ წესრიგზე სამართლიანად ჩანს მაგრამ ეს უნდა მოხდეს „მათ მიერ საკუთარი სახლების მოწესრიგებით“ და არა ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ მოწყალების გაღებით. მათ უნდა შექმნან გარემო, რომელშიც იქნება მეტი თავისუფლება მნკ-სათვის. მესამე სამყაროს იმ ქვეყნებმა, რომლებმაც მიაღწიეს პროგრესს ინდუსტრიალიზაციის მიმართულებით, ეს გააკეთეს ტრანსნაციონალური კორპორაციების მეშვეობით; მნკ უნდა გახდეს უფრო ეფექტიანი და ქმედითი დაოვლათის შემქმნელი მექანიზმი.

პრაქტიკოსთა პესიმისტური შეხედულების თანახმად, ტრანსნაციონალური კორპორაცია არის ყველაზე დამანგრეველი მექანიზმი, რომელიც ოდესმე ყოფილა. მისი ამჟამინდელი ფუნქცია და სტრუქტურა წარმოადგენს ადამიანის ყველაზე ცუდ მიღწევას. რადგან მნკ-ების არსებობა ძირს უთხრის ეროვნული სახელმწიფოს ძალას დაიცვას პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ამიტომ ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი უნდა შესუსტდეს. პრაქტიკოსები, რომლებიც იზიარებენ აღნიშნულ შეხედულებას, მიიჩნევენ, რომ მესამე მსოფლიოს მოთხოვნა „ახალ“ ეკონომიკურ წესრიგზე არის არა მხოლოდ კანონიერი და სამართლიანი, არამედ იმ ეკონომიკური იმპერიალიზმის დასასრულის

⁸⁴ A. G. Kefalas, *Global Business Strategy: A Systems Approach*, Zurich, 2008, p. 70.

გამოვლინებაა, რომელშიც იგულისხმება მდიდრების მიერ ღარიბების ექსპლუატაციის ხანა, რომელმაც შექმნა ეკონომიკური უთანაბრობა მდიდარსა და ღარიბს შორის. აქედან გამომდინარე, ახალი წესრიგი მისცემს ღარიბებს თავის კუთვნილ წილს. მათი აზრით, ტრანსნაციონალური კორპორაციები უნდა გაკონტროლდეს, რადგან მათი მიზნები და დანიშნულება არის შეუსაბამო ეროვნულ სახელმწიფოს მიზნებთან (განსაკუთრებით მესამე სამყაროში). დღეს არსებობს მრავალი მულტიეროვნული მენეჯერი, რომლებიც ქმნიან ისეთ მსოფლიოს, რომელიც არის ძალიან სასიამოვნო მათთვის, მაგრამ გაუსაძლისი – ვინც მათთან მუშაობს და მათთან ერთად ცხოვრობს.

პრაქტიკოსთა მელიორისტული შეხედულების თანახმად, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს აქვს პოტენციალი გახდეს ძალიან გამოსადეგი საშუალება ადამიანური პირობების გასაუმჯობესებლად მთელ მსოფლიოში. რადგან ისინი რეალურად არსებობენ, გააგრძელებენ ძალზე მნიშვნელოვანი როლის თამაშს საზოგადოების განვითარებაში. ეს არის ორგანიზაცია-დომინანტი, რომელსაც ექვემდებარება მსოფლიო. ტრანსნაციონალური კორპორაციები უნდა შეიცვალოს რადიკალურად, მისი მიზნებისა და ამოცანების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და საქმიანობის თვალსაზრისით⁸⁵.

მსოფლიო ეკონომიკის ზრდის მექანიზმის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარ წყაროს კი ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ. განვითარებული ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციებზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში არსებული ტრანსნაციონალური კორპორაციების დაახლოებით 80%-ს შეადგენენ, მოდის მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების დაახლოებით 70%. სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სწრაფად მზარდ წყაროს. 2010 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით არსებობდა 650 სახელმწიფო ტრანსნაციონალური კორპორაცია 8500 უცხოური ფილიალით. ამავე წელს მათ მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 11%, მაშინ როცა ისინი

⁸⁵ A. G. Kefalas, *Global Business Strategy: A Systems Approach*, Zurich, 2008, p. 69.

წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციების საერთო რაოდენობის 1%-ზე ნაკლებს⁸⁶.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით სწრაფი გლობალური გავრცელების შედეგად, ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა საერთაშორისო ვაჭრობაში დომინანტური მდგომარეობა დაიკავეს. 2001 წელს მსოფლიოს 65000 ტნკ-სა და მათ 850000 უცხოური ფილიალზე მოდიოდა მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით ორი მესამედი. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აგრეთვე საერთაშორისო წარმოებაში. ყოველივე ეს მათ ხდის წარმოებისა და ბაზრების გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალას⁸⁷.

დღეს საერთაშორისო წარმოება აღარ უკავშირდება ექსკლუზიურად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ვაჭრობას. საქმიანი ურთიერთობების ისეთი ფორმები, როგორებიცაა ერთობლივი წარმოება, მომსახურების აუტსორსინგი, ფრანჩაიზინგი, ლიცენზირება, კონტრაქტები მართვაზე და სხვა, ტრანსნაციონალური კორპორაციები ახდენენ საქმიანობის კოორდინაციას თავიანთ გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში, რაც განვითარებადი ქვეყნებისათვის წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის. 2010 წელს ბიზნესის მართვის აღნიშნული ორგანიზაციული სტრუქტურების მიერ განხორციელებულმა გაყიდვებმა 2 ტრლნ. დოლარს გადააჭარბა.

რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის შესასწავლად ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური ფილიალების საქმიანობა ისეთი მაჩვენებლების მიხედვით როგორცაა ბრუნვა, დასაქმება, დამატებული ღირებულება და ა. შ.

ჩვენს მიერ განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა იქნა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) უმეტეს ქვეყანაში სამრეწველო სექტორში უცხოურ ფილიალები ქმნიან სამუშაო ადგილების, ბრუნვისა და დამატებული ღირებულების მნიშვნელოვან, ზოგიერთ ქვეყანაში უმეტეს,


⁸⁶ UNCTAD, World Investment Report, 2012.

⁸⁷ UNCTAD, Manual on Statistics for FDI and the Operation of TNCs.

ნაწილს. ამასთან მათ მფლობელობაშია ქვეყანაში არსებული კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი.

2009 წელს, უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მრეწველობის სექტორის მთლიან ბრუნვაში მერყეობდა 79%-დან (ირლანდია) 19%-მდე (ფინეთი, იტალია) (იაპონიის გარდა, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 5%-ს შეადგენს). აღნიშნულმა მაჩვენებელმა 60%-ს გადააჭარბა ჩეხეთსა და უნგრეთში, ხოლო სლოვაკეთსა და ირლანდიაში თითქმის 80%-ს მიაღწია. დიდი შვიდეულის ქვეყნებს შორის აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე მაღალი დონე ახასიათებდა გაერთიანებულ სამეფოსა (47%) და საფრანგეთს (30%). მათ შემდეგ კი – აშშ-სა და იტალიას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) იმ ქვეყნებს შორის, რომელთა მონაცემები ხელმისაწვდომია, აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე აჩვენა იაპონიამ⁸⁸.

დიაგრამა 22. უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მთლიან ბრუნვაში, დასაქმებასა და დამატებულ ღირებულებაში (წარმოება), 2009 წ.



წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.


დასაქმებას უცხოურ ფილიალებში ჰქონდა იგივე ტენდენცია, რაც მათ ერთობლივ ბრუნვას, იმ განსხვავებით, რომ უცხოური წილი საწარმოო სექტორის მთლიან დასაქმებაში უფრო მცირე იყო, ვიდრე მთლიან ბრუნვაში, გარდა ფინეთისა,

⁸⁸OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012.

სადაც უცხოური წილი დასაქმებაში 1%-ით აღემატება ბრუნვის ანალოგიურ მაჩვენებელს.

OECD-ის უმეტეს ქვეყანაში სამრეწველო სექტორის მიერ შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში უცხოური ფილიალების წილი ბრუნვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით უფრო მცირეა და ეს განსხვავება მერყეობს 1-დან 14-მდე, ხოლო ირლანდიასა და ფინეთში უცხოური წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში აღემატება ბრუნვის ანალოგიურ მაჩვენებელს. პოლონეთში უცხოური ფილიალების წილი მთლიან ბრუნვასა და დამატებულ ღირებულებაში ერთმანეთს უტოლდება. ამასთან, ირლანდიაში უცხოური ფილიალების წილმა ქვეყნის სამრეწველო სექტორის მთლიან დამატებულ ღირებულებაში 80%-ს გადააჭარბა. სლოვაკეთსა და უნგრეთში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 60% გადააჭარბა. აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე ახასიათებდა აშშ-სა და იტალიას (16 და 17%, შესაბამისად), (დიაგრამა 22).

დიაგრამა 23. უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მთლიანი საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში (მრეწველობა), OECD-ის ქვეყნები, 2009 წ.




წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.

OECD-ის უმეტეს ქვეყანაში უცხოური ფილიალები ფლობენ ქვეყანაში არსებული მთლიანი საწესდებო კაპიტალის აგრეთვე მნიშვნელოვან ნაწილს. 2009 წელს, კანადაში, პოლონეთსა და ჩეხეთში ქვეყნის სამრეწველო სექტორში არსებული

მთლიანი საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს ფლობდნენ უცხოური ფილიალები. სლოვაკეთსა და უნგრეთში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 70%-ს გადააჭარბა. OECD-ის დანარჩენ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი 24-დან 43%-მდე მერყეობს, გარდა იტალიისა, ნორვეგიისა და ფინეთისა, სადაც უცხოური ფილიალების წილმა ქვეყნის სამრეწველო სექტორის მთლიანი საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში შეადგინა 16, 16 და 4%, შესაბამისად (დიაგრამა 23).

დიაგრამა 24. უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის საწარმოთა მთლიან რაოდენობაში (მრეწველობა), OECD-ის ქვეყნები, 2009 წ.



წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ფილიალები მიმდებ ქვეყანაში ქმნიან სამუშაო ადგილების, ბრუნვისა და დამატებული ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს და ასევე, ფლობენ ქვეყანაში არსებული საწესდებო კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს, ისინი წარმოადგენენ ქვეყნის საწარმოთა უმცირესობას.

OECD-ის უმეტეს ქვეყანაში უცხოური ფილიალების ხვერიითი წონა საწარმოთა მთლიან რაოდენობაში არ აღემატება 4%-ს. ფინეთში, საფრანგეთში, სლოვენისა და პორტუგალიაში აღნიშნული მაჩვენებელი – მხოლოდ 2%-ს, ხოლო პორტუგალიაში, ესპანეთსა და იტალიაში კი მხოლოდ 1%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი

ესტონეთში მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენ ქვეყნებს, სადაც იგი არ აღემატება 30%-ს, მის შემდეგ მოდის სლოვაკეთი და პოლონეთი 12%-იანი მაჩვენებლით (დიაგრამა 24).

ამრიგად, უცხოური ფილიალები მიუხედავად ეროვნულ ფიმებთან შედარებით მათი უმნიშვნელო რაოდენობისა, ისინი მიმღებ ქვეყანაში პასუხისმგებელი არიან ქვეყანაში წარმოებული დოვლათისა და არსებული კაპიტალის, აგრეთვე სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან ნაწილზე, რაც მეტყველებს მათ დიდ როლზე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში, რომელიც განიცდის უმუშევრობას, ეკონომიკური ზრდის შემცირებას და კაპიტალის სიმცირეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყანაში მსოფლიოს უმცხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალების მოზიდვას, რისთვისაც აუცილებელია სტაბილური ბიზნეს-გარემოს შექმნა, განსაკუთრებით პოლიტიკური და დემოკრატიული თვალსაზრისით, რაც დღემდე გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს, რის ფონზეც უცხოური კაპიტალის მოსაზიდად შექმნილი სპეციალური ზონები და ყოველგვარი პრეფერენციები აზრს კარგავს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტამდე ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური გაუმჯობესება წარმოუდგენელია.

რაც შეეხება უცხოური ფილიალების საქმიანობის ინტენსივობას დინამიკაში, 2009 წელს, 2003 წელთან შედარებით, უცხოური ფილიალების ხვედრითი წილი საწარმოო სექტორის მთლიან დასაქმებაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა OECD-ის 22 ქვეყნიდან 18-ში, ზრდა მერყეობდა 20-დან 1 პროცენტულ პუნქტამდე. აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე მეტი ზრდა აღინიშნა ჩეხეთში (20), სლოვაკეთში (19), უნგრეთში (19 პროცენტული პუნქტით). იგი უმნიშვნელოდ შემცირდა ესპანეთში (0,2), იტალიაში (1), ირლანდიასა (2) და საფრანგეთში (4 პროცენტული პუნქტით), (დიაგრამა 25).

უცხოური ფილიალების ხვედრითი წონა ქვეყნის მთლიან ბრუნვაში ხასიათდებოდა იგივე ტენდენციით, რითაც დასაქმების ანალოგიური მაჩვენებელი. 2009 წელს, 1999 წელთან შედარებით, იგი გაიზარდა OECD-ის 20 ქვეყნიდან 17-ში, ზრდა მერყეობდა 24-დან 2 პროცენტულ პუნქტამდე, ამასთან აღნიშნული მაჩვენებელი

უმნიშვნელოდ შემცირდა 2 ქვეყანაში, ერთში კი თითქმის არ შეცვლილა. აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე მეტი ზრდა აღინიშნა ჩეხეთში (24), ჰოლანდიაში (20), გერმანიასა (17), სლოვაკეთში (17 პროცენტული პუნქტით). იგი შემცირდა მხოლოდ საფრანგეთსა (5) და იტალიაში (3 პროცენტული პუნქტით), (დიაგრამა 26).

დიაგრამა 25. უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მთლიან დასაქმებაში (მრეწველობა), 2000 და 2009 წ.წ.⁸⁹




წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.

ხოლო რაც შეეხება უცხოური ფილიალების ხვედრით წონას ქვეყნის მთლიან დამატებულ ღირებულებაში, იგი აგრეთვე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა OECD-ის 18 ქვეყნიდან 12 ქვეყანაში. ზრდა მერყეობდა 19-დან 2 პროცენტულ პუნქტამდე. აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე მეტი ზრდა აღინიშნა ჩეხეთში (19), ჰოლანდიასა (16) და დიდ ბრიტანეთში (14 პროცენტული პუნქტით). იგი მნიშვნელოვნად შემცირდა მხოლოდ საფრანგეთსა (8) და გერმანიაში (5 პროცენტული პუნქტით), ხოლო უმნიშვნელოდ შემცირდა ირლანდიაში, ესტონეთსა და ესპანეთში (2; 2 და 3 პროცენტული პუნქტით, შესაბამისად), (დიაგრამა 27).


⁸⁹ ესტონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი – 2003 და 2009 წ.წ.; გერმანია, ირლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, საფრანგეთი – 2000 და 2007 წ.წ.; შვეიცარია – 2003 და 2008 წ.წ..

დიაგრამა 26. უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მთლიან ბრუნვაში (მრეწველობა), 2000 და 2009 წ.წ.⁹⁰



წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.

დიაგრამა 27. უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მთლიან დამატებულ ღირებულებაში (მრეწველობა), (2000 და 2009 წ.წ.)



წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.

⁹⁰ ავსტრია, უნგრეთი, სლოვაკეთი – 2003 და 2009 წ.წ.; ლუქსემბურგი – 2000 და 2005 წ.წ..

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკანასკნელ ათწლეულში OECD-ის ქვეყნებში ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის ინტენსივობა ზრდის ტენდენციით ხასითდება, რაც თავის მხრივ მეტყველებს აღნიშნულ ქვეყნებში როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ზრდაზე, ასევე გლობალიზაციის ინტენსივობის გაღრმავებაზე. ამასთან, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ისინი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ტექნოლოგიურ გლობალიზაციაში მრავალეროვნული კორპორაციების როლის გამოსავლენად, საჭიროა გაანალიზდეს კვლევებსა და განვითარებაზე დანახარჯები, რომლებიც ეხება ექსკლუზიურად ბიზნესსექტორს, სადაც შედის „ყველა ფირმა, ორგანიზაცია და დაწესებულება, რომელთა ძირითადი საქმიანობაა საქონლისა და მომსახურების საბაზრო წარმოება მათი საზოგადოებისათვის ეკონომიურად მიზანშეწონილი ფასით მიყიდვისთვის“⁹¹.



ინდიკატორი, რითაც იზომება მრეწველობის სექტორში კვლევებსა და განვითარებაზე ბიზნეს სექტორის ერთობლივ დანახარჯებში უცხოური ფილიალების ხვედრითი წონა, გვიჩვენებს უცხოური ფილიალების მნიშვნელობას კვლევებსა და განვითარებაში ეროვნული ინვესტიციებისათვის. ამასთან, რაც უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი, მით უფრო ინტერნაციონალიზებულია ქვეყნის საშინაო ბაზარი. იგივე შეიძლება ითქვას მკვლევართა რიცხვთან დაკავშირებით.

მრეწველობის სექტორში კვლევებსა და განვითარებაში საწარმოების ერთობლივ დანახარჯებში ტრანსნაციონალური კორპორაციების ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით: იგი მერყეობს 5-დან (იაპონია) 70%-მდე (ირლანდია). უნგრეთში, ბელგიაში, ჩეხეთსა და ავსტრიაში უცხოურ ფილიალებზე მოდის მთლიანი ინვესტიციების ნახევარზე მეტი. სხვა ქვეყნებში უცხოური ფილიალების წვლილი უფრო მოკრძალებულია. ეს განპირობებულია, პირველ რიგში, ძლიერი ადგილობრივი მრავალეროვნული კორპორაციების არსებობით (მაგალითად, შვედეთი)⁹².

⁹¹ Frascati Manual, § 163.

⁹² OECD, Activity of Multinationals Database, 2012, October.

დიაგრამა 28. კვლევასა და განვითარებაზე OECD-ის ქვეყნებისა და 8 უმსხვილესი ინვესტორი კომპანიის ჯგუფის დანახარჯების შედარება, 2011 წ.



წყარო: OECD, MSTI database, Februar, 2013; The 2012 EU Industrial R&D Investment Scoreboard, European Commission, Directorate-General for Research and Innovation

უცხოური ფილიალების ხვედრითი წილი მკვლევართა საერთო რაოდენობაში, სამრეწველო სექტორში, უმნიშვნელოდ ჩამორჩება კვლევებსა და განვითარებაზე დანახარჯების ანალოგიურ მაჩვენებელს. ავსტრიაში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, პორტუგალიასა და უნგრეთში მკვლევართა ნახევარზე მეტი მუშაობს უცხოურ ფილიალებში. შვედეთსა და ესტონეთში მკვლევარები უცხოურ ფილიალებში შეადგენენ მკვლევართა საერთო რაოდენობის 40%-ზე მეტს, სამრეწველო სექტორში⁹³.

ტრანსნაციონალური კორპორაციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს კვლევებსა და განვითარებაში (Research and Development - R&D) ინვესტირებაში მსოფლიო მასშტაბით. მაშინ, როცა მათზე მოდის საერთაშორისო ინვესტიციების დიდი ნაწილი და მათი მეშვეობით ხორციელდება ტექნოლოგიის საერთაშორისო ტრანსფერის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამავე დროს, ისინი R&D-ში ახორციელებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს.

უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების R&D-ის ბიუჯეტი მეტია ვიდრე რამოდენიმე ქვეყნის მიერ R&D-ში განხორციელებული ინვესტიციები ერთად აღებული. 2011 წელს, R&D-ში ყველაზე მსხვილი ინვესტორი კომპანია მსოფლიოში არის იაპონური კომპანია „ტოიოტა“ R&D-ის 10 მლნ-ზე მეტი ბიუჯეტით, რაც მას აყენებს R&D-ში 10 ყველაზე მსხილ ინვესტორ ქვეყანას შორის. 2011 წელს, R&D-ში მსოფიოს 8 ყველაზე მსხილი ინვესტორი კომპანიის ჯგუფის აგრეგირებული დანახარჯი აღემატება R&D-ში ყველა ინდივიდუალური ქვეყნის ინვესტიციებს აშშ-სა და იაპონიის გარდა (დიაგრამა 28).

1997-2007 წლებში OECD-ის სივრცეში უცხოური ფილიალების მიერ კვლევებსა და განვითარებაში განხორციელებული ინვესტიციები გაიზარდა 53 მლრდ დოლარით. ზრდა დაფიქსირდა ყველა წამყვან ქვეყანაში, აშშ-მა მიიზიდა 22,6 მლრდ დოლარი, გერმანიამ – 8,9 მლრდ დოლარი, დიდმა ბრიტანეთმა – 3,1 მლრდ დოლარი, საფრანგეთმა 2,3 მლრდ დოლარი, ხოლო კანადამ – 1,9 მლრდ. დოლარი. კვლევებსა და განვითარებაზე უცხოურ ფილიალების მიერ გაწეულ DECD-ის აგრეგირებულ დანახარჯებში ქვეყნების შეფარდებით წილი მნიშვნელოვნად შეიცვალა. გერმანიისა და იაპონიის წილი გაიზარდა აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და კანადის

⁹³ OECD, Activity of Multinationals Database, 2012, October.

ხარჯზე. მიუხედავად ამ შეფარდებითი შემცირებისა აშშ-ს წილში, 2007 წელს აშშ-მა კვლავ მიიზიდა კვლევებსა და განვითარებაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების თითქმის 45%. იაპონიაში კვლევებსა და განვითარებაში უცხოური ინვესტიციების ზრდა მიეკუთვნება უმთავრესად სააგრომობილო ტრანსპორტის დარგს. კანადაში უცხოური ფილიალების კვლევებსა და განვითარებაში ინვესტიციების ზრდა აღემატებოდა საზღვარგარეთულ ფილიალების ანალოგიურ მაჩვენებელს⁹⁴.

იმისათვის რომ შევაფასოდ ქვეყნის ბიზნესის სექტორის აგრეგირებულ კვლევებისა და განვითარების ძალისხმევაში უცხოური ფილიალების წვლილის რეალური ტენდენციები, აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ უცხოური ფილიალების მიერ ახალ კვლევებზე გაწეული დანაკარგები და იმ ეროვნული ფირმების ლაბორატორიების დანახარჯები, რომლებიც გადავიდნენ უცხოურ საკუთრებაში, თუმცა სტატისტიკური მონაცემების უკმარისობა არ გვაძლევს ამგვარი განსხვავების გათვალისწინების საშუალებას.

ამრიგად, ინვესტიციების, ვაჭრობისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდის კვლავი იზრდება ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი ცაკლუელი ქვეყნის ეკონომიკაში, რაც წარმოადგენს ემპირულ დადასტურებას იმ კანონზომიერებისა, რომ გლობალიზაციის პროცესის გაღრმავება განაპირობებს ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ზრდას და, პირიქით, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ზრდა აღრმავებს გლობალიზაციის პროცესს.

იმისათვის, რომ დაგვედგინა გლობალიზაციის განვითარებაზე რა ზეგავლენას ახდენს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა, გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზის მეთოდი. საანალიზო ქვეყნას წარმოადგენს აშშ.

ვაჭრობის გლობალიზაციაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენის დასადგენად ჩვენს მიერ განხორციელებულ კორელაციურ ანალიზში საშუალო ცვლადს წარმოადგენს ვაჭრობის გლობალიზაციის ინტენსივობის ინდიკატორი (ქვეყნის მთლიანი ექსპორტისა და იმპორტის ჯამის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-

⁹⁴ OECD, Globalisation Indicators: Measuring Globalization, 2010, page 191.

სთან მიმართებით), ხოლო მიზეზობრივ ცვლადს – ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ განხორციელებულ მთლიანი ექსპორტისა და იმპორტის ჯამი.

ანალიზმა აჩვენა, რომ ვაჭრობის გლობალიზაციის ინტენსივობასა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ განხორციელებულ საერთაშორისო ვაჭრობას შორის არსებობს ძლიერი კორელაცია ($R=0.9$) (ცხრილი 7). შესაბამისად, ვაჭრობის გლობალიზაციის ზრდის 81%-ს განაპირობებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ვაჭრობის გლობალიზაციაზე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, რომ არა ტრანსნაციონალური კორპორაციები ვაჭრობის გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდის ტემპი 81%-ით შენელებოდა (დანართი 14, ცხრილი 1).

ცხრილი 7. ვაჭრობის გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კორპორაციები (კორელაცია)

		ვაჭრობის გლობალიზაციის ინტენსივობა
ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპორტისა და იმპორტის ჯამი	პირსონის კორელაციის კოეფიციენტი (R)	0,907*
	მნიშვნელობა	0.000

* მნიშვნელოვანი კორელაცია 0.01 დონეზე.

წყარო: ქვეყნის ექსპორტი და იმპორტი - UNCTAD, FDI/TNC database; მშპ - IMF, World Economic Outlook Databases; ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ განხორციელებული მთლიანი იმპორტისა და ექსპორტის ჯამი - OECD. Stat Extracts, Inward activity of multinationals by industrial sector.

ტექნოლოგიების გლობალიზაციაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენის დასადგენად განხორციელებულ კორელაციურ ანალიზში, მიზეზობრივი ცვლადად აღებულია ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ მიღებული და გადახდილი ტექნოლოგიური შემოსავლების ჯამი, ხოლო საშედეგო ცვლადად – ქვეყნის ტექნოლოგიის გლობალიზაციის ინტენსივობის ინდიკატორი (ქვეყნის ტექნოლოგიური შემოსავლებისა და გადასახდელების ჯამის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებით).

**ცხრილი 8. ტექნოლოგიის გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კორპორაციები
(კორელაცია)**

		ტექნოლოგიების გლობალიზაციის ინტენსივობა
ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ მიღებული და გადახდილი ტექნოლოგიური შემოსავლების ჯამი	პირსონის კორელაციის კოეფიციენტი (R)	0,985
	მნიშვნელობა	0.000

* მნიშვნელოვანი კორელაცია 0.01 დონეზე.

წყარო: ქვეყნის ტექნოლოგიური შემოსავლები და გადასახდელები - OECD. Stat Extracts, Main Science and Technology Indicators; მშპ - IMF, World Economic Outlook Databases; ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ მიღებული და გადახდილი ტექნოლოგიური შემოსავლები - OECD. Stat Extracts, Inward activity of multinationals by industrial sector.

**ცხრილი 9. ტრანსნაციონალური კორპორაციები და ინვესტიციების გლობალიზაცია
(კორელაცია)**

		ინვესტიციების გლობალიზაციის ინტენსივობა
უცხოური ფილიალების მთლიანი საწესდებო კაპიტალი	პირსონის კორელაციის კოეფიციენტი (R)	0,857
	მნიშვნელობა	0.000

* მნიშვნელოვანი კორელაცია 0.01 დონეზე.

წყარო: ქვეყნის საინვესტიციო პოზიცია - OECD, Stat Extracts, Foreign Direct Investment Statistics; მშპ - IMF, World Economic Outlook Databases; უცხოური ფილიალების საწესდებო კაპიტალს - OECD. Stat Extracts, Inward activity of multinationals by industrial sector.

კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ტექნოლოგიის გლობალიზაციის ინტენსივობასა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ტექნოლოგიებით საერთაშორისო ვაჭრობას შორის არსებობს კიდევ უფრო ძლიერი კორელაცია, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობის შემთხვევაში (R=0,99) (ცხრილი 8). შესაბამისად, ტექნოლოგიის გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდის 98% განაპირობებს ტრანსნაციონალური კორპორაციები. ე. ი. ტრანსნაციონალური

კორპორაციების საქმიანობა კიდევ უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს ტექნოლოგიების, ვიდრე ვაჭრობის, გლობალიზაციაზე (დანართი 14, ცხრილი 2).

ინვესტიციების გლობალიზაციაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების ზეგავლენის დასადგენად ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა ინვესტიციების გლობალიზაციის ინტენსივობის ინდიკატორსა (ქვეყნის საინვესტიციო პოზიციის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებით) და ქვეყანაში არსებული უცხოური ფილიალების მთლიან საწესდებო კაპიტალს შორის ურთიერთკავშირი. აღნიშნულ ორ ცვლადს შორის არსებობს ძლიერი, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია ($R=0,85$) (ცხრილი 9), რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ინვესტიციების გლობალიზაციის ზრდის 72% განპირობებულია უცხოური ფილიალების საქმიანობით (დანართი 14, ცხრილი 3).

ცხრილი 10. ტრანსნაციონალური კორპორაციების წვლილი ეკონომიურ გლობალიზაციაში

ეკონომიური გლობალიზაციის ძირითადი მიმართულებები	ტნკ-ების წვლილი ინტენსივობის ზრდაში (R^2)	კორელაციის კოეფიციენტი (R)
ვაჭრობის გლობალიზაცია	81%	0.90
ინვესტიციების გლობალიზაცია	72%	0.85
ტექნოლოგიის გლობალიზაცია	96%	0.98

ამრიგად, ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ ეკონომიური გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდის მთავარ წყაროს. ისინი ძლიერ ზეგავლენას ახდენენ როგორც ვაჭრობის, ისე ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციის ზრდაზე (ცხრილი 10). ამასთან, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი ტექნოლოგიურ გლობალიზაციაში უფრო დიდია ვიდრე ინვესტიციებისა და ვაჭრობის გლობალიზაციაში, ხოლო ინვესტიციების გლობალიზაციაში – დანარჩენ მიმართულებებთან შედარებით უფრო დაბალი (ცხრილი 10).

3.2 ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის თავისებურებანი

თითოეული კვალიფიციური მენეჯერი ცდილობს ხელიდან არ გაუშვას საერთაშორისო ბიზნესში ჩართვის შესაძლებლობა. დღევანდელ კონკურენტულ სამყაროში, ხშირად ბიზნესისა და მისი მოგების ზრდის ერთადერთი საშუალება არის კომპანიის მიერ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა. მნიშვნელობა არა აქვს ბიზნესის სიდიდესა და წარმოშობის ქვეყანას, იგი იძულებულია იაზროვნოს გლობალურად. ამაში დასარწმუნებლად რამდენიმე მაგალითიც საკმარისია: თუ დააკვირდებით თქვენს ტანსაცმელს და მანქანას, აგრეთვე კომპიუტერს, რომელიც დევს თქვენს საწერ მაგიდაზე, ყველა მათგანს აქვს რაღაც კომპონენტი, რომელიც დამზადებულია ან გაყიდულია კომპანიის მიერ, რომელიც ჩართულია საერთაშორისო ბიზნესში. რატომ? მთავარი მიზეზია გლობალიზაცია, რის შედეგადაც კომპანიები აღარ შემოიფარგლებიან თავიანთი ქვეყნის საზღვრებით და შეუძლიათ ნებისმიერი ბიზნესოპერაცია განახორციელონ ნებისმიერ ქვეყანაში.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ტენდენციები აიძულებს ბიზნესს განახორციელოს საერთაშორისო ოპერაციები, რათა გადარჩეს და მიაღწიოს წარმატებას.

საერთაშორისო ბიზნესი იწყება ქვეყნებს შორის საქონლის გაცვლით (საერთაშორისო ვაჭრობით). მისი განვითარების მომდევნო საფეხურია საპორტუგლო ინვესტიციები. მესამე საფეხურს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საერთაშორისო ბიზნესი თავისი განვითარების პიკს აღწევს საერთაშორისო კორპორაციებში, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ბიზნესის სამივე ფორმას.

პრაქტიკაში განასხვავებენ ორი ძირითადი ტიპის საერთაშორისო კორპორაციას: მრავალეროვნული კორპორაციები (მნკ), ინგლისურად – Multinational Corporations (MNC) და ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ), ინგლისურად – Transnational Corporations (TNC).

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს მიეკუთვნებიან კომპანიები, რომლებიც შექმნილია ერთი ქვეყნის კაპიტალითა და მმართველობითი კონტროლით,

საქმიანობის ინტერნაციონალური სფეროთი. ტრანსნაციონალური კორპორაციის მეთაური კომპანია განლაგებულია ბაზირების ქვეყანაში, ხოლო შვილობილი კომპანიები და ფილიალები – მთელ მსოფლიოში. მნკ-ები ინტერნაციონალურია კაპიტალით, კონტროლითა და საქმიანობის სფეროთი. მნკ აერთიანებს ორი და მეტი ქვეყნის ეროვნულ კომპანიებს. თუმცა ტერმინები „მრავალეროვნული კორპორაცია“ და „ტრანსეროვნული კორპორაცია“ ხშირად გამოიყენება ერთნაირი შინაარსით.

ტერმინი „მრავალეროვნული კორპორაცია“ ფართოდ გამოიყენება აშშ-ის ლიტერატურაში, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) და სხვა, იყენებენ ტერმინს „ტრანსნაციონალური კორპორაცია“. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ტრანსნაციონალურ კორპორაციებს მოიხსენიებს მრავალეროვნულ საწარმოებად (Multinational Enterprises – MNE).

მსოფლიოში ცნობილ ოქსფორდის ბიზნესის ლექსიკონში მრავალეროვნული საწარმო განმარტებულია შემდეგნაირად: მრავალეროვნული საწარმო არის „კორპორაცია, რომელიც ეწევა საწარმოო ოპერაციებს ერთზე მეტ ქვეყანაში სხვადასხვა მიზნით, მათ შორის ნედლეულით მომარაგების, იაფი სამუშაო ძალის გამოყენების, ადგილობრივი ბაზრების მომსახურებისა და პროტექციონისტული ბარიერებისათვის თავის არიდების მიზნით. მრავალეროვნული საწარმოები შეიძლება მივიჩნიოთ ორგანიზაციის ეფექტიან ფორმად, რომელიც იძლევა მსოფლიოს რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და ქვეყნებს შორის ტექნოლოგიის გადაცემის საშუალებას. მეორე მხრივ, ზოგიერთ მათგანს აქვს გადაჭარბებული ძალაუფლება. ისინი არიან მთავრობის კონტროლის მიღმა და ახდენენ მიმღები ქვეყნის ექსპლოატაციას, განსაკუთრებით მესამე სამყაროში, სადაც მათ შეუძლიათ იმოქმედონ უსაფრთხოების დაბალი ნორმებისა და გარემოს დაბინძურების არაადეკვატური კონტროლის პირობებში“.

გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) სახელმძღვანელოს მიხედვით ტერმინი „ტრანსნაციონალური კორპორაცია“ მოიცავს:

➤ საწარმოს, რომელიც ფლობს ჩვეულებრივი აქციების ან ხშიანი წილის 10%-ს ან მეტს ერთ ან მეტ საწარმოში (საზღვარგარეთული ფილიალები), რომელიც მდებარეობს იმ ქვეყანაში, რომლის რეზიდენტიც იგი არ არის;

➤ აღნიშნულ უცხოურ შვილობილ კომპანიებს.

აღნიშნული განსაზღვრება თავისთავში მოიცავს პირდაპირი ინვესტიციის განსაზღვრებას, რომელიც მოცემულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელოში, რომლის თანახმადაც პირდაპირი საინვესტიციო ურთიერთობები არსებობს მაშინ, როცა ინვესტორი ფლობს ხშიარი წილის ან აქციების 10%-ს ან მეტს იმ საწარმოში, რომელიც არის სხვა ქვეყნის რეზიდენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტნკ-ის განსაზღვრება არ მოიცავს ფირმებს, რომლებიც აკონტროლებენ აქტივებს საზღვარგარეთ სხვადასხვა არაკაპიტალური კავშირების მეშვეობით (მაგალითად, მენეჯმენტის კონტრაქტები, ტექნოლოგიური კონტრაქტები, ფრანჩაიზინგი და სხვა)⁹⁵.

უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „გლობალური კორპორაცია“. გლობალურ კორპორაციაში იგულისხმება ისეთი კორპორაცია, რომელიც თავის საქმიანობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს, მაგრამ რეალურად არ არსებობს ისეთი კორპორაცია, რომელიც ყველა ქვეყანაში მოქმედებს. საერთაშორისო კორპორაციების ყველა ზემოთ განხილული ტიპი მეტ-ნაკლები ზომით გლობალურია. მაგალითად, კომპანია „კოკა-კოლას“ თავისი ფილიალები 190-ზე მეტ ქვეყანაში აქვს, ექსონს – 100-ზე მეტში; კომპანია „ვოლ-მარტი“ ემსახურება კლიენტებს 10020 საცალო მაღაზიით მსოფლიოს 28 ქვეყანაში; ენერგეტიკული და ნავთობ-პროდუქტების კომპანია „როიალ დათ შელი“ ასაქმებს 93,000 ადამიანს მსოფლიოს 90 ქვეყანაში; ნავთობისა და გაზის კომპანია „ექსონ მობილი“ აწარმოებს პროდუქციას მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში და ნავთობსა და გაზს მოიპოვებს 6 კონტინენტზე; კომპანია „დაიმლერი“ მსოფლიოს დაახლოებით 200 ქვეყანაში ყიდის ტრანსპორტის 100-ზე მეტი დასახელების მოდელს პროდუქციის ისეთ კატეგორიებში, როგორცაა მსუბუქი ავტომობილები, ფურგუნები, სატვირთო

⁹⁵UNCTAD, Training manual on statistics for FDI and the operations of TNCs, Volume II, UN, New York and Geneva, 2009, p. 15.

მანქანები და ავტობუსები. აგრეთვე ეწევა ფინანსურ მომსახურებას 40-ზე მეტ ქვეყანაში⁹⁶.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს აქვთ შემდეგი ძირითადი მახასიათებელი ნიშნები:

– რეალიზაციის თავისებურებები: ფირმა თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაციას საზღვარგარეთ ახორციელებს, რითაც ძლიერ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე;

– წარმოების განლაგების თავისებურებები: საზღვარგარეთის ქვეყნებში განთავსებულია ზოგიერთი მისი შვილობილი საწარმო და ფილიალი;

– საკუთრების უფლებათა თავისებურებები: ფირმის მესაკუთრენი სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტებს წარმოადგენენ.

საკმარისია ფირმას თუნდაც ერთი ზემოთხამოთვლილი ნიშანი ახასიათებდეს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციის კატეგორიაში მოხვდეს. ზოგიერთ მსხვილ კომპანიას ერთდროულად სამივე მახასიათებელი ნიშანი აქვს. ყველაზე მნიშვნელოვნად პირველ ნიშანს მიიჩნევენ. ამ კრიტერიუმის მიხედვით აბსოლუტური ლიდერია შვედური ფირმა ნესტლე“, რომელიც თავისი პროდუქციის 98%-ზე მეტს ექსპორტირებას ახდენს. რაც შეეხება უფლებებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაციას, ამ ორ მახასიათებელს შეიძლება ადგილი არც ჰქონდეს.

XX საუკუნის 60-იან წლებში გაერო ტრანსნაციონალურ კორპორაციათა რიცხვს მიაკუთვნებდა ფირმებს 100 მლნ. დოლარის წლიური ბრუნვის ოდენობით და არანაკლებ ექვს ქვეყანაში განთავსებული ფილიალებით. მოგვიანებით ნაკლებად მკაცრი კრიტერიუმების გამოყენება დაიწყო. ამჟამად გაერო ტრანსნაციონალურს იმ კორპორაციას მიაკუთვნებს, რომელიც შემდეგ ფორმალურ მახასიათებლებს მოიცავს:

- ✓ მათ გააჩნიათ საწარმოო რგოლები არანაკლებ ორ ქვეყანაში;
- ✓ ტარდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობით;
- ✓ საწარმოო რგოლები ერთმანეთთან აქტიურად ურთიერთქმედებენ: მიმდინარეობს რესურსებისა და პასუხისმგებლობის გაცვლა⁹⁷.

⁹⁶Fortune Global 500, 2011

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც შემდეგი სამი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას წარმოადგენს: უცხოური აქტივების წილი აქტივების მთლიან მოცულობაში; უცხოეთში განხორციელებული გაყიდვების წილი გაყიდვების მთლიან მოცულობაში; უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით უფრო დიდია უცხოური ფილიალების როლი ტნკ-ს საქმიანობაში.

ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის გაანგარიშება შემდეგი ფორმულით ხდება:

$$It = 1/3 (A1/A + R1/R + S1/S) \times 100\%$$

სადაც

It – ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, %;

A1- საზღვარგარეთული აქტივები;

A – მთლიანი აქტივები;

R1 – უცხოური ფილიალების მიერ საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მოცულობა;

R – საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მთლიანი მოცულობა;

S1 – საზღვარგარეთული შტატი;

S – კომპანიის მუშაკთა მთლიანი შტატი.

XVI-XVII საუკუნეში ჩასახულმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა თავისი არსებობის მანძილზე სერიოზული ევოლუცია განიცადა. ჯერ კიდევ 1600 წელს დაარსდა ბრიტანული აღმოსავლეთ-ინდური კომპანია, რომლის დამფუძნებლებს შორის არა მარტო ინგლისელი კომერსანტები, არამედ ჰოლანდიელი ვაჭრები და გერმანელი ბანკირებიც იყვნენ. ამგვარი კოლონიალური კომპანიები XX საუკუნემდე მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობას მისდევდნენ, ამიტომაც მათ გადამწყვეტი როლი კაპიტალისტურ მეურნეობაში არ ენიჭებოდა. ისინი ითვლებიან თანამედროვე ტნკ-ების წინამორბედებად, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდნენ, როდესაც თავისუფალ კონკურენციას ცვლის მსხვილი ფირმა – მონოპოლიების აქტიური განვითარება და კაპიტალის მასიური გატანა იწყება. ტნკ-ს განვითარებაში სამ ეტაპს

⁹⁷ ლ. ყორღანაშვილი, საერთაშორისო ბიზნესი, 1997, გვ. 72.

გამოყოფენ. პირველ ეტაპზე XX საუკუნის დასაწყისში ტრანსნაციონალური კორპორაციები ინვესტირებას უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურად სუსტად განვითარებული უცხოური ქვეყნების სანედლეულო დარგებში ახდენენ, სადაც იქმნებოდა აგრეთვე შემსყიდველი და გამსაღებელი ქვედანაყოფები. მაღალტექნოლოგიური სამრეწველო წარმოების აწყობა საზღვარგარეთ მაშინ არახელსაყრელი იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მიმღებ ქვეყანაში არ იყო სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი, ხოლო ტექნოლოგიები ჯერ კიდევ სრულყოფას საჭიროებდა. ტრანსნაციონალიზაციის სუბიექტებად ამ პერიოდში ჩვეულებრივ გვევლინება სხვადასხვა ქვეყნის ფირმების გაერთიანებები (საერთაშორისო კარტელები), რომლებიც იყოფდნენ გასაღების ბაზრებს, ატარებდნენ შეთანხმებულ საფასო პოლიტიკას და ა.შ.⁹⁸

ტრანსნაციონალური კორპორაციების ევოლუციის მეორე ეტაპი იწყება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. იგი დაკავშირებულია საზღვარგარეთული საწარმოს ქვედანაყოფების როლის გაძლიერებასთან, ამასთან არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებში. საზღვარგარეთული საწარმოო განყოფილებები სპეციალიზდებიან ძირითადად იმავე პროდუქციის წარმოებაზე, რომლის წარმოება ადრე ტნკ-ს მშობლიურ ქვეყანაში ხდებოდა. თანდათანობით ტნკ-ები სულ უფრო ორიენტირებულნი ხდებიან ადგილობრივი მოთხოვნის და ადგილობრივი ბაზრის მომსახურებაზე. თუ ადრე მსოფლიო მეურნეობის არენაზე საერთაშორისო კარტელები მოქმედებდნენ, ამჟამად იქმნება ნაციონალური ფირმები, საკმაოდ მსხვილი იმისათვის, რათა გატარდეს დამოუკიდებელი ეკონომიკური სტრატეგია. სწორედ XX საუკუნის 60-იან წლებში აღმოცენდა თვით ტერმინი ტრანსნაციონალური კორპორაცია”.


წინა პარაგრაფში ვნახეთ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაში, რადგან ისინი ქმნიან სამუშაო ადგილების და ქვეყნის ეკონომიკური დოვლათის მნიშვნელოვან ნაწილს, ისინი უზრუნველყოფენ რეციპიენტი ქვეყნის კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს. აგრეთვე დავადგინეთ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები დიდ ზეგავლენას ახდენენ თამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური გლობალიზაციის

⁹⁸ ლ. ყორღანაშვილი, საერთაშორისო ბიზნესი, 1997, გვ. 74.

ინტენსივობის ზრდაზე. წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ ვცდილობთ გამოვიკვლიოთ ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური საქმიანობის სარგებლიანობა. რისთვისაც ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ სამრეწველო და მომსახურების სექტორში ეროვნული ფირმებისა და უცხოური ფილიალების საქმიანობის ისეთი მაჩვენებლები როგორცაა შრომის ნაყოფიერების, ანაზღაურებისა და დასაქმების საშუალო სიდიდეები. ამასთან, გავაანალიზეთ მათი საქმიანობის ისეთი თავისებურებანი, რომლებიც აყალიბებს თამანედროვე გლობალიზაციური პროცესების ძირითად ორიენტირებს, პირველ რიგში, რეციპიენტ ქვეყანაში მათი ექსპორტისა და იმპორტისაკენ მიდრეკილება და ტრანსნაციონალური ქსელის ფარგლებში მათ მიერ განხორციელებული ფირმათშორისი ვაჭრობა.

უცხოური ფილიალებისა და ადგილობრივი ფირმების დასაქმების საშუალო მაჩვენებლების შედარება გვიჩვენებს, რომ უცხოური ფირმები ბევრად აღემატება ეროვნულ ფირმებს და ეს ჭეშმარიტებაა ყველა ქვეყნის შემთხვევაში.

დიაგრამა 29. უცხოური ფილიალებისა და ადგილობრივი ფირმების დასაქმებულთა რიცხვი ერთ საწარმოზე (მრეწველობა), 2009 წ.




წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.

აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებით დიდია მრეწველობის სექტორში. უცხოური ფილიალების საშუალო დასაქმება რამდენიმეჯერ აღემატება ადგილობრივი ფირმების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ისეთი დიდი ქვეყნების შემთხვევაშიც კი

როგორცაა გერმანია და აშშ, რომლებსაც ყავთ მსხვილი ეროვნული ფირმები (დიაგრამა 29).

მომსახურების სექტორშიც, უცხოურ ფილიალებს აქვთ უფრო დიდი მაჩვენებელი ვიდრე ეროვნულ ფირმებს, თუმცა ეს განსხვავება მომსახურების სექტორში უმეტეს ქვეყანაში უფრო მცირეა, ვიდრე მრეწველობის სექტორში (დიაგრამა 30).

დიაგრამა 30. უცხოური ფილიალებისა და ეროვნული ფირმების დასაქმებულთა რიცხვი ერთ საწარმოზე (მომსახურება), 2009 წ.



წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.


უცხოური ფილიალების ეროვნულ ფირმებთან შედარებით დასაქმების უფრო დიდი საშუალო მაჩვენებელი განპირობებულია უცხოური ფილიალებისა და ეროვნული ფირმების დარგობრივი სტრუქტურით. უცხოური ფილიალები, როგორც წესი, უფრო ხშირია მასშტაბურ დარგებში, სადაც მასშტაბი და, აქედან გამომდინარე, ზომა კონკურენციის მნიშვნელოვანი წარმმართველია.

უცხოურმა ფილიალებმა აგრეთვე აჩვენეს შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი დონე. გამონაკლისის გარეშე, უცხოურ ფილიალებს ახასიათებთ შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი დონე, ვიდრე ადგილობრივ ფირმებს. ეს განსხვავება განსაკუთრებით დიდია ირლანდიისა და უნგრეთის შემთხვევაში. როგორც

მრეწველობის ისე მომსახურების სექტორში დამატებული ღირებულება, რომელიც მოდის ერთ მომუშავეზე უცხოურ ფილიალებში საშუალოდ უფრო მაღალია ადგილობრივ ფირმებთან შედარებით. შრომის ნაყოფიერება მრეწველობის იმ დარგებში, რომლებსაც ახასიათებთ მაღალი კაპიტალტევადობა, უფრო მაღალია, ვიდრე მომსახურების სექტორში.

განსხვავება უცხოური ფილიალებისა და ადგილობრივი ფირმების დარგობრივ შემადგენლობაში არის მნიშვნელოვანი მიზეზი შრომის ნაყოფიერებაში არსებული განსხვავებებისა. ის ფაქტი, რომ უცხოური ფილიალების საქმიანობა არის უფრო აქტიური მასშტაბურ და კაპიტალტევად დარგებში, ნაწილობრივ ხსნის აგრეგირებულ შრომის ნაყოფიერებაში ზემოაღნიშნულ განსხვავებას.

დიაგრამა 31. დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე (მრეწველობა), 2009 წ.




წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.

აგრეთვე დარგების შიგნითაც უცხოურმა ფილიალებმა აჩვენეს შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი დონე, ვიდრე ადგილობრივმა ფირმებმა. ის ფაქტი, რომ უცხოური ფილიალები საშუალოდ არიან უფრო მეტად კაპიტალტევადები, პირდაპირ განაპირობებს მათ უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერებას.

ყველა ქვეყანაში, რომელთა მონაცემები ხელმისაწვდომია, საშუალო ანაზღაურება ერთ დასაქმებულზე არის უფრო მაღალი უცხოურ ფილიალებში, ვიდრე ეროვნულ ფირმებში, როგორც მრეწველობის ისე მომსახურების დარგებში. საშუალო ხელფასი უფრო მაღალია მრეწველობის სექტორში, ვიდრე მომსახურების სექტორში.

დიაგრამა 32. დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე (მომსახურება), 2009 წ.



წყარო: OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October.

განსხვავებები საშუალო ხელფასებში დარგებისა და კომპანიების ტიპების მიხედვით პირდაპირ კავშირშია შრომის ნაყოფიერებასთან. ერთ დასაქმებულზე დამატებული ღირებულება უფრო მაღალია მრეწველობის სექტორში, ვიდრე მომსახურების სექტორში, რაც ნაწილობრივ ხსნის უფრო მაღალ საშუალო ანაზღაურებას მრეწველობაში. ამის მსგავსად, შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალია უცხოურ ფილიალებში, ვიდრე ადგილობრივ ფირმებში, რაც აისახება უფრო მაღალ საშუალო ხელფასებში, რადგან უცხოური ფილიალები მეტწილად არიან უფრო მეტად შრომატევად დარგებში და როგორც წესი, იყენებენ უფრო მეტად

კაპიტალტევად ტექნოლოგიებს. ეს განსხვავებები შეიძლება აგრეთვე განპირობებული იყო სხვა ფაქტორებითაც, როგორცაა განსხვავება მომუშავეთა უნარებში ამ ორი ტიპის ფირმას შორის. სხვა მიზეზი შეიძლება იყოს განსხვავება სამუშაო საათებში, ფირმის ზომებში და სხვა.

2010 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ აშშ-ის სავაჭრო ბალანსში დეფიციტი ძირითადად გამოწვეულია მისი საზღვარგარეთული ფილიალების საქმიანობით. მრეწველობის სექტორში უცხოური ფილიალებზე მოდის აშშ-ის გლობალური სავაჭრო დეფიციტის მხოლოდ 13%-ს, მაშინ როცა აშშ-ს საზღვარგარეთული ფილიალების ხვედრითი წონაა 87%. ფირმათშორის ვაჭრობაში აშშ-ის მშობელი კომპანიების ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან კანადა და მექსიკა. 2007 წელს ფირმათშორის ვაჭრობა კანადასთან აღემატებოდა მის ფირმათშორის ვაჭრობას ევროპის ქვეყნებთანაც კი.

კანადაში ამერიკული ფილიალების მიერ განხორციელებული იმპორტის დაახლოებით 48% და მექსიკაში – 60% შეადგენდა საავტომობილო მრეწველობას. ევროკავშირში 31,4%-ს შეადგენდა საბითუმო ვაჭრობა, 12,8%-ს – მედიკამენტები და 12,3%-ს – სატრანსპორტო აღჭურვილობა.

2010 წელს აშშ-ის ჩინური ფილიალების მიერ განხორციელებულმა იმპორტმა შეადგინა 6 მლრდ. დოლარი, რაც შეესაბამება ჩინეთიდან მთლიანი იმპორტის 1,8%-ს. აშშ-ის ჩინური ფილიალების მიერ განხორციელებული იმპორტის 59%-ზე მეტი შეადგინა კომპიუტერულმა და ელექტრონიკულ პროდუქტებმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აშშ-ის მაღალტექნოლოგიური იმპორტის ძირითადი ნაწილი ჩინეთიდან მოდის მის ჩინურ ან სხვა უცხოურ ფილიალებზე.

იაპონიის ექსპორტის დაახლოებით 7% და იმპორტის 13%, მოდის უცხოურ ფილიალებზე. ამრიგად, იაპონიაში უცხოური ფილიალების ვაჭრობა თამაშობს შედარებით მოკრძალებულ როლს იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობაში⁹⁹.

უცხოური ფილიალები ჩართულები არიან არამარტო მიმღები ქვეყნის ადგილობრივი ბაზრების მომსახურებაში, არამედ ხშირად ემსახურებიან სხვა ქვეყნის ბაზრებსაც. ამასთან, ისინი აწარმოებენ პროდუქტს ტრანსნაციონალური ქსელის სხვა ფილიალებისთვის. აღნიშნული ფირმათშორის ვაჭრობა მოიცავს დაუმთავრებელი

⁹⁹ OECD, AFA and FATS Database.

წარმოების ექსპორტსა და იმპორტს, რაც განკუთვნილია ფილიალი ფირმებისათვის, რომლებიც ჩართულები არიან უმთავრესად მარკეტინგსა და დისტრიბუციაში, მაგრამ ეწევიან მცირე დამატებით საწარმოო საქმიანობას.

ფირმათშორისი ვაჭრობის სხვა, უფრო მზარდი ნაწილი ეხება იმ უცხოური ფილიალების ექსპორტსა და იმპორტს, რომლებიც აწარმოებენ სხვა ფილიალებისთვის განკუთვნილ შუალედურ პროდუქციას. ეს პირდაპირ უკავშირდება ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციას. შედეგად, უცხოური ფილიალების ექსპორტისა და იმპორტისაკენ მიდრეკილება ბევრ შემთხვევაში აღემატება საშუალო ადგილობრივი ფირმისას, განსაკუთრებით, მრეწველობაში. მაგალითად, ირლანდიაში უცხოური ფილიალების წარმოებული პროდუქციის 90%-ზე მეტი ექსპორტირდება. ესტონეთში, ისრაელში, ფინეთში, შვედეთსა და პოლონეთში ეს პროპორცია 50%-ზე მეტია¹⁰⁰.

ქვეყნების უმრავლესობაში უცხოური ფილიალების იმპორტისკენ მიდრეკილება მრეწველობაში უფრო მცირეა ვიდრე მათი ექსპორტისკენ მიდრეკილება. თუმცა მომსახურების სექტორში ყველა უცხოურ ფილიალს აქვს მნიშვნელოვნად უფრო მეტი მიდრეკილება იმპორტისკენ, ვიდრე ექსპორტისკენ.

ექსპორტისკენ მიდრეკილება მომსახურების სექტორში მნიშვნელოვნად უფრო მცირეა ვიდრე – მრეწველობის დარგებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი ბაზრები უფრო მნიშვნელოვანია მომსახურების სფეროს საქმიანობებისთვის. მომსახურების ექსპორტი, როგორც წესი, უფრო რთულია, ვიდრე საქონლის.

მაშინ როცა უცხოური ფილიალების წარმოების ნაწილი გამოიყენება როგორც შუალედური საქონელი მშობელი ფირმების ან სხვა ფილიალების მიერ მულტინაციონალურ ქსელის ფარგლებში, ფირმათშორისმა ვაჭრობამ შეიძინა უფრო მეტი მნიშვნელობა. 2000-2007 წლებში, მრეწველობის სექტორში უცხოური ფილიალების მთლიან ექსპორტში ფირმათშორისი ექსპორტის წილი მერყეობდა 15%-დან 50%-მდე იმ რამდენიმე ქვეყანაში, რომელთათვისაც სათანადო მონაცემები ხელმისაწვდომია. მიმდინარე ათწლეულის განმავლობაში, ექსპორტის წილი უცვლელად ინარჩუნებს დაახლოებით 50%-იან მაჩვენებელს აშშ-ში და 20%-იანს –

¹⁰⁰ OECD, Globalisation indicators, 2010, p. 183.

იაპონიაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უცხოური ფილიალების ექსპორტის ნახევარი აშშ-ში განკუთვნილი იყო არაფილიალებისთვის, ხოლო იაპონიაში – 80%¹⁰¹.

2004-2007 წლებში მრეწველობის სექტორში უცხოური ფილიალების ფირმათშორის ექსპორტი პოლონეთში გაიზარდა 20-დან 47%-მდე. 2000-იანი წლების განმავლობაში, ფირმათშორისი იმპორტის წილი უცხოური ფილიალების მთლიან იმპორტში აშშ-სა და იაპონიაში იყო მნიშვნელოვნად უფრო მაღალი, ვიდრე ფირმათშორისი ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში. აღნიშნული წილი უცვლელი დარჩა აშშ-ში (თითქმის 80%), ხოლო იაპონიაში შემცირდა (70%-დან 50-ზე ქვემოთ)¹⁰².

ამრიგად, მათი ფილიალები საზღვარგარეთ ემსახურებიან არა მარტო მიმღები ქვეყნის ადგილობრივ ბაზრებს, არამედ ხშირად აგრეთვე ემსახურებიან სხვა ქვეყნების ბაზრებსაც, და, ამავე დროს, აწარმოებენ პროდუქციას მრავალეროვნული ქსელის სხვა ფილიალებისთვისაც. ამგვარ ფირმათშორის ვაჭრობაზე მოდის საერთაშორისო ვაჭრობის მზარდი წილი.

ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პერიოდში ბევრმა კომპანიამ დაიწყო მნიშვნელოვანი შემცირებები და ორგანიზაციული რესტრუქტურისა, რათა შეენარჩუნებინა მოგების დონე. განვითარებული ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის, რომლებიც მთელ მსოფლიოში არსებული ტრანსნაციონალური კორპორაციების დაახლოებით 80%-ს შეადგენენ და, რომლებზეც მოდის მსოფლიო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების დაახლოებით 70%, ხშირ შემთხვევაში ეს ნიშნავდა საკუთარი წარმოშობის ქვეყნებში წარმოებული ოპერაციების შეკვეცას მაშინ, როცა ისინი ხსნიდნენ ახალ ფილიალებს საზღვარგარეთ გარკვეული უპირატესობის მისაღებად.

2010 წელს მსხვილი არასაფინანსო ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური საქმიანობა გაუმჯობესდა და, შესაბამისად, მათი უცხოური ოპერაციების პროცენტული მაჩვენებლები მაღალ ნიშნულს ინარჩუნებენ. თუმცა ყველა უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციას არ გაუზრდია თავისი ინტერნაციონალიზაციის

¹⁰¹ OECD, Globalisation indicators, 2010, p. 185.

¹⁰² იქვე.

დონე. მაგალითად, ფინანსურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს 2010 წელს წარმოექმნათ მნიშვნელოვანი სირთულეები.

2008-2010 წლებში აღინიშნა ფორმების, განსაკუთრებით, განვითარებული ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციების, უცხოური აქტივების განუხრელი ზრდა. აგრეთვე გაიზარდა მათში დასაქმება და გაყიდვები როგორც წარმოშობის ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების უმსხვილესმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა განიცადეს განსხვავებული სირთულეები. ისინი ცდილობდნენ წარმოშობის ქვეყანაში ზრდა დაებალანსებინათ ინტერნაციონალიზაციის გრძელვადიან მიზნებთან (ხელმისაწვდომობა საერთაშორისო ბრენდებთან, ტექნოლოგიებთან და ბუნებრივ რესურსებთან). ამიტომაც მათი საგარეო ოპერაციების (დასაქმების, გაყიდვების) წილი საერთო საქმიანობაში კვლავ გაიზარდა¹⁰³.

გასულ საუკუნეებში ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და მიმართულება აგრეთვე, მნიშვნელოვანწილად შედეგებიც, განისაზღვრებოდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. მათი როლი დღესაც ძნელი შესაფასებელია, მაგრამ მოსახლეობის ზრდის შესაბამისად, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში სულ უფრო იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ფართოდ ვრცელდება ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც განვითარების სტრატეგიების ძირითად პარამეტრებად გადაიქცნენ. მათ ბაზაზე ყალიბდება გლობალური ეკონომიკა, ვითარდება გლობალური ბიზნესი, კაცობრიობას გაუჩნდა პროგრესის პრინციპულად ახალი შესაძლებლობები, მსოფლიო ეკონომიკას – პროგრესის პარადიგმა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით აღსანიშნავია მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების ინოვაციური საქმიანობა. ამის საუკეთესო მაგალითებია კომპანია დაიმლერი, ვოლკსვაგენი, ფორდ მორტორი, სიმენსი, სონი, ელჯი, ვადაფონი, ფიატი, ტოშიბა, ეიფლი, მაიკროსოფტი, ფილიფსი, ნოკია, ჰითაჩი და სხვა, რომლებმაც თავიანთ დარგებში შექმნეს თვისებრივად ახალი პროდუქტები,

¹⁰³ UNCTD, World Investment Report, 2011, United Nations, New York and Geneva, 2011, pages 25-26.

რაც განაცვიფრებს მომხმარებელს და წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის თანამედროვე ნიმუშებს. აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ბიზნესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობას პერსონალური კომპიუტერებით, ქსელური ინტერნეტით, მონაცემთა შესანახი მოწყობილობებით და სხვა მსგავსი ტექნოლოგიებით გახდნენ თანამედროვე ეკონომიკის მამოძრავებელი ძალები.

ტექნოლოგიური პოლიტიკის განვითარების თანამედროვე თავისებურებაა უმსხვილესი ფირმების მიერ ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების შექმნა, რომელშიც წარმოება და კვლევა ერთიან პროცესადაა წარმოდგენილი. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია აშშ-ის „სილიკონის (უანგბადის) ველი“, სადაც განლაგებულია 4 ათასზე მეტი კომპიუტერული ფირმა. სილიკონის ველში თავიანთი სამეცნიერო კვლევითი ცენტრები აქვთ ჰოილეტ-პაკარდის, ეიფლს, ინტელს, სონის, აიბიემს, მიკროსოფტს, ნოკიას, ფილიფსს, ქსეროქსს და სხვა კომპანიებს. სილიკონის ველში წარმოდგენილი კომპანიებიდან გაყიდვების მიხედვით პირველი 15 კომპანიის საერთო გაყიდვებმა 2011 წლისათვის მიაღწია 600 მლრდ. აშშ. დოლარს¹⁰⁴.

3.3 ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის უარყოფითი ეფექტები და კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა

როგორც წინა თავებში ვნახეთ, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა მიმართულია საზოგადოების საკეთილდღეოდ: მათი საქმიანობა წარმოშობს უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებასა და ეფექტიანობას, მზარდ საშუალო შემოსავლებსა და ხელფასებს; საერთაშორისო კორპორაციები წარმოადგენენ ინვესტიციების მთავარ წყაროს, რომლის გარეშე შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკის ზრდა. ამასთან, საერთაშორისო კორპორაციები მნიშვნელოვან

¹⁰⁴ http://en.wikipedia.org/wiki/Silicon_Valley

როლს ასრულებენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, რაც აუცილებელია კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო კორპორაციების საქმიანობას თან ახლავს უარყოფითი სოციალური და ეკოლოგიური ეფექტები, რის გამოც ისინი ხშირად კრიტიკის საგანი ხდება.

„ცალკე აღებული არცერთი ბიზნესი არ ხორციელდება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ თუ ჩვენ ბიზნესს განვიხილავთ არა განცალკევებულად, არამედ ერთიანად, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ იგი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, რადგან ბიზნესი ერთიანობაში ქმნის იმ მატერიალურ და სულიერ პროდუქტებს, რომლის მომხმარებელია საზოგადოება... მაგრამ, ბიზნეს-საქმიანობას თან ახლავს უარყოფითი შედეგებიც, როგორცაა ბიზნესის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენება, სამყაროს დაბინძურება და სხვა“¹⁰⁵.

კორპორაციების ძალაუფლების ზრდა გახდა ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა.

ვაშინტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ბ. ქალენი თავის წიგნში, სახელწოდებით „საერთაშორისო ბიზნესი“, აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ბევრ უმსხვილეს კორპორაციას აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნებზე. მაგალითისათვის იგი ასახელებს ამერიკულ კორპორაცია „უოლ-მარტს“, რომლის შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება მრავალი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს. ქალენი იქვე აღნიშნავს, რომ კორპორაცია „ჯეი“-სა და „ფორდის“ ერთობლივი შემოსავალი აჭარბებს ისრაელის, პაკისტანისა და რუმინეთის ერთობლივ მშპ-ს“¹⁰⁶.

2010 წლის მსოფლიოს 100 უმსხვილესი ეკონომიკური სტრუქტურებიდან 40 არის კორპორაცია (ეფუძნება ქვეყნების მშპ-ების და კორპორაციების შემოსავლების შედარებას), (დანართი 15, ცხრილი 1). Wal-Mart Stores და Royal Dutch Shell არის უფრო დიდი ვიდრე დანია, ტაილანდი, კოლუმბია, საბერძნეთი და ვენესუელა; BP და Sinopec Group – უფრო დიდი ვიდრე ფინეთი, სინგაპური, მალაიზია, ნიგერია, ჰონგ კონგი,


¹⁰⁵ ი. მესხია, ბიზნესის საფუძვლები, თბ. 2011, გვ. 95-97

¹⁰⁶ J. B. Cullen and K. P. Parboteeah, International Business: Strategy and Multinational Company, New York, 2010, p. 452.

ისრაელი, ჩილე, პორტუგალია და China National Petroleum – უფრო დიდი, ვიდრე ეგვიპტე (დიაგრამა 33).

1999 და 2005 წლებთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდაა შემცირებული (1999 წელს იყო 51¹⁰⁷, ხოლო 2005 წელს – 49), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კორპორაციები კვლავაც ინარჩუნებენ თავიანთ ძალაუფლებას (დანართი 15, ცხრილი 2).

დიაგრამა 33. ქვეყნების მშპ და მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციების შემოსავლები (მლნ. დოლარი), 2010 წ.




შენიშვნა: ინგლისურ ენაზე მოცემულია კომპანიათა დასახელებები.

წყარო: მშპ – IMF, World Economic Outlook Database, September 2011; შემოსავლები – Global 500, 2011.

მსოფლიოს უმსხვილესი 100 კორპორაციის შემოსავლები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე საერთო გლობალური ეკონომიკური საქმიანობა. 2000-2010 წლებში მათი ერთობლივი გაყიდვები გაიზარდა 13%-დან 18%-მდე (დიაგრამა 34), (დანართი 16).

¹⁰⁷ S. Anderson and J. Cavanagh, Top 200: The Rise of Corporate Global Power, Oakland, CA: Institute for Policy Studies e-artilce: <http://corpwatch.org/article.php?id=377>

დიაგრამა 34. მსოფლიოს 100 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციის ერთობლივი შემოსავალი და მსოფლიო მშპ



წყარო: მსოფლიო მშპ – IMF, World Economic Outlook Database, April 2007, April 2011; 100 უმსხვილესი კომპანიის შემოსავლები – Global 500, 2001, 2011.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საერთაშორისო კორპორაციებს მიმღებ ქვეყანაში შეაქვთ ახალი ტექნოლოგიები, რასაც შუძლია გააუმჯობესოს მიმღები ქვეყნის მწარმოებლურობა და ხელი შეუწყოს მის ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, მათი ტექნოლოგიური უპირატესობა შეიძლება გადაიქცეს ბარიერად სხვა ადგილობრივი ფირმებისათვის ბაზარზე შესასვლელად. ეს კი განაპირობებს ტრანსნაციონალური კორპორაციების მონოპოლიურ მდგომარეობას.

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო კორპორაციები ქმნიან სამუშაო ადგილებს მიმღებ ქვეყანაში და სთავაზობენ უფრო მაღალ ხელფასებს, თუმცა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ღარიბ ქვეყნებში მუშებს შეიძლება ექსპლუატაციას უწევდნენ ტნკ-ები დაბალი ხელფასების, დამატებითი სამუშაო საათების და ცუდი სამუშაო პირობების გამო. Oxfam-ი – გლობალური მოძრაობა სიღარიბისა და უსამართლობის წინააღმდეგ – გამოკვლევის თანახმად, სპორტული ტანისამოსის მწარმოებელი კომპანიები მუშებს განვითარებად ქვეყნებში უხდიან მინიმალურ ხელფასებს და ხშირად აიძულებენ იმუშაონ მრავალი საათის განმავლობაში მძიმე – ხშირად სახიფათო – პირობებში, საშუალოდ 3 აშშ დოლარზე ნაკლები ანაზღაურებისათვის, თუმცა ისინი აწარმოებენ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე

ძვირადღირებულ და სასურველ ბრენდებს. სპორტული ტანისამოსის მწარმოებელი წამყვანი კომპანიები ყოველ წელს იღებენ მოგებას რამდენიმე მლრდ. დოლარის ოდენობით და არიან ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების სპონსორები, როგორცაა დევიდ ბექემი, მაიკლ ჯორდანი და სხვა, მაგრამ ეს კომპანიები დგანან მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ადამიანების „მხრებზე“. მაშინ როცა კომპანია „კუმას“ ერთი მაისური იყიდება 70 დოლარად, მუშამ, ვინც შექმნა ეს მაისური და თანაც იტანს მძიმე სამუშაო პირობებს, შეიძლება გამოიმუშაოს მხოლოდ 60 ცენტი საათში იმ ძალისხმევისათვის, რომელიც მან დახარჯა მისი შექმნისათვის. ყოველ წელს კომპანია „ნაიკი“ ელდრიქ ტონტ ვუდს – მსოფლიოში ცნობილ ამერიკელ გოლფის მოთამაშეს უხდის 25 მლნ. აშშ დოლარს, რათა რეკლამა გაუკეთოს მის პროდუქტებს. ნაიკი აგრეთვე არის ბევრი მაღალი დონის სპორტსმენისა და გუნდის სპონსორი მრავალმილიონიან გარიგებებში. ეს ყველაფერი მაშინ, როცა მუშები, რომლებიც ქმნიან მის პროდუქტს, იღებენ მწირ გასამრჯელოს და იტანენ მძიმე სამუშაო პირობებს. გამოვლინდა ფაქტები, რომ ნაიკი იყენებდა 11 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვების შრომას აზიაში, რათა ეწარმოებინა ფეხსაცმელები განსაკუთრებულად დაბალი ხელფასების პირობებში¹⁰⁸.

ინგლისელი მკვლევარი ჯონ მადელეი, თავის წიგნში „დიდი ბიზნესი და ღარიბი ხალხი“ ამტკიცებს, რომ ტნკ-ების საქმიანობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის კეთილდღეობაზე: მესიჯის „დასავლეთი საუკეთესოა“ გავრცელებით, ტნკ-ები ამცირებენ მოთხოვნას ადგილობრივად წამოებულ საქონელზე და ამით ზიანს აყენებენ ადგილობრივ მრეწველობას. ღარიბი მოსახლეობა ყიდულობს ტნკ-ების პროდუქტებს და ამავედროულად მუშაობენ კორპორაციებში იმ პირობებით, რომლებსაც კორპორაციები აწესებენ; ისინი ცხოვრობენ იმ სივრცეში, სადაც ტნკ-ები ფუნქციონირებენ და განიცდიან გარემოში მიმდინარე ცვლილებების ზეგავლენას, რომლებიც გამოწვეულია კორპორაციების არსებობით¹⁰⁹.

¹⁰⁸ Oxfam-ის (გლობალური მოძრაობა სიღარიბისა და უსამართლობის წინააღმდეგ) კვლევის მიხედვით <http://www.oxfam.org.au/explore/workers-rights>.

¹⁰⁹ Madeley J., Big Business, Poor Peoples: How Transnational Corporations Damage the World's Poor, London and New York, 2008, pages 7-8.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო კორპორაციები აიძულებენ მთავრობებს მიიღონ შეღავათიანი პირობები, როგორცაა შეღავათიანი საგადასახადო პირობები ინვესტიციების მოსაზიდად. ასეთი შეღავათები, კი როგორც წესი, ნიშნავს შემოსავლების დაკარგვას, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ადგილობრივ სოციალურ პროგრამებზე.

საერთაშორისო კორპორაციებს ხშირად აკრიტიკებენ სუსტი ეკოლოგიური რეგულაციებით ან ეკოლოგიური რეგულაციების საერთოდ არარსებობით სარგებლობისთვის და მიიჩნევენ, რომ არიან ჰაერისა და წყლის დაბინძურების მთავარი მიზეზი. ამრიგად, თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, მიზეზები, რის გამოც აკრიტიკებენ საერთაშორისო კორპორაციებს, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ✓ მსოფლიოს ბევრ უმსხვილეს კორპორაციას აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნებზე;
- ✓ საერთაშორისო კორპორაციები ბაზრებზე იკავებენ მონოპოლურ მდგომარეობას, მათი ტექნოლოგიური უპირატესობის გამო;
- ✓ საერთაშორისო კორპორაციები ექსპლოატაციას უწევენ ადამიანურ რესურსებს;
- ✓ მთავრობის მხრიდან საერთაშორისო კორპორაციები იღებენ მნიშვნელოვან შეღავათებს, რაც იწვევს სახელმწიფო შემოსავლების დაკარგვას;
- ✓ საერთაშორისო კორპორაციები ექსპლოატაციას უწევენ გარემოს.

ზემოაღნიშნულმა და სხვა მრავალმა პრობლემამ კორპორაციებს და, ასევე მთავრობას დაანახა, რომ მხოლოდ საკანონმდებლო ნორმები ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ტრანსნაციონალური კორპორაციები სცილდებიან მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრებს და ნერგავენ კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებს.

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის (ინგლისურად, Corporate Social Responsibility – CSR) ცნება თანდათან უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს. ტერმინს „კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა” სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ.

როულია ჩამოყალიბდეს მისი ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება, როცა განუწყვეტლივ მიმდინარეობს მისი ადაპტირება ბიზნესისა და საზოგადოების ცვალებად საჭიროებებთან და ტენდენციებთან. მიუხედავად, ზოგჯერ მწვავე შეუთანხმებლობებისა ძირითადი აზრი, რომელსაც კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ყველა მკვლევარი იზიარებს, არის ის, რომ ბიზნესს აქვს მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებაში.

ევროკომისია გვთავაზობს კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის შემდეგ განმარტებას: „კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა ესაა კომპანიების პასუხისმგებლობა საზოგადოებაზე მათი ზემოქმედებისათვის“¹¹⁰.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Organization for Standardization - ISO) განმარტების თანახმად, სოციალური პასუხისმგებლობა ესაა ორგანიზაციის პასუხისმგებლობა იმ ზემოქმედებისათვის, რასაც ახდენს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განხორციელებული საქმიანობა საზოგადოებასა და გარემოზე, გამჭვირვალე და ეთიკური ქცევის მეშვეობით, რაც:

- წვლილს შეიტანს მდგრად განვითარებაში, მათ შორის საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაში;
- გაითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს;
- შესაბამისობაში იქნება ქცევის საერთაშორისო ნორმებთან;
- დაინერგება მთელი ორგანიზაციის მასშტაბით და გამოყენებული იქნება მის ურთიერთობებში¹¹¹.

ზეგაგლენაში უნდა ვიგულისხმოთ დადებითი ან უარყოფითი ცვლილება საზოგადოებაში, ეკონომიკაში ან გარემოში, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გამოწვეულია ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული საქმიანობისაგან.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტივის (ISO 26 000) მიხედვით, სოციალური პასუხისმგებლობის მახასიათებლებია: საზოგადოების

¹¹⁰Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, European Commission, Brussels, 25.10.2011, p. 6.

¹¹¹ ISO, Guidance on social responsibility, International standard, 26000, 01.11.2010.

მოლოდინი, ჩართულობა, სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრირება და მდგრადი განვითარება.

ამავე დირექტივის თანახმად, სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისას ორგანიზაციების უპირველესი მიზანი უნდა იყოს, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მდგრად განვითარებას. ამ მიზნის ფარგლებში, ორგანიზაციებმა პატივი უნდა სცეს შვიდ პრინციპს. ესენია:

1. ანგარიშგაღებულება
2. გამჭვირვალობა
3. ეთიკური ქცევა
4. დაინტერესებული მხარეების (stakeholders) ინტერესების პატივისცემა
5. სამართლის წესების პატივისცემა
6. ადამიანის უფლებების პატივისცემა¹¹².

ორგანიზაციებმა თავიანთი ქცევა უნდა დააფუძნონ სტანდარტებზე, დირექტივებსა და წესებზე, რომლებიც შეესაბამება სამართლის მიღებულ პრინციპებს.

ამ საერთაშორისო სტანდარტის აღსრულებისას რეკომენდებულია, რომ ორგანიზაციამ გაითვალისწინოს სოციალური, ეკოლოგიური, სამართლებრივი, კულტურული და ორგანიზაციული განსხვავებულობა, ასევე განსხვავებები ეკონომიკური პირობებში ქცევის საერთაშორისო ნორმების შესაბამისად¹¹³.

ევროკავშირის კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ განახლებულ სტრატეგიასთან (2011-14 წლებისათვის) დაკავშირებით ევროკომისიის უწყების თანახმად, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) შესრულებისათვის კომპანიამ დროულად უნდა მოახდინოს თავის ბიზნეს-საქმიანობასა და ძირითად სტრატეგიაში ეკოლოგიური, ეთიკური, ადამიანისა და მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის პირობებში, რათა:

¹¹² ISO, Guidance on Social Responsibility, International Standard 26000, 01.11.2010, p. 3.

¹¹³ იქვე.

- ✓ ჩამოაყალიბოს ყველა დაინტერესებული მხარისა და ფართო საზოგადოების საერთო ღირებულებები;
- ✓ მოახდინოს შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირება, პრევენცია და შემსუბუქება.

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება უნდა წარიმართოს თვით ბიზნესის მიერ. საჯარო ხელისუფლებამ უნდა ითამაშოს მხარდამჭერი როლი. ნებაყოფლობითი პოლიტიკური დონისძიებების გონივრული ნაკრების მეშვეობით და იქ, სადაც აუცილებელია უზრუნველყოს დამატებითი რეგულირება. მაგალითად, გამჭვირვალობის ხელშეწყობა, წახალისებები პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმოებისათვის და სხვა.

კორპორაციის სოციალურ პასუხისმგებლობისადმი კორპორაციების განსაკუთრებული ყურადღება არ ყოფილა ბოლომდე ნებაყოფლობითი. ბევრმა კომპანიამ ის მხოლოდ მას შემდეგ შეიცნო, რაც გაკვირვებული დარჩა საზოგადოების რეაქციით იმ საკითხებზე, რომლებზეც მათ წინათ არც უფიქრიათ და რაც შეადგენდა თავიანთი ბიზნესის პასუხისმგებლობის ნაწილს. მაგალითად, კორპორაცია ნაიკი წააწყდა დიდ სამომხმარებლო ბოიკოტს მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკ თაიმსმა და სხვა მედია საშუალებებმა გადმოსცა 90-იან წლების დასაწყისში მისი სამარცხვინო შრომითი საქმიანობის შესახებ. 1995 წელს კორპორაცია როილ დათ შელის გადაწყვეტილებამ, ჩრდილოეთის ზღვაში ჩაეძირა ნავთობის მოძველებული აღჭურვილობა, გამოიწვია „გრინპისის (მწვანე მშვიდობის)“ პროტესტები და სხვა საერთაშორისო გამომხაურებები. ამასთან, როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე აქტივისტმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს პროტესტი საზოგადოებაზე ზეწოლის მიმართ, რათა იგი მიეწეროს კორპორაციებს. აქტივისტებმა შეიძლება მიზანში ამოიღონ ყველაზე ცნობადი და წარმატებული კომპანიები, რომ გაამახვილონ საზოგადოების ყურადღება სოციალურ საკითხებზე, მაშინაც კი თუ ამ კორპორაციებს რეალურად ექნებათ მხოლოდ მცირე ზეგავლენა ამ პრობლემებზე. მაგალითად, კორპორაცია „ნესტლე“ გახდა მთავარი სამიზნე გლობალურ დებატებში, რომელიც შეეხებოდა სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობას, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ნესტლეს ბოთლებში ჩამოსხმული წყლის გაყიდვები შეადგენს მსოფლიოს

სუფთა წყლის მიწოდების მხოლოდ 0,0008%-ს. ის, რომ აგროკულტურული ირიგაციის გაუმართაობის გამო ყოველწლიურად იკარგება მსოფლიო წყლის მიწოდების 70%, არის გაცილებით მწვავე საკითხი, მაგრამ ეს არ არის მათთვის ისეთი ხელსაყრელი, როგორც მულტინაციონალური კორპორაციები, რომ მათთვის გახდეს სამიზნე¹¹⁴.

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის მომხრეების 4 ძირითად არგუმენტს წარმოადგენს: 1. მორალური ვალდებულება. 2. მდგრადი განვითარება. 3. ნებაართვა საქმიანობაზე და 4. რეპუტაცია. გონივრულია აღნიშნული არგუმენტები, მაგრამ არცერთი მათგანი არ სცემს პასუხს კორპორაციის ღიდერებს კითხვაზე, თუ როგორც უნდა მოახდინონ თავიანთ კორპორაციაში კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის რელიზება. მორალური ვალდებულება – „მტკიცება, რომ კომპანიები არიან ვალდებულნი იყვნენ კარგი მოქალაქეები და აკეთონ „სამართლიანი საქმეები“ – წარმოდგენილია აშშ-ში კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის წამყვანი არაკომერციული ბიზნეს-ასოციაციის მიერ ჩამოყალიბებულ მიზანში, ის თავის წევრებს მოუწოდებს „მიადწიონ კომერციულ წარმატებას იმ გზით, რომელიც პატივს სცემს ეთიკურ ფასეულობებს, ხალხს, საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს“. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის სფერო რჩება ძლიერ გაჯერებული მორალური საწყისებით. ზოგიერთ სფეროში, როგორცაა პატიოსნება ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციების ასახვაში, მორალური მოსაზრებები ადვილი გასაგებია. თუმცა კორპორაციის სოციალური არჩევანის უმეტესობა მოიცავს კომპანიის ფასეულობების, ინტერესების და ხარჯების დაბალანსებას. მაგალითად, კომპანია გუგლის ბოლოდროინდელმა შესვლამ ჩინეთში, გამოიწვია შეურიგებელი კონფლიქტი მის აშშ-ის მომხმარებლების ცენზურასა და ჩინეთის მთავრობის მიერ დადგენილ სამართლებრივ შეზღუდვებს შორის. მორალური აღრიცხვა, რომელიც აწონის ერთ სოციალურ სარგებელს სხვის ან მისი ფინანსური დანახარჯების საპირისპიროდ, ჯერ კიდევ არაა განვითარებული. მდგრადი განვითარება ხაზს უსვამს ეკოლოგიურ და საზოგადოებრივ მმართველობას. თუმცა ხშირ შემთხვევაში მდგრადობის ცნება

¹¹⁴ M. E. Porter and M. R. Kramer, Strategy and Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility, Harvard Business Review, December, 2006, p. 2.

შეიძლება გახდეს ბუნდოვანი და უზნო. შეიძლება ითქვას, რომ გამჭვირვალობა არის უფრო მეტად „მდგრადი“, ვიდრე კორუფცია, კარგი სამუშაო პირობები არის უფრო მეტად „მდგრადი“, ვიდრე ქარხნები, სადაც მძიმე სამუშაო პირობებია. ფილანტროპიამ შეიძლება წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრადი განვითარებაში. თუმცა ამგვარი მიდგომა მართებულია, იგი გვთვავსობენ მცირე საფუძველს გრძელვადიანი მიზნებისა და მოკლევადიანი ხარჯების დაბალანსებისათვის. საქმიანობაზე ნებართვის ცნება წარმოიშვა ფაქტიდან, რომ ყოველ კომპანიას სჭირდება აშკარა ან ნაგულისხმევი ნებართვა მთავრობის, საზოგადოების და ბევრი სხვა დაინტერესებული მხარისაგან, რომ აწარმოოს ბიზნესი. და ბოლოს, რეპურაცია გამოიყენება ბევრი კომპანიის მიერ მიზეზად, რომ გაამართლოს კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივები იმ საფუძველით, რომ ისინი გააუმჯობესებს კომპანიის იმიჯს, გააძლიერებს მის ბრენდს, გამოაცოცხლებს მორალს და მისი აქციების ღირებულებასაც კი გაზრდის. საქმიანობაზე ნებართვის მიდგომა გაცილებით უფრო პრაგმატულია. ის გვთვავსობს უფრო კონკრეტულ გზას ბიზნესისათვის, რომ მოახდინოს იმ სოციალური საკითხების იდენტიფიცირება, რაც მნიშვნელოვანია მისი დაინტერესებული მხარეებისათვის და მიიღოს გადაწყვეტილება მათ შესახებ. ეს მიდგომა აგრეთვე ხელს უწყობს კონსტრუქციულ დიალოგს მარეგულირებლებთან, ადგილობრივ მოქალაქეებთან და აქტივისტებთან – შესაძლოა იყოს ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომაც არის ეს განსაკუთრებით გავრცელებული იმ კომპანიებს შორის, რომლებიც დამოკიდებულია მთავრობის თანხმობაზე, როგორებიცაა კომპანიები სამთო და სხვა მაღალ დონეზე რეგულირებად და მომპოვებელ მრეწველობაში. თუმცა, დაინტერესებული მხარეების დაკმაყოფილების მცდელობაში კომპანიები თავიანთი კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის დღის წესრიგის პირველად კონტროლს გარეშე პირებს უთმობენ. დაინტერესებული მხარეების შეხედულებები რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ჯგუფები ვერასდროს შეძლებენ სრულად მიხედნენ კორპორაციის შესაძლებლობებს, მის კონკურენტულ მდგომარეობას, ან კომპრომისს, რომელზეც იგი უნდა წავიდეს. არც დაინტერესებული მხარეების ჯგუფების მიერ რაიმე საკითხით გატაცება ნიშნავს აუცილებლად, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანია - ან კომპანიისთვის და ან მსოფლიოსთვის. ფირმებს, რომლებიც

კორპორაციის სოციალურ პასუხისმგებლობას უყურებენ, როგორც გავლენის ჯგუფების დასაშოშმინებელ საშუალებას, ხშირად გამოსდით, რომ ეს მიდგომა გადადის მოკლევადიანი თავდაცვითი რეაქციების სერიებში. დაბოლოს, რეპუტაციის არგუმენტი ეძებს სტრატეგიულ სარგებელს, მაგრამ იშვიათად პოულობს მას. რეპუტაციასთან დაკავშირებული საკითხები, საქმიანობაზე ნებართვების მსგავსად, ფოკუსირდება გარე აუდიტორიის დაკმაყოფილებაზე. მომხმარებელზე ორიენტირებულ კომპანიებში მას ხშირად მივყავართ ფართო მასშტაბიან მარკეტინგულ კამპანიასთან. სტიგმატიზებულ დარგებში, როგორცაა ქიმიური და ენერგეტიკული, ამის ნაცვლად კომპანიამ შეიძლება განახორციელოს სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივები, როგორც დაზღვევის ფორმა, იმ იმედით რომ მისი რეპუტაცია სოციალური ცნობიერებისათვის დაარეგულირებს საზოგადოების კრიტიკას კრიზისის შემთხვევაში¹¹⁵.

ოთხივე აზრის სკოლას აქვს ერთიდაიგივე სისუსტე: ისინი ფოკუსირდებიან დაძაბულობაზე საზოგადოებასა და ბიზნესს შორის და არა მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე. თითოეული ქმნის ზოგად ლოგიკას, რომელიც არ არის მიბმული რომელიმე კონკრეტული კომპანიის სტრატეგიასა და საქმიანობაზე ან იმ ადგილმდებარეობაზე, სადაც ის საქმიანობს.

მაშასადამე, არც ერთი მათგანი არ არის დამაკმაყოფილებელი იმისათვის, რომ დაეხმაროს კომპანიას იმ სოციალურ საკითხების იდენტიფიცირებაში, პრიორიტეტის მინიჭებასა და შესრულებაში, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ან რომელთა გადაწყვეტა მას ყველაზე უკეთ შეუძლია. ხშირ შემთხვევაში კომპანიის სტრატეგიისაგან გათიშული, არაკორდინირებული კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობისა და ფილანტროპიული საქმიანობის ნარევეს, რომელსაც არც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს და არც აძლიერებენ ფირმის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას. შინაგანად, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის¹¹⁶ საქმიანობა და ინიციატივები ხშირად არის იზოლირებული ფუნქციონირებადი ერთეულებისაგან – და გამოცალკევებულიც კი კორპორაციის ქველმოქმედებისაგან.

¹¹⁵ M. E. Porter and M. R. Kramer, Strategy and Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility, Harvard Business Review, December, 2006, page 3.

¹¹⁶ იქვე.

გარეგნულად, კომპანიის სოციალური ზეგავლენა ხდება გაბნეული მრავალ დაუკავშირებელ ღონისძიებას შორის, რომელთაგან თითოეული პასუხობს სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფს ან კორპორაციის ზეწოლის განსხვავებულ წერტილს.

ამ ფრაგმენტაციას შედეგად შეიძლება მოჰყვეს უზარმაზარი დანაკარგი. კორპორაციების ძალა, რომ შექმნან სოციალური სარგებელი, არის ამაოდ გაფლანგული და ასევე კომპანიების პოტენციალი, განახორციელონ ქმედებები, რაც ხელს შეუწყობდა როგორც მათ საზოგადოებას, ისე მათ ბიზნეს-მიზნებს.

მსოფლიოში ცხოვრილი მეცნიერები, მიშელ პორტერი და მარკ კრამერი მიიჩნევენ, რომ კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ჩვენ უნდა ვეძიოთ კორპორაციასა და საზოგადოების შორის ურთიერთდამოკიდებულებაში და, ამავე დროს, განვამტკიცოთ ის კონკრეტული კომპანიების სტრატეგიებსა და საქმიანობებში. ეს არის ძირითადი ორიენტირი, რომელიც გაიყვანს კომპანიებს იმ უწესრიგობისაგან, რაც მათმა ამჟამინდელმა კორპორაციული პასუხისმგებლობის აზროვნებამ შეიქმნა. ისინი თავიანთ ნაშრომში, სახელწოდებით „სტრატეგია და საზოგადოება: კავშირი კონკურენტულ უპირატესობასა და კორპორაციის სოციალურ პასუხისმგებლობას შორის“¹¹⁷, აღნიშნავენ, რომ წარმატებულ კორპორაციებს სჭირდებათ ჯანმრთელი საზოგადოება. განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და თანაბარი შესაძლებლობები არის არსებითი ნაყოფიერი სამუშაო ძალისათვის. უსაფრთხო პროდუქტები და სამუშაო პირობები არა მხოლოდ იზიდავს კლიენტებს, არამედ ამცირებს უბედური შემთხვევების შიდა დახარჯებს. მიწის, წყლის, ენარგიის და სხვა ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება ბიზნესს ხდის უფრო მეტად ნაყოფიერს. კარგი მთავრობა, სამართლის უზენაესობა და საკუთრების უფლებები არსებითია ეფექტიანობისა და ინოვაციებისათვის. ძლიერი მარეგულირებელი სტანდარტები ექსპლოატაციისაგან იცავენ როგორც მომხმარებლებს ისე კომპანიებს. საბოლოო ანგარიშით, ჯანმრთელი საზოგადოება ქმნის მზარდ მოთხოვნას, რამდენადაც უფრო მეტი ადამიანური მოთხოვნილებები კმაყოფილდება და მისწრაფებები იზრდება. ნებისმიერი ბიზნესისათვის, რომელიც საბოლოოდ მიდის

¹¹⁷ M. E. Porter and M. R. Kramer, Strategy and Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility, Harvard Business Review, December, 2006.

საზოგადოების დაზარალებამდე, რომელშიც იგი ფუნქციონირებს, წარმატება იქნება მოჩვენებითი და დროებითი. ამავე დროს, ჯანმრთელ საზოგადოებას სჭირდება წარმატებული კომპანიები, ვერცერთი სოციალური პროგრამა ვერასდროს შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ბიზნესის სექტორს სამუშაო ადგილების, დოვლათისა და ინოვაციების შექმნაში, რაც დროთა განმავლობაში აუმჯობესებს ცხოვრების დონეს და სოციალურ პირობებს. თუ მთვრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა მონაწილეები შეასუსტებენ ბიზნესის უნარს იფუნქციონიროს ნაყოფიერად, მათ შეიძლება მოიგონ ბრძოლა, მაგრამ წააგებენ ომს, რადგან კორპორაციული და რეგიონული კონკურენტუნარიანობა გაქრება, მოხდება ხელფასების სტაგნაცია, დაიკარგება სამუშაო ადგილები და დოვლათი, რომელიც იხდის გადასახადებს და ახორციელებს შემოწირულობებს, აღარ იარსებებს.

ლიდერებმა, როგორც ბიზნესში ისე სამოქალაქო საზოგადოებაში, მეტისმეტი ფოკუსირება მოახდინეს მათ შორის უთანხმოებაზე და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათი ინტერესების შეხების წერტილებს. მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულება კორპორაციებსა და საზოგადოებას შორის მოითხოვს, რომ როგორც ბიზნეს-გადაწყვეტილებები ისე საზოგადოებრივი პოლიტიკები უნდა ითვალისწინებდეს ზიარი ფასეულობების პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ არჩევანმა უნდა ასარგებლოს ორივე მხარე. თუ ერთ-ერთი მათგანი, ბიზნესი ან საზოგადოება, გაატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ასარგებლებს თავიანთ ინტერესებს სხვის ხარჯზე, ისინი თვითონვე შევლენ საშიშ ფაზაში. დროებითი სარგებელი ერთისა, ჩაანაცვლებს ორივეს გრძელვადიან პერსპექტივას.

პრაქტიკაში რომ გადავიტანოთ ეს პრინციპები, კომპანიამ უნდა მოახდინოს სოციალური პერსპექტივის ინტეგრირება იმ ძირითად ჩარჩოებში, რომელსაც ის უკვე იყენებს კონკურენციის გაგებაში და რომლითაც ის ხელმძღვანელობს თავის ბიზნეს სტრატეგიას.

ურთიერთდამოკიდებულება ბიზნესსა და საზოგადოებას შორის იღებს ორ ფორმას. პირველ რიგში, კომპანია მისი ჩვეულებრივი საქმიანობით ეჯახება საზოგადოებას: არსებობს შიგნიდან გარეთ მიმართული კავშირები. ვირტუალურად ყველა საქმიანობა, რომელიც შედის კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვში, ეხება საზოგადოებას, რომელშიც ფორმა ფუნქციონირებს, რასაც აქვს დადებითი ან

უარყოფითი შედეგები. იმ დროს როცა კომპანიები თანდათან აცნობიერებენ თავიანთი საქმიანობის სოციალურ ზემოქმედებას (როგორცაა გამონაბოლქვი, ნარჩენების გამოყოფა), ეს ზემოქმედებები შეიძლება იყოს უფრო მსუბუქი და ცვლადი, ვიდრე ბევრ მენეჯერს წარმოუდგენია. ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ისინი დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე. მაგალითად, ჩინეთსა და აშშ-ში ერთი და იგივე საწარმოს საქმიანობას ექნება ძალზე განსხვავებული სოციალური შედეგები. არა მხოლოდ კორპორაციების საქმიანობა ახდენს ზეგავლენას საზოგადოებაზე, არამედ გარე სოციალური პირობებიც აგრეთვე ახდენს გავლენას კორპორაციებზე, ამჯობებს და აუარესებს. აქ არის გარედან შიგნით კავშირები. ყოველი კომპანია ფუნქციონირებს კონკურენტული კონტექსტში, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის შესაძლებლობაზე შეასრულოს მისი სტრატეგია, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში. სოციალური პირობები შეადგენენ ამ კონტექსტის ძირითად ნაწილს¹¹⁸.

კონკურენტული კონტექსტი შეიძლება დაიყოს ოთხი სფეროდ: პირველი, წარმოების საშუალებების – მაგალითად, ადამიანური რესურსები ან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. მეორე, წესები და სტიმულები, რომლებიც წარმართვენ კონკურენციას – როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის და ინვესტიციების წახალისების პოლიტიკა; მესამე, ადგილობრივი მოთხოვნის მოცულობა და პრეტენზიულობა, რომელზეც გავლენას ახდენს ისეთი საკითხები, როგორცაა პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტები, მომხმარებელთა უფლებები; და სამართლიანობა სამთვრობო შესყიდვებში; მეოთხე, დარგის ხელშეწყობის ადგილობრივი შესაძლებლობა, როგორცაა მომსახურების მომწოდებლები და ტექნიკის მწარმოებლები. თითოეული ეს ასპექტი შეიძლება იყოს შესაძლებლობა კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივისათვის. მაგალითად, შესაძლებლობა, რომ მოიზიდოს სათანადო ადამიანური რესურსები, შესაძლოა დამოკიდებული იყოს მთელ რიგ სოციალურ ფაქტორებზე, რომლებზეც კომპანიებს შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ, როგორცაა ადგილობრივი

¹¹⁸ M. E. Porter and M. R. Kramer, Strategy and Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility, Harvard Business Review, December, 2006, p. 7.

საგანმანათლებლო სისტემა, დაბინავეების შესაძლებლობა, დისკრიმინაციის არარსებობა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ადეკვატურობა.

არცერთ ბიზნესს არ შეუძლია გადაჭრას საზოგადოების ყველა პრობლემა ან თავისთავზე აიღოს ყველა ის ხარჯი, რაც საჭიროა ამის გასაკეთებლად. ამის ნაცვლად, თითოეულმა კომპანიამ უნდა შეარჩიოს ის საკითხები, რომელსაც შეხება აქვს მის კონკრეტულ ბიზნესთან. სხვა სოციალური დღისწესრიგები გამოადგებათ იმ კომპანიებს, რომლებიც არიან სხვა დარგებში, არასამთვრობოებში ან სამთვრობო ინსტიტუტებში, რომლებსაც უკეთესი პოზიცია უკავიათ, რომ უპასუხონ მათ. საერთო სოციალური საკითხები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საზოგადოებისათვის, მაგრამ არც კომპანიის ფუნქციონირება ახდენდეს მასზე მნიშვნელოვან ზეგავლენას და არც ისინი ახდენდენ გავლენას კომპანიის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობაზე. ღირებულებათა ჯაჭვის სოციალური ზემოქმედება არის ის, რაზეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობა. კონკურენტული კონტექსტის სოციალური განზომილება არის გარე გარემოს ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობის ზემოთაღნიშნული განმაპირობებლებზე (ფაქტორები) იმ ადგილმდებარეობებში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს.

ნახშირბადის გამოფრქვევა შეიძლება იყოს საერთო სოციალური საკითხი ფინანსური მომსახურების ფირმისათვის, როგორცაა ამერიკის ბანკი, ღირებულებათა ჯაჭვის უარყოფითი ზემოქმედება ტრანსპორტირებაზე დაფუძნებული კომპანიისათვის, როგორცაა UPS, ან როგორც ღირებულებათა ჯაჭვის ზეგავლენა, ისე კონკურენტული კონტექსტის საკითხი მსუბუქი ავტომობილების მწარმოებლისათვის, როგორცაა მაგალითად, ტოიოტა. ისეთი ფართო ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხსაც კი, როგორცაა ენერჯის დაზოგვა, შეიძლება ჰქონდეს უფრო დიდი მნიშვნელობა ზოგიერთი დარგისთვის, ვიდრე სხვა დარგისათვის. მაგალითად, ჯანდაცვის შეღავათებს უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს კომპიუტერული ან ბიოტექნოლოგიური ფირმებისათვის, სადაც სამუშაო ძალა არის ცოტა და კარგად ანაზღაურებადი, ვიდრე კომპანიებისათვის, რომლებიც არიან ისეთ სფეროში, როგორცაა საცალო ვაჭრობა, რომელიც მჭიდროდაა დამოკიდებული დიდი რაოდენობის დაბალხელფასიან სამუშაო ძალაზე.

დარგის შიგნით, სხვადასხვა კომპანიისათვის, რომლებიც ფლობენ განსხვავებულ კონკურენტულ პოზიციას, მოცემული სოციალური საკითხი შეიძლება სხვადასხვაგვარად გადაიჭრას. მაგალითად, ავტონდუსტრიაში ვოლვომ გადაწყვიტა უსაფრთხოება გახადოს მისი კონკურენტული პოზიციების ცენტრალური ელემენტი, მაშინ როცა ტოიოტამ შექმნა კონკურენტული უპირატესობა მისი ჰიბრიდული ტექნოლოგიის ეკოლოგიური სარგებლიანობიდან. ცალკეული კომპანიისათვის ზოგიერთი საკითხი შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი მისი მრავალი ბიზნეს ერთეულისათვის და ადგილმდებარეობისათვის, რომლებიც კორპორაციისათვის იძლევა მასშტაბის ეკონომიის ინიციატივების შესაძლებლობებს.

როცა სოციალური საკითხი ეხება სხვადასხვა დარგის მრავალ კომპანიას, მასზე შეიძლება ყველაზე ეფექტიანი რეაგირება მოვახდინოთ კოოპერატიული მოდელებით. მაგალითად, მომპოვებელი დარგების გამჭვირვალობის ინიციატივა მოიცავს 19 უმსხვილეს ნავთობის, გაზის და სამთო კომპანიას, რომლებიც შეთანხმდნენ შეეზღუდათ კორუფცია კორპორაციების მიერ მთავრობებისათვის გადახდილი თანხების შემოწმებითა და საჯარო მხილებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი ფუნქციონირებენ. ამ დარგებში ყველა ძირითადი კორპორაციის მიერ განხორციელებულმა კოლექტიურმა მოქმედებამ თავიდან ააცილა მათ კორუმპირებული მთავრობები უბრალო არჩევანის მეშვეობით, რომ საქმე არ დაეჭირათ იმ ფირმებთან, სადაც დაფიქსირდა ფულის გადახდის ფაქტები.

სოციალური საკითხების კატეგორიებად დალაგება არის მხოლოდ იმის მიღწევის საშუალება, რაც არის სწორი და სარგებლის მომტანი კორპორატიული სოციალური დღის წესრიგის შექმნა. კორპორატიული სოციალური დღის წესრიგი საერთო (საზოგადოებრივი) მოლოდინების მიღმა ხედავს იმის შესაძლებლობას, რომ მიაღწიოს სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს ერთდროულად. ის მოძრაობს ზიანის შემამსუბუქებელი გზების მონახვიდან სოციალური პირობების გაუმჯობესების მეშვეობით კორპორატიული სტრატეგიის გაძლიერებამდე. ასეთი სოციალური დღისწესრიგი უნდა იყოს პასუხისმგაბელი დაინტერესებული მხარეებთან, მაგრამ მას არ შეუძლია აქ გაჩერება. კორპორატიული რესურსების და ყურადღების არსებითი ნაწილი უნდა გადავიდეს ჭეშმარიტად სტრატეგიულ კორპორაციის სოციალურ პასუხისმგებლობაზე. კომპანია სწორედ მისი მეშვეობით

მოახდენს ყველაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას და მიიღებს ყველაზე დიდ ბიზნეს-სარგებელს.

პასუხისმგებლიანი კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: მოქმედება, როგორც კარგი კორპორატიული მოქალაქე, რომელიც დაინტერესებულია იმ წარმოქმნილი სოციალური პრობლემებით, რომლებიც ეხება დაინტერესებულ მხარეებს (სტეიკჰოლდერებს) და ბიზნეს-საქმიანობიდან არსებული და შესაძლო უარყოფითი შედეგების შემსუბუქებით.

ბევრი ღირსეული ადგილობრივი ორგანიზაცია ეყრდნობა კორპორატიულ შემოწირულობებს და თანამშრომლები ამაყობენ თვიანთი კომპანიის პოზიტიური ჩართულობით საზოგადოებაში.

საუკეთესო კორპორატიული მოქალაქეობის ინიციატივები გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ჩეკების გამოწერა: ნათელი, გაზომვადი მიზნების და მუდამ კონტროლირებადი შედეგების ჩამოყალიბება. კარგი მაგალითია კომპანია „GE“-ის პროგრამა მის რამდენიმე ამერიკულ ფილიალთან ახლოს არაფორმალური საჯარო უმაღლესი სკოლების დაარსებაზე. კომპანიამ გაიღო 250 000 დოლარიდან 1 მლნ დოლარამდე თითოეულ სკოლაზე ხუთი წლის განმავლობაში და განახორციელა მატერიალური შემოწირულობებიც. კომპანია „GE“-ის მენეჯერებმა და თანამშრომლებმა აქტიური როლი შეასრულეს სკოლის ადმინისტრატორებთან მუშაობით, რათა შეეფასებინათ მოთხოვნები და ეხელმძღვანელათ ან ტუტორობა გაეწიათ სტუდენტებისათვის. 10 სკოლის დამოუკიდებელმა კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებლის ზრდის თვალსაზრისით 1989-1999 წლებში. ასეთი ეფექტიანი კორპორატიული მოქალაქეობის ინიციატივები ქმნის გუდვილსა და აუმჯობესებს ურთიერთობებს ადგილობრივ მთავრობასთან და სხვა მნიშვნელოვან ამომრჩევლებთან. რაც უფრო მეტს ნიშნავს არის ის, რომ თანამშრომლები ამაყობენ თვიანთი მონაწილეობით, თუმცა მათი წვლილი არის მოკრძალებული. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად სარგებლიანია პროგრამა, ის რჩება უმნიშვნელოდ კომპანიის ბიზნესისათვის და

პირდაპირი ეფექტი კომპანია „GE“-ის მიმზიდველობაზე და შენარჩუნებაზე არის მოკრძალებული¹¹⁹.

მეორე ნაწილი პასუხისმგებელი კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) არის ზიანის შემსუბუქება, რომელიც წარმოიქმნება ფირმის ღირებულებათა ჯაჭვის საქმიანობიდან. რადგან თითოეული ბიზნეს-ერთეულისათვის არსებობს ღირებულებათა ჯაჭვის შესაძლო ზემოქმედებების საფრთხე, ბევრმა კომპანიამ შეიმუშავა უამრავი მიდგომა CSR-ისადმი, რომელიც ეფუძნება სოციალური და ეკოლოგიური რისკების სტანდარტული ნაკრებს. გლობალური ანგარიშგების ინიციატივა, რომელიც სწრაფად ხდება სტანდარტი CSR ანგარიშებისათვის, მოიცავს 141 CSR საკითხის ჩამონათვალს, რაც შევსებულია დამატებითი ჩამონათვალებით სხვადასხვა დარგებისათვის. ამგვარი ჩამონათვალები ქმნის შესანიშნავ საწყის წერტილს, მაგრამ კომპანიებს სჭირდებათ უფრო მეტად აქტიური და მკაცრი შიდა პროცესები. მენეჯერებს თითოეულ ბიზნეს-ერთეულში შეუძლიათ გამოიყენონ ღირებულებათა ჯაჭვი, რათა სისტემატიურად მოახდინონ ერთეულის საქმიანობის სოციალური ზემოქმედებების იდენტიფიცირება თითოეულ ადგილმდებარეობაში. აქ ოპერაციული მენეჯმენტი არის განსაკუთრებით გამოსადეგი. ყველაზე რთული არის წინასწარ განსაზღვროს ის ზემოქმედებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული. განვიხილოთ, კომპანია „B&Q“, საერთაშორისო ქსელი, რომელიც დაფუძნებულია ინგლისში. კომპანიამ დაიწყო ათობით ათასი პროდუქტის სისტემატური ანალიზი მის ასობით მაღაზიაში სოციალური საკითხის ვრცელი ჩამონათვალის მიხედვით – კლიმატური ცვლილებიდან სამუშაო პირობებამდე მისი მიმწოდებლების ფაბრიკებში – რათა განესაზღვრა, რომელი პროდუქტი აყენებს პოტენციურ სოციალურ პასუხისმგებლობის რისკებს და როგორ შეუძლია კომპანიას მიიღოს ზომები ვიდრე განხორციელდება რაიმე გარე ზეწოლა, რომ თავის თავზე აიღოს რისკებზე პასუხისმგებლობა.

სტრატეგიული CSR მიდის კარგი კორპორატიული მოქალაქეობის მიღმა და ამსუბუქებს ღირებულებათა ჯაჭვის საზიანო ზემოქმედებებს, რათა გაზარდოს იმ ინიციატივების მცირე რიცხვი, რომლის სოციალური და ბიზნეს სარგებელი არის

¹¹⁹ M. E. Porter and M. R. Kramer, Strategy and Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility, Harvard Business Review, December, 2006, page 9-10.

ფართო და განსაკუთრებული. სტრატეგიული CSR მოიცავს როგორც შიგნიდან გარეთ და გარედან შიგნით მიმართულ (inside-out და outside-in) განზომილებებს, რომლებიც ერთმანეთზე არის გადაჯაჭვული.

პიონერი ინოვაციებისათვის ბევრი შესაძლებლობა, რომელიც სარგებელს მოუტანს როგორც საზოგადოებას, ისე კომპანიის კონკურენტუნარიანობას, შეიძლება წარმოიშვას მის პროდუქტში და ღირებულებათა ჯაჭვში. ტოიოტას რეაგირება ავტომობილის გამონაბოლქვის საკითხზე არის კარგი მაგალითი. ტოიოტას პრუსი (Prius), ელექტრო-ბენზინის ჰიბრიდული სატრანსპორტო საშუალება, არის პირველი ინოვაციური ავტომობილების მოდელების სარიებში, რომელმაც წარმოშვა კონკურენტული უპირატესობა და ეკოლოგიური სარგებელი. ჰიბრიდული ძრავები გამოყოფს იმ საზიანო დამაბინძურებლების მხოლოდ 10%, რასაც გამოიმუშავენ ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალება, მაშინ როცა მოიხმარს იმავე ოდენობის გაზის მხოლოდ ნახევარს. Urbi-მ, მექსიკურმა სამშენებლო კომპანიამ, წარმატებას მიაღწია სახლების მშენებლობით სოციალურად დაუცველი მყიდველებისათვის, რომლებიც იყენებენ ახალ ფინანსურ საშუალებებს, როგორცაა მოქნილი იპოთეკური გადასახადები, რომლებიც ხორციელდება სახელფასო გამოქვითვებით. Credit Agricole, გამოირჩევა სპეციალიზირებული ფინანსური მომსახურების პროდუქტების შეთავაზებით, რომელიც უკავშირდება გარემოს დაცვას, როგორცაა ფინანსური მომსახურების პაკეტი ენერჯის დამზოგავი საოჯახო მოწყობების შესაძენად და ფერმებისათვის აუდიტორიული შემოწმების განსახორციელებლად, როთა მოახდეს მათი სერთიფიცირება, როგორც ორგანული პროდუქტების მწარმოებელი ფირმების.

სტრატეგიული CSR აგრეთვე „გზას უხსნის“ ზიარ ფასეულობებს კონკურენტული კონტექსტის სოციალურ ასპექტებში ინვესტირების მეშვეობით, რაც აძლიერებს კომპანიის კონკურენტუნარიანობას. სიმბიოზური ურთიერთობა გვაძლევს განვითარებას: კომპანიის და საზოგადოების წარმატება ხდება ურთიერთგანამტკიცებელი. ასევე, რაც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალური საკითხი კომპანიის ბიზნეს-საქმიანობასთან, მით უფრო დიდია შესაძლებლობა ფირმის რესურსებისა და სიმძლავრეების მეტ მოცულობას მოვაღწიოთ და სარგებელი მოვუტანოთ საზოგადოებას.

მაიკროსოფტის მუშათა კავშირის პარტნიორობა კოლეჯების გაერთიანების ამერიკული ასოციაციასთან არის კარგი მაგალითი ზიარი ღირებულების შესაძლებლობის, რომელიც წარმოიშვა კონკურენტულ კონტექსტში ინვესტიციებიდან. საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობის სამუშაო ძალის უკმარისობა არის მნიშვნელოვანი დაბრკოლება მაიკროსოფტის ზრდისათვის: ამჟამად, არსებობს 450 000 ვაკანტური IT პოზიცია მარტო აშშ-ში. კოლეჯების გაერთიანებას, სადაც რეგისტრირებულია 11,6 მლნ. სტუდენტი, რომლებიც წარმოადგენენ აშშ-ის მთლიანი კურსდამთავრებულების 45%, შეეძლო ყოფილიყო ძირითადი პრობლემის გადაჭრის საშუალება. თუმცა მაიკროსოფტი აცნობიერებს, რომ კოლეჯების გაერთიანება აწყდება განსაკუთრებულ სირთულეებს: IT კურიკულუმში არ არის სტანდარტიზებული, 26 ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება საკლასო ოთხებში არის ხშირად მოძველებული და სისტემატურად არ ხდება პროგრამების პროფესიონალური განვითარება, რათა ფაკულტეტი იყოს ყოველთვის თანამედროვე¹²⁰.

კორპორაცია მაიკროსოფტის 50 მლნ. დოლარიანი ხუთწლიანი ინიციატივა მიზნად ისახავდა სამივე პრობლემას. ფულისა და პროდუქტების შემოწირულობასთან ერთდ, მაიკროსოფტმა გააზავნა თავისი თანამშრომლები მოხალისეებად კოლეჯში, რათა შეეფასებინათ საჭიროებები, წვლილი შეეტანათ კურიკულუმის განვითარებაში და შეექმნათ ფაკულტეტის განვითარების ინსტიტუტები. შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში, მოხალისეებს და დანიშნულ თანამშრომლებს შეეძლოთ გამოეყენებინათ თავიანთი ძირითადი პროფესიული უნარები, რათა დაეკმაყოფილებინათ სოციალური საჭიროებები, რაც დიდად განასხვავებს ამ პროგრამას ტიპური მოხალისეების პროგრამებისაგან. მაიკროსოფტმა მიაღწია შედეგებს, რომელმაც სარგებელი მოუტანა ბევრ საზოგადოებას, მაშინ როცა მას აქვს დიდი პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედება კომპანიაზე.

როცა ღირებულებათა ჯაჭვის საქმიანობები და ინვესტიციები კონკურენტულ კონტექსტში არის სრულიად ინტეგრირებული, ძნელი ხდება CSR-ის განსხვავება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობისაგან. მაგალითად, ნესტლე მუშაობს პირდაპირ მცირე ფერმერებთან განვითარებად ქვეყნებში, რათა მომარაგდეს ძირითადი საქონლით,

¹²⁰ M. E. Porter and M. R. Kramer, Strategy and Society: The Link Between Competitive Advantage and Corporate Social Responsibility, Harvard Business Review, December, 2006, p. 9.

როგორცაა: რძე, კაკაო და ყავა, რომელზეც მისი გლობალური ბიზნესი დიდადაა დამოკიდებული. კომპანიის ინვესტიციამ ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში და ცოდნისა და ტექნოლოგიის ტრანსფერმა ათწლეულების განმავლობაში წარმოშვა უზარმაზარი სოციალური სარგებელი ჯანმრთელობის დაცვის, უკეთესი განათლებისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მაშინ როცა ნესტლეს პირდაპირი და საიმედო წვდომა საქონელზე მას სჭირდება, რათა შეინარჩუნოს გლობალური ბიზნესის მომგებიანობა. ნესტლეს განსხვავებული სტრატეგია არის მისი სოციალური ზემოქმედების განუყოფელი ნაწილი.

ნებისმიერი სტრატეგიის ღერძია უნიკალური ღირებულების შეთავაზება: მოთხოვნილებათა ერთობლიობა, რომელიც კომპანიას შეუძლია დააკმაყოფილოს მის მიერ შერჩეული კლიენტებისათვის, რაც არ შეუძლიათ სხვებს. ყველაზე სტრატეგიულ CSR-ს ადგილი აქვს, როცა კომპანია მის შეთავაზებულ ღირებულებას ამატებს სოციალურ განზომილებას, რაც სოციალურ ზემოქმედებას ხდის საერთო სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად.

ბიზნესისა და საზოგადოების ინტეგრირება მოითხოვს ავიღოთ უფრო მეტი ჩვენ თავზე, ვიდრე არის კარგი იდეები და ძლიერი ლიდერობა. ეს მოითხოვს ორგანიზაციაში რეგულირებებს, ანგარიშგებიან ურთიერთობებს და წახალისებებს. ზოგიერთმა კომპანამ ჩართო ოპერაციული მენეჯმენტი იმ პროცესებში, რომლითაც ახდენს სოციალური საკითხების იდენტიფიცირებას და მათთვის პრიორიტეტების მინიჭებას, რაც ეფუძნება მათ გამოკვეთას ბიზნეს ოპერაციებში და მათ მნიშვნელობას კომპანიის კონკურენტული კონტექსტისათვის. გაცილებით მცირე რაოდენობა ცდილობს სოციალური განზომილება ჩასვას თავის ძირითად შეთავაზებულ ღირებულებაში. ამის გაკეთება მოითხოვს გაცილებით განსხვავებულ მიდგომას, როგორც CSR-ისადმი, ისე ფილანტროპიისადმი, ვიდრე ეს არის გავრცელებული დღესდღეობით. კომპანია უნდა გადავიდეს ფრაგმენტული (დანაწევრებული) თავდაცვითი მდგომარეობიდან ინტეგრირებულ, სასარგებლო მიდგომაში. ფოკუსი უნდა გადავიდეს იმიჯზე აქცენტიდან შინაარსზე აქცენტზე.

ოპერატიულმა მენეჯერებმა უნდა გააცნობიერონ კონკურენტული კონტექსტის გარედან შიგნით მიმერთული (outside-in) გავლენის მნიშვნელობა, მაშინ როცა CSR ინიციატივებზე პასუხისმგებელმა ადამიანებმა დაწვრილებით უნდა იცოდნენ

ღირებულებათ ჯაჭვის ყოველი საქმიანობა. ეს ტრანსფორმირებები მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე შესასრულებელი სამუშაოს გარკვეულობის გაფართოება: ესენი მოითხოვს მთელი რიგი დიდხანს არსებული ცრუ შეხედულებების დავიწყებას. ბევრი ოპერაციული მენეჯერი თავდაცვით პასუხობს ნებისმიერ სოციალურ საკითხზე დისკუსიას, ისევე როგორც ბევრი ეჭვით უყურებს სოციალური ღირებულების შესაბამისობას მოგებასთან. ამგვარი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს, თუ კომპანიებს სურთ მიაღწიონ კორპორაციული სტრატეგიის სოციალურ განზომილებას.

სტრატეგია ყოველთვის შეეხება არჩევანის გაკეთებას და ასევეა კორპორაციული სოციალურ პასუხისმგებლობის რეალიზების შემთხვევაში. აქ საუბარია არჩევანზე, თუ რომელ სოციალურ საკითხზე უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება. ზიარი ღირებულების შექმნა კვლევისა და განვითარების მსგავსად, უნდა მივიჩნიოთ როგორც გრძელვადიანი ინვესტიცია კომპანიის მომავალ კონკურენტუნარიანობაში. მილიარდობით დოლარი, რაც უკვე იხარჯება CSR-ზე და კორპორატიული ფილანტროპიაზე, მოიტანდა გაცილებით მეტ სარგებელს, როგორც ბიზნესისათვის, ისე საზოგადოებისათვის, თუ მუდმივად მოვახდენდით ინვესტირებას იმ პრინციპების გამოყენებით, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ.

მაშინ, როცა პასუხისმგებელიანი CSR დამოკიდებულია იმაზე, რომ იყოს კარგი კორპორატიული მოქალაქე და მოახდინოს სათანადო რეაგირება ყოველ სოციალურ ზიანზე, რასაც ბიზნესი ქმნის, სტრატეგიული CSR არის გაცილებით უფრო არჩევანზე დამოკიდებული. კომპანიებს მოუწოდებენ რეაგირება მოახდინონ ასობით სოციალურ საკითხზე, მაგრამ რეალურად მხოლოდ რამდენიმე მათგანი წარმოგვიდგენს იმის შესაძლებლობას, რომ კომპანიამ გააკეთოს რეალური დათმობა საზოგადოებასთან და მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას. ორგანიზაციები, რომლებიც გააკეთებენ სწორ არჩევანს და შექმნიან ფოკუსირებულ, აქტიურ და ინტეგრირებულ სოციალურ ინიციატივებს, რომელიც ეხება მათ ძირითად სტრატეგიებს, სულ უფრო და უფრო გაემიჯნებიან მასას.

დღეს ყველა ქვეყანაში CSR ბიზნეს ღიდერებისათვის იქცა გარდაუვალ, აუცილებელ პრიორიტეტად. 2010 წელს 500 უმსხვილესი მრავალეროვნული

კორპორაციიდან 64%-მა გამოაქვეყნა CSR ანგარიში თავიანთ ყოველწლიურ ანგარიშებში ან უმეტესწილად ცალკე ანგარიშები მდგრადი განვითარების შესახებ¹²¹.

დღემდე CSR-ზე კვლევები კონცენტრირდებოდა კომპანიებისათვის მისი სარგებლის შეფასებაზე, მაგრამ რა სარგებელი და ზეგავლენა აქვს რეალურად CSR-ს მთელი საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის. 2010 წლიდან 2013 წლამდე ხორციელდება კვლევითი პროექტი „CSR-ის ზეგავლენის შეფასება და შესრულების ანალიზი (IMPACT)“, რომლის მიზანია:

- ✓ განსაზღვროს, გაზომოს და გამოიანგარიშოს CSR-ის ზეგავლენა ევროკავშირის სამ მთავარ მიზანზე: კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე, გარემოსა და სამუშაო ადგილების ხარისხზე;
- ✓ განავითაროს და განამტკიცოს ინსტრუმენტები და მეთოდები CSR-ის ზეგავლენის უკეთესი გაზომვისათვის;
- ✓ შეიმუშაოს რეკომენდაციები სხვადასხვა აქტიორებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის და გააუმჯობესოს ზეგავლენის შეფასება.

იგი იყენებს 4 ემპირიულ კვლევის მეთოდს:

- ეკონომეტრიკული ანალიზი;
- შემთხვევათა ანალიზი;
- ქსელის ანალიზი და
- დელფის გამოკვლევა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდება შემდეგი დარგების გამოკვლევა: საცალო ვაჭრობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საავტომობილო, მშენებლობა და ტექსტილი. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2013 წლის მარტში¹²².

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხს ეხმიანება გერმანელი სოციოლოგის უ. ბეკის მოსაზრება. მან თავის ნაშრომში, სახელწოდებით „რა არის

¹²¹ Global 500, 2011.

¹²² EU's Seventh Framework Programme, Grant Agreement No. 244618.

გლობალიზაცია“¹²³, შემოიტანა „ტრანსნაციონალური კაპიტალიზმის“ ცნება. იგი მიიჩნევს, რომ ტრანსნაციონალური კაპიტალიზმი არ იხდის გადასახადებს, სპობს დაქირავებულ შრომას, კარგავს თავის ლეგიტიმურობას და ხდება არაფუნქციონალური და პარაზიტული, როგორც ეს იწინასწარმეტყველა შუმპეტერმა. იგი ტრანსნაციონალურ მეწარმეებს ვირტუალურ გადამხდელებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ აუცილებელია ფორმულირდეს, როგორც თეორიულად, ისე პოლიტიკურად მეორე მოდერნის ცენტრალური, კაპიტალური საკითხი: გვევლინებიან თუ არა ტრანსნაციონალური მეწარმეები ანტიდემოკრატიებად, რა ფასეულობას წარმოადგენს დემოკრატიის ახალი დასაბუთება? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: როგორ წარმოუდგენიათ ვირტუალურ გადასახადის გადამხდელებს დემოკრატიის მომავალი? როგორია მათი წვლილი დემოკრატიის კოსმოპოლიტიკურ გაფართოებაში?

დასახელებულ ნაშრომში უ. ბეკი წერს: „შესაძლოა მე ვარ უიმედო ოპტიმისტი, ან შესაძლოა ისიც, რომ ეს ოპტიმიზმი საფუძვლიანია. შესაძლოა ძალიან დიდი შეცდომაა საბაზრო ეკონომიკის გამოყოფის მცდელობა მისი ევროპული წარმოშობის პოლიტიკური კონტექსტიდან. საბაზრო ეკონომიკის პროექტი ყოველთვის იყო აგრეთვე პოლიტიკური პროექტი, რომელიც, თავისთავად, მჭიდრო კავშირშია დემოკრატიასთან, მაგრამ დემოკრატია – ეს ძვირფასი საგანია, ამიტომაც არ შეიძლება არ შევასხენოთ მათ, ვინც ისარგებლა გლობალიზაციით, დემოკრატიული ინსტიტუტების წინაშე თავიანთი ვალი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვირტუალური გადამხდელები უნდა მივიწვიოთ საღაროსთან. ეს არ არის არც გერმანული და არც ევროპული პრობლემა, ეს მსოფლიო საზოგადოების პრობლემაა. მისი გადაწყვეტა შესაძლოა მხოლოდ საერთაშორისო დარეგულირებით. მასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას ამ საწარმოთა დამიკიდებულება იმიჯზე ან კონკრეტულ ბაზარზე. ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ აგენტებს თითოეულს თავისი აქილევსის ქუსლი გააჩნია. საქმე იმაშია, რომ კაპიტალის უსაზღვრო თვითრეგულიზაცია ადგილზე ან პროდუქტზე მიაჯახებებს მას. „მორბენალი“ კაპიტალი უნდა მოითოკოს, ჩაეწეროს ლოკალურ კულტურაში, მათ საკანონმდებლო-პოლიტიკურ ჩარჩო პირობებში“¹²⁴.

¹²³ უ. ბეკი, რა არის გლობალიზაცია?, თარაგმანი ინგლისურიდან, თბ., 2003.

¹²⁴ Бек У., Что такое глобализация?: ошибки глобализма – ответы на глобализацию, перевод с немецкого А. Григорьевы и В. Седельника, Москва, издательство «Прогресс-Традиция», 2001, ст. 240.

იმისათვის, რომ ტრანსნაციონალური კაპიტალიზმი არ დაემუქროს დემოკრატიას, იგი აუცილებლად მიიჩნევს, როგორც ტრანსნაციონალური მეწარმეების საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, როგორცაა ადგილობრივი სოციალურ-ეკოლოგიური სტანდარტები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და ა.შ. ისე მეწარმეთა თვითკონტროლს. იგი ამტკიცებს, რომ სოციალურ-ეკოლოგიური სტანდარტები ვერ იძლევიან მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღების გარანტიას. მათი შეზღუდულობა სახეზეა: უპირველესყოვლისა, ისინი მოქმედებენ მხოლოდ იმ დარგებსა და სახელმწიფოებში, რომლებიც ორიენტირებული არიან ექსპორტზე. ამიტომ მათ, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ირიბად შეუძლია ხელი შეუწყონ საზოგადოების საყოველთაო განვითარებას.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო კორპორაციების მიერ თავიანთ სტრატეგიაში სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა შეამცირებს მათი საქმიანობის უარყოფით შედეგებს და, ამავე დროს გაზრდის საზოგადოებისათვის მათი საქმიანობიდან მიღებულ სარგებელს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გლობალიზაციის თანმხლები მრავალი პრობლემის მინიმუმამდე შემცირებას და გლობალიზაციის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებას.

დასკვნები

ჩვენ მიერ შესრულებული კვლევის შედეგები დასკვნების სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- გასული ათწლეულები ადასტურებენ ეკონომიკური საქმიანობის სწრაფ გლობალიზაციას, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის სახე. თანდათან იზრდება იმ ფორმების, ქვეყნებისა და სხვა ეკონომიკური აგენტების რიცხვი, რომლებიც ჩართულები არიან გლობალურ ეკონომიკაში. იზრდება როგორც ვაჭრობის, ისე ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციის ინტენსივობა. ამასთან, ვაჭრობის გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდა ჩამორჩება ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების გლობალიზაციას. 2000-2010 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში გლობალიზაციის ინტენსივობის მაჩვენებლის ზრდამ საშუალოდ გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის მიხედვით – 227, შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის მიხედვით კი – 123% შეადგინა, ხოლო ტექნოლოგიების სფეროში, 2007-2010 წლებში – 100%, მაშინ, როცა იმავე წლებში ანალოგიურმა მაჩვენებელმა საერთაშორისო ვაჭრობის მიხედვით, მხოლოდ 8% შეადგინა;
- 2000-2010 წლებში საქართველოში გლობალიზაციის ხარისხი უმთავრესად შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როცა მთელ მსოფლიოში იგი, უმთავრესად, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, საქართველოს წვლილი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში უმნიშვნელოა;
- საერთაშორისო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჯერ კიდევ წარმოადგენენ ორ ძირითად გზას საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს შორის ეს ეკონომიკური კავშირები არ არის ახალი, გასული ათწლეულების განმავლობაში მათი მასშტაბები და კომპლექსურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია საერთაშორისო

წარმოების ქსელების წარმოშობა და განვითარება. გლობალურმა ღირებულებათა ჯაჭვებმა გაზარდეს პიდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები და ფირმათშორისი ვაჭრობა, რაც თანდათან უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება;

- ინვესტიციების გლობალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მომსახურების სექტორს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მომსახურების სექტორზე მოდის;
- საერთაშორისო ვაჭრობაში, უკანასკნელ წლებში ძლიერ გაიზარდა მომსახურებით ვაჭრობა, თუმცა იგი ჯერ კიდევ საქონლით ვაჭრობის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. საერთაშორისო ინვესტიციები, როგორც პირდაპირი ისე საპორტფელო, გაიზარდა უფრო სწრაფად ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობა, რაც, თავის მხრივ, გარკვეული საფრთხის შემცველია. ტრანსნაციონალური კორპორაციების შთანთქმებმა და შერწყმებმა, რაც უმთავრესად ხორციელდებოდა ფირმის საქმიანობის რესტრუქტურის მიზნით, გამოიწვია საერთაშორისო საინვესტიციო ნაკადების ძლიერი მოზღვაება;
- ტექნოლოგიური ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს გლობალიზაციის თანამედროვე პროცესის მნიშვნელოვან მახასიათებელს. იზრდება ქვეყნებს შორის ტექნოლოგიური ნაკადები და სხვადასხვა სახის საერთაშორისო ურთიერთობები. მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში საერთაშორისო თანამშრომლობა იზრდება, რაც გამოიხატება მის სხვა და სხვა მახასიათებლების, მათ შორის პატენტების, მეცნიერული პუბლიკაციებში თანაავტორობისა და თანამშრომლობის ფორმალური კონტრაქტების ზრდაში;
- თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთი განსაკუთრებული მახასიათებელია გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის წარმოშობა. გლობალური ღირებულებათა ჯაჭვისა და საერთაშორისო წარმოების ქსელის ფარგლებში საერთაშორისო ვაჭრობა ხორციელდება არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტებით, არამედ შუალედური საქონლითაც (პირველადი

საქონელი, ნაწილები, კომპონენტები და ნახევრად მზა საქონელი) და, უკანასკნელ პერიოდში, მომსახურებითაც, შედეგად იზრდება არა მხოლოდ საბოლოო საქონლითა და მომსახურებით, არამედ აგრეთვე და, განსაკუთრებით, შუალედური საქონლით ვაჭრობა. ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს და საერთაშორისო ვაჭრობის მოდელს, რაც აისახება ფირმისშიდა და შიდადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებით. საბოლოო საქონლის ექსპორტი აღარ არის ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სათანადო ინდიკატორი, რადგან გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის წამოქმნის შედეგად საბოლოო პროდუქტები მნიშვნელოვანწილად შეიცავს შუალედურ საქონლს, რაც იყო იმპორტირებული ქვეყანაში;

- უკანასკნელ ათწლეულებში ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაცია ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) უმეტეს ქვეყანაში არსებობს წარმოების სიღრმის შემცირების ზოგადი ტენდენცია, რაც მიგვითითებს წარმოების პროცესში შუალედური საქონლის ფართო გამოყენებაზე. სამრეწველო პროდუქტის ექსპორტი და იმპორტი იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად ვიდრე წარმოება, რაც არის იმის დადასტურება, რომ პროდუქტის ნაწილები იწარმოება ერთ ქვეყანაში და შემდეგ ექსპორტირდება სხვა ქვეყნებში, როგორც ელემენტი წარმოების შემდგომ ეტაპზე. იზრდება შიდადარგობრივი და ფირმისშიდა ვაჭრობა, რაც მიგვანიშნებს წარმოების პროცესში ადგილობრივთან შედარებით უცხოური საქონლის უფრო ფართო გამოყენებაზე. იმპორტირებული შუალედური საქონლის მზარდი მნიშვნელობის კვლავიანად OECD-ის თითქმის ყველა ქვეყანაში იზრდება ოფშირინგი და აუტსორსინგი;
- შეიძლება ითქვას, რომ უცხოური საკუთრების ზრდა საქართველოში უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე, ვიდრე აშშ-ში. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციას მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის

უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე დიდი ქვეყნებისთვის. ამასთან, საგარეო საკუთრების ზრდა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მშპ-ზე ზრდაზე საქართველოსთვის, ხოლო დადებით ზეგავლენას – აშშ-ისთვის, რაც მიგვანიშნებს იმაზე რომ, ეკონომიკურ გლობალიზაციას ამ ასპექტში უარყოფითი ზეგავლენა აქვს მცირე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და დადებითი – დიდი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მცირე ზომის ქვეყნებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია ქვეყანაში უცხოური საკუთრების ზრდაზე (მშპ-ის ზრდის 86% განაპირობებს უცხოური საკუთრების ზრდა), ხოლო დიდ ქვეყნებში – საზღვარგარეთული საკუთრების ზრდაზე (მშპ-ის ზრდის 40% განაპირობებს საზღვარგარეთული საკუთრების ზრდა). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ქვეყნები, რომლებიც სირთულეებს განიცდიან ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, უფრო მეტად უნდა ჩაერთონ გლობალიზაციის პროცესებში;

- გლობალიზაციის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოს მაგალითზე შეიძლება გამოისახოს შემდეგი მოდელით

$$Y = 0.97 X + 2555 \quad (\text{მლნ. \$}), \text{ სადაც}$$

Y აღნიშნავს მთლიანი შიდა პროდუქტის, ხოლო X ქვეყანაში არსებული უცხოური საკუთრების მოცულობას.

- გლობალიზაციის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე აშშ-ის მაგალითზე შეიძლება გამოისახოს შემდეგი მოდელით

$$Y = 0.83 X + 7732 \quad (\text{მლრდ. \$}), \text{ სადაც}$$

Y აღნიშნავს მთლიანი შიდა პროდუქტის, ხოლო X ქვეყანაში არსებული უცხოური საკუთრების მოცულობას;

- თანამედროვე გლობალიზაციის მასშტაბები იზრდება და მასში ერთვება ქვეყანათა მზარდი რიცხვი. ჩინეთი გახდა მთვარი სავაჭრო პარტნიორი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) უმეტესი ქვეყნისთვის. OECD-ის საექსპორტო ბაზრებში მისი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩინეთი და BRIICS-ის სხვა ქვეყნები (ბრაზილია,

რუსეთი, ინდოეთი, ინდონეზია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გახდნენ მნიშვნელოვანი მოთამაშეები საერთაშორისო ინვესტიციებში, როგორც მიმღები ისე ინვესტორი ქვეყნები. ისინი აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ გლობალურ ტექნოლოგიურ ქსელებში. გლობალური ღირებულებათა ჯაჭვში იზრდება განვითარებადი ქვეყნების რიცხვი, როგორც კლევებისა და განვითარების და ინოვაციური საქმიანობის ადგილსამყოფელი. ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას, თუმცა რამდენიმე მათგანის ეკონომიკურმა დინამიზმმა, განსაკუთრებით ჩინეთის და ინდოეთის, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა OECD-ის სივრცეში სიტუაციის ამაჟამინდელ გაუმჯობესებაში;

- OECD-ის ქვეყნებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომი ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესება ემთხვევა მთელ მსოფლიოში ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსივობის ზრდის პერიოდს, საიდანაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი არ იყო უმთავრესად ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების გადრმავეებით განპირობებული, არამედ პირიქით, გლობალიზაციის გადრმავებამ შეიძლება ხელი შეუწეოს ცალკეულ ქვეყანაში კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილებას;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოური ფილიალები საზღვარგარეთ ემსახურებიან არა მარტო მიმღები ქვეყნის ადგილობრივ ბაზრებს, არამედ ხშირად აგრეთვე ემსახურებიან სხვა ქვეყნების ბაზრებსაც, და, ამავე დროს, აწარმოებენ პროდუქციას მრავალეროვნული ქსელის სხვა ფილიალებისთვისაც. ამგვარ ფორმათშორის ვაჭრობაზე, ე.ი. საერთაშორისო ვაჭრობაზე მრავალეროვნულ კორპორაციებსა და მათ ფილიალებს შორის, მოდის საერთაშორისო ვაჭრობის მზარდი წილი;
- ფორმათშორისი ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება უცხოური ფილიალების იმ ექსპორტსა და იმპორტს, რაც განკუთვნილია სხვა ფირმებისათვის (რომლებიც არ მიეკუთვნებიან იგივე ტრანსნაციონალურ ქსელს). ეს პირდაპირ უკავშირდება ღირებულებათა ჯაჭვის

გლობალიზაციას. ბევრ შემთხვევაში უცხოური ფილიალები უფრო მიდრეკილნი არიან ექსპორტისა და იმპორტისაკენ, ვიდრე ადგილობრივი ფირმები, განსაკუთრებით მრეწველობის დარგებში. ყოველივე ეს მეტყველებს ღირებულებათა ჯაჭვის გლობალიზაციის გადრმავებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების გადამწყვეტ როლზე;

